




III

მ ა რ ტ ი

III



# ამ ნომერთან „განათლების“ ხელის მომწერლებს სახუქრად ეგზავნებათ ი. გედევანიშვილის ჰიესის „სინათლის“ ალბომი

**შინაარსი:** 1) სიმღერა მთის შვილის— ვაჟა-ფშაველასი. კრიტიკული ეტიუდი (გაგრძელება)— იპ. ვართაგავა. 2) დედობრივი გრძობა— გ. ანთელაძე. 3) მოგონება ტრადსტის სკოლის მასწავლებლის მორაზოვისა— ნ. ძიძგური. 4) თავ. გრ. ორბელიანი და რომანტიული მიმართულება ქართულს ჰოეზიაში— ილ. ფერაძე. 5) სიმართლის აღზრდა ბავშვებში— შ. რევაია. 6) წერილი ამხანაგთან— ი. სინარულიძე. 7) სუსტ-ნერვებისანი ბავშვებო და მათი აღზრდა— ი. ფერაძე. 8) ქართული დემოკრატები აზნისა და ნინა— ა. სვანიძე. 9) სული თბოლი (შეგობრის დღიურიდან)— მიხ. ბოჭორიშვილი. 10) ჰასუხი ვერ მიედოთ (ამბავი)— დ. თურდოსპირელი. 11) აკვარელი (თარგმანი)— ილ. გოგია. 12) სხივს ცისკრისას— ს. ტაიფუნო. 13) ჰატარა მდინარე ზვირთდებდა და განრისხებულ კლდეს ეზღერებოდა— გ. მოუსვენარიძე. 14) ზამთარი— გ. ლეონიძე. 15) ნიავის ზღაპარი— გურული. 16) დედის ცრემლები— ლ. ძიძგური. 17) შინაური მიმოხილვა— ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში; რეალური სასწავლებელი ზუგდიდში. 1881 წლის გეგმის წინააღმდეგ სწავლება საღვთო სჯულისა. 18) ახალი აშბები. 19) რუსეთი— სურათების გამოფენა კიევიში— დ. თუ.— ლი. 20) ბაქოს სამრეწველო სკოლები (სკოლების ნაციონალიზაცია)— ვ. ობხელი. 21) ზეგნც და ვაფასოთ (სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ)— ლადო ბზვანელი. 22) ბიბლიო-გრაფია. ეპისკოპოსი დეკანოზი— სიტყვანი და მოძღვრებანი— ილ. ფერაძე. ალ. ფრონელი— „მთის არწივი შამილი— ნ. ბ. ძე. 23) სახუქრად ხელის მომწერლებს ალბომში— ჰიესა „სინათლე“ ი. გედევანიშვილისა.

**დამატება:** ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა: ანგარიში გამგეობის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელო წიგნებისა 1913 წელს. ანგარიში განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მიერ ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. ხანდერძევის სახელმძღვანელო წიგნების გასაყადისა. განყოფილებების მოქმედების 1913 წ. ანგარიშები: ბათუმის, სენაკის, ბორჯომის, უერილის. განცხადება— ნ. დოდბერიძის თანხის სარგებლოდ დახარჯვა. ჰრემ. 300 მან.

**რედაქციისაგან:** რედაქცია აცხადებს, რომ იმ ხელის მომწერლებს, ვისაც ამ ალბომი სახუქარი ი. გოგებაშვილის დიდი სურათი არ მიუღიათ, შეუძლიათ და წააღებინონ რედაქციიდან.

გეგმაშვილის მომცრო სურათი სკოლებში დასარიგებლად ღირს თითო ვინც 50 ან 100 კ. დაიკვეთს, მას 25% დაეთმობა.

# განათლება

(წელიწადი მეშვიდე)

III

მ ა რ ტ ი

1914 წ.

<p>ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს- ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.</p>	<p>ცალკე ნომ- რის ფასი  40 კაპ.</p>	<p>ხელის მოწერა მიიღება <b>თფილისში</b> „წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად- რესით: <b>Тифлисъ. Дворянская Грузинская</b> <b>Гимназия. Л. Г. Боцвадзе.</b></p>
--	---	---

P-25301

## სიმღერა მთის შვილის—ვაჟა-ფშაველასი.

კრიტიკული მითული

(გაგრძელება)

ისტორია გვამცნევს და ზეპირ გარდ-  
ოცემა მოგვითხრობს, თუ რა ღირსების  
ყოფილან ძველი ქართველი დედები. ამ  
მარად ნეტართ დედათა“ ძვირფასი ზნე-  
ბრივი თვისებანი: ხასიათის სიმტკიცე,  
ანგარო სამშობლოს სიყვარული, შეგნე-  
ულად და პირნათლად დედობრივი და  
იქალაქობრივი მოვალეობათა ასრულება  
მოცნებო და სანატრელ მოგონებით  
გახდომიათ ჩვენს მგოსნებს. და მართალიც  
უნდა ითქვას, ასეთ ღირსეულ დედების  
საქებ-სადიდებლად საუკეთესო ლექსებიც  
შექმნეს მათ! ეტყობა, რომ, ჩვენი ცხოვ-  
რების საერთოდ დაკნინების და დაძაბუ-  
ების დროს, ჩვენი მგოსნების წარმოდგე-

ნას არ შორდებოდა იდეალური და სიმ-  
პათიური სახე მრავალ-ტანჯულის და მრავალ-  
წამებულის ძველის, ქართველის დედი-  
სა და მათი სევდით მოცული გული ამ სა-  
ხეს უსიამოვნებია, იმედი და მხნეობა ჩაუ-  
კვესია. არ არის ჩვენში არც ერთი მწერა-  
ლი, არც ერთი პოეტი, რომ ქართველ  
დედის საქებრად უუტკბილესი ჰანგებით  
არ ემღეროს. და რამდენადაც დიდი და  
მგრძობიარეა მგოსანი, რამდენადაც შე-  
გნებულად და ღრმად განუცდია მას ქარ-  
თველი ერის ტრადედია, იმდენად წარმ-  
ტაცი, დამაფიქრებელი, აზრიანი და პოე-  
ტიურია ჰიმნი, მიძღვნილი ქართველ,  
დედისადმი.



ვაჟას დიდებულმა ნიჰმაც შესაფერის სიძლიერით და მომჯადოებელის სილამაზით უკვდავ ჰყო სახე „ნეტარ“ ქართველ დედისა, სხვათა შორის, „ბახტრიონში“. მან აქ დაგვიხატა ორი ტიპი ქართველ ქალისა, — ორივე წარმტაცი, ორივე იდეალური, მაგრამ ორივე ნამდვილი, ჭეშმარიტი, ორივე ჩვენი წარსულ ცხოვრების სინამდვილიდგან უცვლელად და შეუღამაზებლად ამოდებული. ეს ორი ტიპი თითქმის მიუწოდამელის ხელოვანობით გამოაქანდაკა და უკვდავების სული ჩაბერა მგოსანმა შედარებით პატარა პოემაში.

ეს ორივე ქალი ვაჟას გამოჰყავს ქართველთა ცხოვრების ისეთს ხანაში, როდესაც ხალხი მტრისაგან დარბეულია, ჭვეყანა აოხრებულია. ეს ისეთი მომენტია ერის ცხოვრებაში, როდესაც ცხადად აშკარადღება მისი სიმტკიცე, შეუღამაზობა, ან სიბეჩავე, ბედის შერიგება, სილაჩრე და სხვა მაგნაირი მდაბალი გრძობები.

თუ ერს სულიერი ძალა არ დაუკარგავს და ცხოვრების უნარი შერჩენია, თუ მას არსებაში უკურნელი ავადმყოფობა და გახრწნა არ შეჰპარვია, მაშინ ის უსათუოდ ასეთს მომენტში ძალას იკრებს, ყველა თვის წევრს მოქალაქობრივ მოვალეობის შეგნებით აღავსებს, ზოგიერთს მათგანს კი, ბუნებით რჩეულთ და დიდ სულოვანთ, გმირადაც ჰხდის.

საზოგადოდ საქართველოს და კერძოთ ყველა მისი შემადგენელ თემების ცხოვრებაში ძლიერ ხშირად ყოფილა ხოლმე ასეთი საბედისწერო მომენტები. ვაჟა „ბახტრიონში“ აგვიწერს ერთს ასეთს მომენტს ფშავ-ხევსურების და თუშების ცხოვრებიდან.

— ერთს დროს „ხოროშელთ წარ-

ღვნა დაეცა წყეულთა თათრის ჯარისა“ მამაკაცებმა მტრებს თავი შეაკლეს — „ხსენება გაწყდა კაცისა“, „გასუქდა ხოშარის გორი სამარეებით ხშირითა“ დარჩნენ მხოლოდ „ბაღლები“ და დიაცნი, რომლებიც დახოცილთ სტიროდნენ შეწყდა, შეჩერდა ხოროშეთში სიცოცხლე: დაღუმებული ფშავთა სალოცავი იმ დროს, როდესაც იქ დღეობაა. მთელი თემის მაჯის ცემის შეჩერებას და სიცოცხლის ამოკვეთას აი რა სურათებში გვაჩვენებს პოეტი:

„ეს ფშაველთ საფოცავია,  
დღეს დღეობაა ამისა.

არ ვიცი თვალი მატუეებს, —  
მიშლის მწვედიადი დამისა!

ხალხს ნუ თუ დაჭვიწვებია  
წმინდა გიორგი თავისა?!

ეს რაღაც ცუდ საქმეს ნიშნავს,  
მომასწავებელს ავისა.

საჯარეს დიაცს რა უნდა?

არ თუ ეშინის დავისა?

მარტო აუნთავ სანთლები

და ხატიც უდიდება;

მარტოს დაუკლავს საკლავი,

თითონვე უტუაუბია;

მარტოდ-მარტოკას დიაცსა

ხატ-ღმერთი უხსენებია!

აქ არც ხევის ბერის ხმა ისმის,

არსად ფშაური დრეობა.

ვინ გიჟი იტყვის ამასა,

რომ დღეს აქ იუფს დღეობა?!

ბრადდა ბუუტავს სანთელი,

ცრემლი წინ უდგა გუბეა“.

ამ სურათიდგან სჩანს, რომ ხოროშეთში მამაკაცი მთლად გამწყდარან თათრებთან ბრძოლაში და მხოლოდ ბებერი სანთის (ქალი) „ხანხალით, ძალის ძალითა, ჯონის დაყრდომილი“ მოსულა „ხატ-ღმერთის წინ და უჩვეულო, თითქმის უმაგალითო

საქმე ჩაუდენია — „მარტო აუნთავ სანთელი და ხატიც უდიდება“.

— სანათა განხორციელებაა მრავალტანჯულ ქართველ ერის სულის კვეთებისა: ის ცხოვრობს ერის ცხოვრებით; ერის ტანჯვა მისი ტანჯვაა; სანათა შეგნებულად სწირავს სამშობლოსა და ერის ინტერესს პირადი ბედნიერების უძვირფასესს განძს — დედაშვილურს სიყვარულს. ეს სიყვარული მოხუცისა სამშობლოსადმი შეგნებული, აწონდაწონილია და სრულიად არ არის ნაყოფი დროებითი აფფექტისა და გატაცებისა. აბა ყური დაუგდეთ სანათას გოდებას, ჩაუკვირდით მის მოთქმას და იმ ბედზე ჩვილს, რომელშიც ცხადადა დახატული ისტორია „გმირთა აკლდამის“ — საქართველოსი.

„სრულ ჩვენ რაღა ვართ ტანჯვაში,  
კვნეს რად ისმის ჩვენია?  
როდემდის უნდა ვსტროდეთ,  
მიწა ვასველოთ ცრემლითა?  
ან მიწა რად არა ხდება  
დამდნარის გულის წვენითა?!  
როდემდის უნდა ვიბანოთ  
სისხლით ჰირი და ხელები?  
შვილთა მაგივრად დედებსა  
ძუძუს გვიწოდეს გველები?!  
როდემდის უნდა ფეხითა  
ვლახოთ ჩვენივე წელები,  
ცეცხლები გვერტუას ათასი  
გულის, გონების მწველები?!  
ვაჭმე, გაგვიწედა, აღარ გვავს  
ამ ფშავის ხევის მცველები!“

ასე მწარედ მოსთქვამდა მოხუცი „ხოროშელთ ბედის წერასა“, გულს იმჯილავდა და, რადგანაც ცოცხალი ადამიანი არსად იყო, მხოლოდ ნანგრევებს შესჩივლებდა „ცრემლის დენითა“.

ამ დროს გამოჩნდა ერთი მხედარი.

დიდხანს უცქირა უცნობმა „მოხუცის მოთქმას მწარესა“ და მიხვდა, რომ უბედურობა სწვევია ფშავის ერსა. რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ უცნობი ათრთოლებულის ხმით კითხავს მოხუცს დედაკაცს:

„ვინა ხარ, ნეტარ, დედაა?  
ვისს რას მოსთქვამ ზიანსა? —  
გერ გაიგონა ნათქვამი,  
ისევ ზაჯს ამბობს ხმანსა...  
— შენ გეკითხები, დედა  
რად სვამ ბაღდაშით ფაქსა?“

მერე უცნობი გაკვირვებით ეკითხება მოხუცებულ ქალს: ალბათ უჩვეულო რამ მომხდარა ფშავლთა ცხოვრებაში, ალბათ „დროება დამდგარა იმ მეორედ მოსვლის წამისა“, რომ „ღიაცს მისცემია ნება საქმე აკეთოს მამრისა“ — ო და სთხოვს „დედაშვილობით“ გააგებინოს, რაშია საქმე, რა მოხდა, მით უმეტეს, რომ თითონ ისიც მათი მიწა-წყლისაა. (ეს მგზავრი იყო ობოლი კვირია, რომელიც ოციწელიწადი თუშებში იყო მოჯამაგირედ და ახლა გაჭირვების დროს თუშებს გამოუგზავნიათ ფშავში თათრების წინააღმდეგ დანებარების სათხოვნელად.)

სანათა ასე მოუთხრობს მგზავრს ფშავებლთ თავგადასავალს:

„ჩემ რა იკითხვის, დედალას,  
უკვლავსი, ბედით შავისა,  
დაგვარგე ვეველა თვის — ტომი,  
ვინაც კი მუავდა თავისა;  
წარდუნა ჭაგვეტა ხომარკეთ  
წუეულთა თათრის ჯარისა.  
მამრთა შეაკვს მტერს თავი  
ხსენება გაწედა კაცისა...  
რად გვინდა დედებს შვილები?  
რახედ ვწვადლებით ნეტავი?  
გაჭზრდი, გალადებს ვაჟავცი,  
ლამაზი, გარის მდრეკავი;  
გალადებს, მაგრამ ტუეულად:

დღეს მთელი, ხვალვე შეკლარია;  
 მოვა, წაიღებს უეტრად  
 სისხლისა ნიაფ-ღვარია!  
 პირ-სისხლიანის მსინჯველი,  
 შვილის დუშმანიც არა!  
 სანათი ვარ მე, შვილო,  
 აფხუშოურის ქალია.  
 აქა ვარ გამოთხოვილი,  
 ბეიძე მუვანდა ქმარია.  
 შვიდი გაფხარდე ვაჟ-კაცი  
 თითო ღომისა ღარია.  
 შვიდივ კამიწყდა ერთს დროსა,  
 მამაც იმათთან შეკლარია.  
 ხაშარის გორზე დავმარხენ,  
 თავზე დასტირის ქარია.  
 ორ კვარას საფუჯავებ ვსთხარე  
 იმათ თავ-შესაფარია...  
 ვინ ემსახურებს, მამ; ხატსა?  
 მამ ვინ აუნთხს სანთელი?  
 მამ, ვინ დაგვიკლას საკლავი?  
 ვინ მოაკმიას საკმელი?!  
 უკაცურთ კაცობა გვმართებს,  
 მინამ სულ გვიდგას პირშია  
 ხატიც შეგვინდობს ცოდვასა,  
 რომ გვნახავს გასაჭირშია“.

ხომ ხედავთ რა ფას დაუღებელი მსხვერ-  
 ზლი შეუწირავს საბრალო სანათას თემის  
 ბედის სამსხვერპლოზე! მის შვილებს და  
 მათ მამას დაუნთხევიათ სისხლი მტრებთან  
 სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში! მერე  
 როგორ შვილებს, როგორ ვაჟაკებს?  
 შვიდნივე, სანათას თქმით, „მებად დაეც-  
 ნენ მტრის ჯარსა, მისთიბდნენ, როგორც  
 ყანასა“ და განსაცვიფრებელი გმირობა  
 და ვაჟაკობა გამოიჩინეს. საბრალონი  
 თურმე ეცადნენ გაეულიტათ უთვალავი  
 მტერი,

„მაგრამ ვინ დაჭლებს  
 რიგზე ქვებს და ღოდებს!“

ვინ დალევს ოათრის ღაშქარსა,  
 უთვალავს, გასაოცებსა?!“

ვინ არ იცის, თუ რა მწვავე და მტან-  
 ჯველია დედისთვის სიკვდილი ერთის  
 შვილისაც. მაშ ადვილად წარმოსადგენია,  
 თუ რანაირი ჯოჯოხეთით ალაგებს საბ-  
 რალო დედის გულს დაკარგვა შვილის  
 შვილის—ნაქები და ცნობილი ვაჟაკე-  
 ბისა! საზოგადოდ იშვიათია ისეთი დედა,  
 რომელიც პირადს უმაგალითო უბედუ-  
 რობას და ტანჯვას ითმენს სამშობლოს  
 და ერის კეთილდღეობისათვის, მათის ინ-  
 ტერესების დაცვისათვის. და აი სწორედ  
 ასეთს იშვიათს დედას წარმოადგენს სანა-  
 თა,—საუკეთესო წარმომადგენელი ძველი  
 ქართველი დედისა. აბა რომელი თანა-  
 მედროვე ქართველი დედა იტყვის და  
 მერე ისეთის ღრმა გრძნობით და რწმენით  
 იმ სიტყვებს, „რომლითაც სანათამ მიმარ-  
 თა კვირიას, როდესაც შეიტყო, რომ  
 თუშებს და კახელებს გადაუწყვეტიათ  
 თათრებთან სასტიკი ბრძოლა და დახმა-  
 რებისათვის ფშავებისათვის მიუმართავთ:

„ოუ ამომუხრდით მტრის ჯავრსა,  
 შვილთ არც კი მოვიგონებდი,  
 რაღა მიჭირდა, თუ მტრისას  
 გაუღეტას მოვიგონებდი.  
 გუდიდგან ეკლის საღტყისა  
 მაშინვე მოვიფონებდი.  
 შვილო, დედილამ, მე თითონ  
 წავალ შავტირებ ფშაველთა;  
 ეგელას შავტირებ ჩემს დარდსა,  
 ვისაც შავხვდები გზა-ფელთა.  
 მე თუ რვა სული შეგწირე,  
 თითოს ვერ გაიმეტებენ?  
 ფშაველნი აიშლებიან,  
 თუ მტერს სამ დაიმედებენ!  
 დმერთო და ჩვენო გამწენო,  
 ხატებო ფშავეთისაო!  
 აავსეთ თათრის სისხლითა

გველები ჭახეთისა.  
 შენ გაუმარჯვე ჩვენს ჯარსა  
 დავლათ ახმეტისა!  
 გვაკმარე, დმერთო, ზარადი,  
 გვეუო, რაც სისხლი გვიდვრია,  
 გვეუო, რაც მტრებთან ბრძოლაში,  
 ძვალები გადაგვიყრია.  
 გვეუო ახლენი ცრემლის ღვრა,  
 დაუშრობელი ყაუბა;  
 არ თუ ვებრძვით საემონი,  
 რომ აღარ გვწყალობს დვთაება?!  
 გვიშველე, დაძარის ჯვარო,  
 დაგვჭირდა შენი თავია;  
 შენი ფრანგულით აკურთხე.  
 თუშ-ფშაგ-ხევსურთ ზავია,  
 ნუშტ დაედუშვისთ. შენს მადლსა,  
 ზღვაში შესული ნავია.  
 ჩაუძედე, დაშარვლათ,  
 ტანზე შაიბი ხმალია.  
 გვიჭირს და გამოგვიყვანე  
 შეუშუსრავი ძალია“

რა არის ეს სიტყვები, თუ არ განგმი-  
 რულ—დალაზრული, მაგრამ გაუტყებელი,  
 გულის მხნე, ენერგიული მოწოდება ერის  
 თავისუფლებისა და რჯულის დიდებისა-  
 თვის თავის დასადებად! „ხანხალით“ მო-  
 სიარულე, ღრმად მოხუცი, შვიდი გმირი  
 შვილის და მათის მამის ერთს დღეს დამ-  
 კარგველი, უმწეოდ და ოხერ-ტიალად  
 დარჩენილი—ბებერი სანათა ასეთს უუსა-  
 შინელეს მომენტშიაც კი სწორედ რომ  
 განსაკვიფრებელ გონების სიფხიზლეს და  
 შეგნებას, ზღვა გრძობას და საზოგადოთ-  
 რთულს ფსიხოლოგიურს განცდას იჩენს.  
 ეს განცდა, ეს ღრმა პოლიტიკურ-ეროვ-  
 ნული შეგნება სანათასი ორგანიულია  
 და მთელს მისს არსებას შესისხლხორცე-  
 ბია. ამავე დროს მისი სულიერი მდგომარ-  
 ეობა ნაყოფი და შედეგია მთელი ხალ-  
 ხის განცდისა და შეგნებისა. სანათას

მოთქმა-ვედრება; მისი გოდება-წუხილი,  
 სურვილ-მისწრაფება პირადის ხასიათის  
 როდია: ის კვენსა მთელის მრავალ-ტან-  
 ჯულის ერისა, მისი უცვლელი სურვილი  
 და ნდობა. და აი სწორედ იმისთვისაა  
 ჩვენთვის ძვირფასი ეს ფიქრ-ზრახვა, ეს  
 უწმინდესი გრძობა სანათასი, რომ ის  
 ეროვნულია.

ჩვენი საქართველო მხოლოდ იმითი  
 ცოცხლობდა და ათასნაირ აუწერელ  
 ტანჯვა-წვალებას მხოლოდ იმითი გადურ-  
 ჩა, რომ მასში წინედ ბლომად იბადებო-  
 დნენ სანათასთანა დედები, რომლებიც  
 ღარიბ, უსწავლელ-გაუნათლებელ შვი-  
 ლებსაც, როგორცაა, მაგალითად, „ობო-  
 ლი“ მწყემსი კვირია (იხ. „ბახტრიონი“),  
 საღს და სასარგებლო რწმენას და შეხე-  
 დულობას უნერგავდნენ. აბა მოისმინეთ  
 კვირიასი ღრმა აზრიანი მსოფლ-მხედვე-  
 ლობა:

„მანამა ვცოცხლობთ, მტერი გვეუო.  
 ბევრად სჯობს ვიფუნეთ ცდაზკადა.  
 როცა დრო მოვა, დე, გაქრეს,  
 ბედის ვარსკვლავი ცაზედა!  
 ცოცხალს კი უნდა ესუროს  
 ვაჟაცსა ქუდი თავზედა.  
 სიცოცხლეს აუგანსა  
 სიკვდილი მიჯობს ხმალზედა.  
 როს ჩუმი ბინა სხვას რჩება,  
 ჩემი ცოლი და შვილები.  
 თუ დუშმინს ხმალი არ მომკლავს,  
 მე თითონ გავიგმირები“ (88 გვ.)

როგორც „ობოლი“ კვირიამ გაამარ-  
 თლა თვისი სიტყვები და გმირულად თა-  
 ვი შესწირა. მშობელ ერს „ბახტრიონის“  
 ციხის აღების დროს, ისე თითქმის ყველა  
 ძველი ქართველნი, სანათასთანა თავგან-  
 წირულ და შეგნებულ დედებისაგან ნაშობ-  
 აღზრდილნი, უანგაროდ სწირავდნენ პი-  
 რად ბედნიერებას, მყუდრო ცხოვრებას



ერის სამსხვერპლოზე და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდნენ საკუთარ „ბინას“ და „ცოლშვილის“ კეთილდღეობას. ქართველ კაცს ყოველთვის „აუგინას სიცოცხლეზე“ მაღლა სასახელო „ხმალზე სიკვდილი“ დაუყენებია და სანამ სული დგმია, „ვაჟაკის“ ქული ხურებია თავზე. არა მარტო გორგასლანები, თამარეები, სააკაძეები და ირაკლები და სხვა ისტორიულად ცნობილნი ქართველნი ჰქმნიდნენ საქართველოს ისტორიას; არა მარტო მათმა „სამგირო საქმეებმა“ შეანარჩუნეს ყოველ მხრივ დევნილ და ტანჯულ საქართველოს „ენა, საყდარი, სარწმუნოება, — ამგვარადვე დაუფასებელი იყო საქართველოსთვის მისი მორიგო და უბრალო შვილების, აი ისეთების, რომ გორნიც იყვნენ, მაგ., „ბებერი“ სანათა და „ობოლი“ კვირია, შეგნებული და უანგარო სიყვარული, ერთგულება, თავისდაღება.

სწორედ მაგისტანების ხელში იყო ნამდვილი „ბედი ქართლისა“: ისინი ჰქმნიდნენ იმ ზნეობრივ ატმოსფერას, იმ იშვიათს განცდას და გრძნობას, რომლითაც თამარები, სააკაძეები და ირაკლები სარგებლობდნენ საქართველოს განსაღიდებლად და ასაყვავებლად.

ვაჟას საოცნებოდ და სანატრელად გახდომია ბრწყინვალე და შარავანდედიანი სახე ძველის ქართველის ქალისა. და რამდენადაც ის გულნატკენი და უკმაყოფილოა „ახალი ქართლის“ თანამედროვე ცხოვრების სიცხადით და კერძოდ ქართველ დედის „გულის შეცვლით“, გაფუქსავატებით და გადაგვარებით, — იმდენად პოეტის ფანტაზიას და შემოქმედობრივ აღტაცებას განუყრელად თან ახლავს დიდებული აჩრ-

დილი და თვალწარმტაცი სახე ქართველის ძველის დედისა და ქალისა.

„დღისის სიცხადით გულ-დაჩაგრულს“, პოეტს ტკბილ ოცნებაში მაინც ეისზმრება ძველი „ნეტარი“ ქართველი ქალი; ისე მოწყურვებულ-მონატრებულთა მისი რეალურად მყოფობას და არსებობას, რომ სურს მოიკრიფოს თვისი შემოქმედების და აღმაფრენის მთელი ძალღონე და შეჰქმნას, განახორციელოს, სული შთაბეროს, ხილულ ჰქმნას, რეალობად აქციოს თვისი დამატკობელი ოცნება, ე. ი. სახე ქართველის ქალისა. ვაჟას სურს, თვისი ოცნება-იდეალს ისეთი სისხლხორცი შეასხას, რომ ყველა ჩვენთაგანს შეეძლოს მისი შეყვარება, მითი დატკობა...

გარდა სანათასი, ვაჟამ „ბახტრიონში“ მეორე ქართველი ქალის სიმბატური და ლამაზი სახეც გამოაქანდაკა. მე მოგახსენებთ ლელაზე.

როგორც ვიცით, კვირიას მოწოდებით მთელი ფშავ-ხევსურეთის მამაკაცები თუშების და კახელების მისაშველებლად გაელაშქრნენ. როდესაც მათ „საღმრთო ჰქნეს და დაჰკლეს ხარი და ცხვარი“, „ადიდეს ლაშარის ჯვარი, თამარის ნაჩუქარია“ და მერე პურის ჭამას შეუდგნენ, — ამ დროს მათ მოესმათ ქვიშის ხბრიალი და „თან ფეხის ჩქამი ცხენისა“.

„დადუმდნენ. ზოგნი წამოდგნენ,  
 აქით მიაზერეს თვალია...  
 თამაზად, ვაჟაკურად  
 თავს წამოაღჯათ ქალია.  
 ცხენს იჭდა მამაცურად,  
 წელს თუშც არ ერტყა ხმალია,  
 ხელთ ეჭურა შუბი წვერ მარგი  
 მამისგან მონაზარია“.

ეს უცნობი გამოდგა შანშეს ქალი ლე-



ლა. თურმე საბრალო შანშეს „მრავალი  
 ჭირვებია წყლოლები“: მტერთან ბრძო-  
 ლის დროს ისე დაჭრილა ვაჟაკი, რომ  
 „ველარ მუშაობს ხელით და წელითა“;  
 როცა ფშავ-ხევსურების „პირის ჰქნა“  
 (ე. ი. ომში გამგზავრება) გაუგია, „ცა  
 გაწითლებია სნეულსა“: აბჯარი მოუტა-  
 ნინებია, ცხენი შეუკაზმინებია, მაგრამ,  
 როდესაც შეჯდომა დაუპირებია, დასუს-  
 ტებულა—„ცხოველი სული ვერ მორე-  
 ვია უძღურს სნეულსა“... მამის სამაგიე-  
 როდ საომრად წასვლა შანშეს ქალს გა-  
 დაუწყევტია. როდესაც ხომარეული შე-  
 კითხა ლელას:

„ახლა რა ასდევ, დიაცო,  
 ადგომის მიზეზ რა არი?“, მან აი რა  
 პასუხი მისცა:  
 სხვა არ შინდა, გენაცვალეთ,  
 თქვენს მტერს გუფსა ჰხვდეს ჯახვარი,  
 და ჩაეყაროს უსურმაგსა  
 ბორბტს თვალებში ჩაჩარი.  
 (ჯაშქარში ჩოჩქოფი ისმის:  
 ეს სადაური, რა არი?)  
 ვერ მიხვდით? პირდაპირ გეტყვით:  
 თათრებთან ომი მწადიან,  
 შინდა რამ ჯგური ვიქარო.  
 ბეგრს რამ ავს საქმეს სწადიან:  
 იკლებენ საქართველსა,  
 ბუმბერაზობით დადიან.  
 რად გიკვირთ, ფშავ-ხევსურნო,  
 იქნებ მიწუნებთ ქალობით?  
 ჩემ ძმას ცხონებამ, გარგებდით,  
 ჩვენთა სალოცავთ წყალობით!  
 სმლის ქნევით ვერ გაგაკვირვებთ,  
 ფარ შუბის დაგეკლებითა,  
 მაგრამ ჩემს საცდელს მაინცა  
 გეცდები დამგეკლებითა.  
 ნუ გაფიწვლებათ, ბახტრიონს  
 ციხე სამ უდგავთ მაგარი,  
 შიგნითაც მოწეობილი აქვთ

სანგაღ-საუეჩებ-საფარაი;  
 კარებსა შავრა დაკეტილს,  
 ათას მხრივ უდგა ჩაფარი.  
 ნეტავ იქ დედასთან მომკვლა,  
 თათრებისა საშავარი!  
 მაგ ძაღლთ ძმათა სისწლიც მიმართებს,  
 უნდა ვიძიო იგია.  
 სისწლის ადება, ხომ იცით,  
 მუდამ წესი და რიგია.  
 ან უნდა თათრის ხმლით მოგკვდე,  
 მე თავი გადამიდგია“.

თუმცა ასეთი იყო სურვილი და გადა-  
 წყვეტილება ლელასი, მაგრამ მამაკაცების  
 რჩევამ, რომ ის შინ დაბრუნებულიყო და  
 უძღურ მამისთვის, მოეარნა და ეზრუნა,  
 შეაცვლევინა მას წინასწარი გადაწყვეტი-  
 ლება. ლელა, როგორც ქალი და ისიც  
 ახალგაზდა და გამოუცდელი, დამორჩილ-  
 და უფროსების რჩევას, თუმცა პირადი  
 მისი სურვილი იყო სისხლი აეღო ან თა-  
 თრის ხმლით მომკვდარიყო. გაგონება-  
 მორჩილება, უფროსის სიტყვის პატივის-  
 ცემა— ესეც ერთი საუკეთესო თვისება-  
 თაგანი იყო ქართველის ქალისა. რო-  
 გორც დავინახეთ, ლელა შურის ძიე-  
 ბის და სისხლის აღების სურვილს ისე  
 გაუტაცნია, რომ საპყარი მამა დაუტოვე-  
 ბია და თათრებთან შესაბრძოლებლად  
 გამგზავრებულა. მაგრამ ლელა ხორციე-  
 ლად და სულიერად იმდენად სალი და  
 მთელია, რომ მამაკაცთა გონიერი რჩევის  
 გავლენით აზღვავებულ გრძნობას იმორ-  
 ჩილებს, გატაცებას აქრობს და შვილუ-  
 რის მოვალეობის ასრულებას უპირატე-  
 სობას აძლევს. ეს იმას ამტკიცებს, რომ  
 ლელასი სურვილი და გატაცება, მისი  
 არაჩვეულებრივი გადაწყვეტა და ამ გა-  
 დაწყვეტილების სისრულეში მოყვანა,  
 შედეგი იყო ღრმა მოთქმებისა და გრძნო-  
 ბისა: პირად ჟინიანობას ან თავის გამო-

ჩენის სურვილს აქ, რასაკვირველია, აღ-  
გილი არ ჰქონია. ლელას ფიქრადაც არ  
მოსვლია თავის საქციელით ეფექტი მოეხ-  
დინა, ვინმე გაეკვირვებინა. მისი დაკარ-  
გვამ, დედის „საპრობამ“ და მამის „უძ-  
ლურებამ“ ისე იმოქმედეს მგრძობიარე,  
ჯან-ლონით და ენერგიით სავსე ლელაზე,  
რომ მან, მთიულეების შეხედულობით,  
ღიაციხათვის შეუფერებელი საქციელი  
ჩაიდინა. როდესაც მან მამაკაცების,  
თვისი სურვილის მოწინააღმდეგე, რჩევა-  
დარიგება მოისმინა და ეს ორი ერთმანე-  
თის მოწინააღმდეგე მოტივები შეადარა,  
თითონ თავის ნებით გადაწყვიტა შინ  
დაბრუნება, თუმცა მძიმე იყო მისთვის  
უარის ყოფა სანატრელი გადაწყვეტილე-  
ბისა. ქალმა

„ცხენი მოდრიჯა, გასწია,  
ქვითინი გაჭევა კვალდა;  
წავიდა გულ. ჩათუთქული  
მივაღის ძაღის-ძაღადა.  
ქაღის ქვითინსა მდუღარეს  
მთანი იწკრუნ მკერდზედა;  
ცრემლით ატირდნენ წყარონი  
ჩამომდინარნი გვერდზედა“.

როდესაც ლელეს ჩავიდა მწუხარე, მოუ-  
ლოდნელი ხმა მოესმა— „კაცის კივილი  
შორითა“. ეს იყო „ობოლ“ კვირიასი  
ხმა. მას „კკვაში დაჯდომოდა“ ლელას  
პასუხი, მაგრამ, რადგანაც იქვე, ლაშქარ-  
ში, „უფროსთა საუბარში ვერ ჩარევია“,  
გადაუწყვეტია ჩუმად, მალულად „თან  
გაყოლოდა“ ლელას და მისთვისთვის  
აზრი და გადაწყვეტილება გაეზიარებინა.  
ეს გადაწყვეტილება კი იმაში მდგომარე-  
ობდა, რომ კვირია და ლელა წინდაწინ  
უნდა წასულიყვნენ და „მიემართნათ თა-  
თრის ბინისთვის“ და მისალმების შემდეგ  
უნდა განეცხადებინა კვირიას, რომ მან  
ყვინს მოართვა „ფეშქაშად ტურთა ქა-

ლი“. შევიდოდნენ თუ არა ამ ნაირად-  
ციხეში, მათ ციხის კარი უნდა გაეღოთ  
ქართველთ ლაშქრისთვის, „თუნდაც რომ  
დაეკლათ ციხის კარებზედა“...

ლელას მოეწონა ეს წინადადება მიუ-  
ხედავად იმისა, რომ ასეთი საქმე მას აუ-  
ცილებელს სიკვდილს უქადიდა.

„შხადა ვარ, შენი ჭირიმე, — უპასუხებს  
ლელა კვირიას, —  
როგორც სჯობს, იცი უკვედა;  
მე კი გონება არ მიჭრის,  
გამხდარს დარდ-ბოდმის ბუდედა.  
შტრის ჯაგრი გულში მიდგია  
შავის ალაზნის გუბედა.  
ეგრ იყოს, შენ ამბობ,  
უარს არ ვიტყვი მაგაზე,  
აღონდ დაბას ჩვენ ჯანმა,  
თათრები ვირის ბაგაზე!  
იმოდენს მაინც არ შავდებე,  
რომ დამკლან დედის კაღთაზე“...

რომელ ჩვენთაგანს სასიამოვნოთ არ  
აუძგერებს გულს ასეთი ღირსეული და  
გმირული პასუხი და გადაწყვეტილება  
ნორჩი და ტურთა ლელასი, რომელიც,  
პოეტის აღწერით: ჰგავდა „სამოთხის ყვა-  
ვილსა, ნარწყავსა უკვდავებითა, ხორც-  
შესხმულ სიყვარულს ჰგავდა, აურწყველს  
უწყავებითა, ვარდს ჰგავდა, ვარდის წყლით  
ნაბანსა“.

ვინ არ იცის, რომ სიცოცხლე ტკბი-  
ლია და საშინლად ძნელია მისი გამეტება,  
განწირვა. განსაკუთრებით სიცოცხლე  
სწყურია ჯანლონით აღსავსე და სიღამა-  
ზე-სიჯიელით დაჯილდოებულ ადამიანს.  
აღლო სიცოცხლისა და წყურვილი მითი  
დატკობისა ისე ძლიერია ყველა ჩვენთა-  
განში, რომ შეგნებულად სასიკვდილოდ  
თავის განწირვა უზომოდ სამძიმოა: ამით  
სიხსნება ის მოვლენა, რომ ნამდვილი  
გმირობა და ჭეშმარიტი გმირი იშვიათი

მოვლენა ალამიანთა ცხოვრებაში, განსაკუთრებით იქ და იმ ხანაში, სადაც ეგონიში და პირადი სიამოვნებით დატკობის სურვილია გამეფებული.

ადვილი წარმოსადგენია, რა სანატრული და ტკბილი იქნებოდა ლელასათვის სიცოცხლე და მისი სიამოვნებანი, — ლელასათვის — ამ სასიცოცხლოდ გაფურჩქინილ „ვარდისათვის“, ამ „სამოთხის მზგავსი ყვავილისათვის“! მაგრამ ლელამ ეს თვისი ლამაზი და ნორჩი სიცოცხლე გმირულად შესწირა ოჯახის, თემის და ერის შეგნებულს სიყვარულს და კეთილდღეობას. ამასთანავე, აბა დაუკვირდით, რა უბრალოდ და მარტივად სწყვეტს ნორჩი ქალი უხუდიდეს საკითხს ადამიანის ცხოვრებისას — საკითხს სიკვდილ-სიცოცხლისას — და რა წყნარი და ღრმაა მისი „წადილი სიკვდილისა“, ოღონდ „ეშველოს ჩვენს ჯარსა“. მხოლოდ მხატვრის ცხოველს ფანტაზიას შეუძლიან წარმოიდგინოს და დახატოს ასე სრულად და უნაკლოდ „ვარდის“ მზგავსი სახე ქალისა; მხოლოდ ჭუნებით ღრმა გონიერს მწერალს შეუძლიან ასეთის ნათელის აზრით და წმინდა გრძობით გააშუქ-გააცისკროვნოს ის!

აშკარად ეტყობა, რომ ვაჟას უყვარს სიმპატიური, „უკვდავებით ნარწყავი“ სახე ლელასი და სურს მკითხველშიაც გამოიწვიოს ასეთი მისდამი სიყვარული. შეუძლებელიც არის ქართველმა არ შეიყვაროს ღრმად, გატაცებით ასეთი სახე ქართველის ქალისა. მართალია, ეს სახე თუმცა რეალობა არ არის და მგონის აღზნებულ ოცნების ნაყოფია, მაგრამ ჩვენ გვწადიან რეალობად გახედეს, სინამდვილედ იქცეს; ეს წადილი ისეთი მძლავრი და მოუთმენელია ჩვენში, რომ მართლაც ოცნება სინამდვილედ მიგვაჩნია, ფანტაზიით

შექმნილი სინამდვილედ წარმოგვიდგება. და რამდენადაც თანამედროვე ჩვენი „გამაშინებელი“ და „მალინა-კალინას“ მომღერალი „ბარიშები“ უსაზღვროდ დაშორებულნი არიან თავის ზნეობრივის თვისებებით ძველ დროის ქართველ ლელებს, იმდენად ჩვენ გვწყურია ლელასი გაცოცხლება და სინამდვილედ გაოდაქცევა...

ღიადი მნიშვნელობა ხელოვნებისა უმთავრესად იმაში მდგომარეობს. რომ, შეასხამს რა ხორცს რომელსამც იდეას, აზრს, ამითი გადააქცევს განყენებულ და უზილავ იდეას რეალობად, რომელიც შეიძლება კიდევ შევისწავლოთ, შევიყვაროთ ან შევიძულოთ. და რამდენად მეტს აზრს და იდეას ასე ახორციელებს ხელოვნება, იმდენად ამრავლებს და აფართოებს სფეროს ჩვენის გონების განვითარებისას და ესთეთიური დატკობისას, იმდენად ააზრიანებს და ატკობს ადამიანთა ცხოვრებას.

რას უნდა მსგავსებოდა ჩვენი ცხოვრება, რანაირად დაეწვრილმანებულ და გავპირუტყვებულ უნდა ვყოფილვიყავით ჩვენ, რომ საზოგადოდ ხელოვნება და კერძოდ პოეზია არ გვიხატავდეს იდეალურ სახეებს, საქმეებს და საქციელს, რომლებიც გვატკობს, გვასპეტაკებს და გვამაღლებს სულიერად? ხელოვნება თვისის „მოტყუებით“ ჩვენ გვაადამიანებს, ზნეობრივად გვწმენდს, ვინაიდან გვიხატავს იმას, რაც უნდა იყოს, გვაყვარებს იმას, რაც სასურველია.

ვაჟას პოეზიასაც უმთავრეს მიზნად ის დაუსახავს, რომ ლამაზად, წარმტაცად და სიყვარულით გამოაქანდაკოს, გააშუქოს და უკვდავების სული შთაბეროს ძველ ქართველის სახეს, თვით დასტკბეს მისის წარმოდგენით და ცხოვრების სინამდვილით გულნატკენი და დაჩაგრული



ქართველიც ასიამოვნოს, დროებით მინც ოცნების სიტკბოებით დაათროს. აღწევს კიდევ მგოსანი თვის მიზანს: ჩვენ ქეშმარიტად ვსტკბებით მათის ცქერით და წარმოდგენით და მხნედ ვამბობთ: არ უნდა მოკვდეს ის ერი, რომელსაც ასეთი შვილი ჰყოლია და რომლის შვილს — პოეტს ასე გენიალურად მოუხერხებია მათი გაცოცხლება-განხორციელება!

უეჭველია, ჩვენთვის ძვირფასი და სათაყვანებელია ისტორიული სახე ნინო, ქეთევან და თამარისი, მაგრამ არა ნაკლებ საამო და ტკბილია ჩვენთვის იდეალური, ოცნებით შექმნილი, სახეც სანათასი და ლელასი. როგორც პირველთა, ისე მეორეთა მოგონებამ, მათმა ქვრეტამ უნდა გამოაცოცხლოს მიმქალ-მიფერფლილი სახე ქართველ დედებისა და ჩაპბეროს მათ უწინდელი სული ცხოველი.

ყველა ქართველი ამას მოჲლის, ყველა ამის ნატვრაშია!

ჩვენ გავცეცანიერამოდენიმედ იდეალურ სახეს ძველი ქართველებისას, რომელიც განსაკუთრებულის სიყვარულით დაგვიხატა ოცნებით და იმედით აღზნებულმა ვაჟს ფანტაზიამ და გონებამ. გოგოთურის, ალუდასი, ლელასი, სანათასი და სხვების სახეებში, (ლუხუმი, ზეზა, კვირია), მგოსანმა ჩააწნა და ჩააქსოვა უწინდესი თვისი გრძობა, საოცნებო იმედ-მოლოდინი, ტკბილი ნატვრა და მწვავე ფიქრზრახვა, — ერთის სიტყვით, მთელი თვისი სული და გული. და არც უნდა გვიკვირდეს ეს. ცხადზე უცხადესია, რომ თვით პოეტი, თვისის სულიერის ძალ-ლონით, მისწრაფებით და ცხოვრების მიზნით, მისგან ოცნებით განხორციელებულ გმირების სულიერი ძეგლი, ოლონდ ამ განსხვავებით, რომ, ჟამთა ცვალებადობისა გამო, ის იძულებულია საქმობლოს ბედნიერ-

ბისათვის საბრძოლველად აღიქურვოს არა „ხმალ-შუბითა და ფართითა“, არამედ კალმით და მელნით და რომ ის დააბერდააუძლოურა. არა „ლაშქრობამ, ძალღუმადურმა გდებამა“, არამედ „ქართლის ბედზე“, მისი შვილების უკუღმართობაზე და მტრების ვერაგობაზე მწარე ფიქრმა და მტანჯველმა ოხერამ.

როგორც სულიერად ძველ საქართველოსი ღვიძლი შვილი და ძველი გმირებგს მონათესავე, ხორციელად კი უდროვო დროს, შეუფერებელ ჟამს დაბადებული და აღზრდილი, — ვაჟა ლალად, ბედნიერად და სრულადამიანად გრძობს თავს მხოლოდ ძველი ცხოვრების წარმოდგენის და მოგონების ატმოსფეროში; მხოლოდ იქ განიცდის. მშობლიურ ერთან სულიერს ნათესაობას, ძმობას, თანხმობას, გმირობის და ვაჟკაცობის სიტკბოებას.

აწინდელი მდგომარეობა კი საქართველოსი მას სრულებით არ ენათესავება, რადგანაც უწინდებურს თვისებებს — გმირობას, ვაჟკაცობას, შეგნებული მამულის შვილობას, გრძობის სიწმინდეს და გონების სიმალლეს — მასში აღგილი არა აქვს, ან ძლიერ შესუსტებულა, შერყვნილა. დღეს, ვაჟას რწმენით, ნაცვლად გოგოთურებისა, ალუდა ქეთელაურებისა, ლუხუმებისა, ზეზებისა, სანათებისა და ლელების მრავლად არიან მხდალი და მოლალატე „წიწლოვები“ („ბახტრიონი“), „უფალი სუდიები“, „ზაკონის“ წარმოუმადგენელი „მამასახლისები“ და „პრიპტავეები“ (იხ. „სურათები, იხ. გვ. 4(1)).

მგოსანი გულმოკლულია აწინდელის ცხოვრებით; ის ვერსად ხედავს აზრიანს, შეგნებულს და გმირულს საქმეს, მისწრაფებას, იდეალს. მისი სული ვერ შეეგუა გარდაცვლილ საქართველოს გულის ძვერას, ვერ შეეთვისა მისი დაწვრილმანებულ

შვილებს, მათს ლაჩრულოს და მონ.ურს საქციელს. ის ობლად გრძნობს თავს თანამედროვე საქართველოში, დაჭრილს არწივს ემზგავსება მისი არსებობა.

ვაჟა თავისუფლად და ლალად თავს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როდესაც საქართველოს ძველ ცხოვრებას იგონებს, როდესაც ჰქმნის მისი გმირი შვილების საუცხოვო სახეებს, როდესაც ოცნებით მაინც მათთან მოქმედობს, სამშობლოს თავს დასტრიალებს, მტრების „სიწუნტის ნალველი ყელში დუღილით ამოდის“. ამაყი, ლალი და ბედნიერია ამ დროს ჩვენი მგოსანი; მისი „სიმღერაც“ მხნე და იმედოვნანია.

**თანამედროვე საქართველო და ქართველები ვაჟას პოეზიაში.**

„ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს, იკარგებოდეს სახელი“.

ზემოდ ჩვენ დავინახეთ, თუ როგორი წარმოდგენა და შეხედულობა აქვს ვაჟას საქართველოს წარსულ ცხოვრებაზე და ძველ ქართველებზე. ეს წარმოდგენა ნათელი და იდეალურია. მგოსნის ოცნებაში, მისმა მამულიშვილურმა დაუკმაყოფილებელმა წყურვილმა მონახა წარსულში ისეთი მოვლენები და პირები, რომლებიც დღეს არ არიან, გამქრალან, მაგრამ რომლებიც შესაძლებელნი და, მით უმეტეს, სანატრელნი არიან ყველა ქართველისათვის. ეს ტიპები უსიკოცხლო იდეალიზაცია არ არის; ისინი არიან შესაძლებლობის განხორციელება, კერძო შემთხვევათა, კერძო მოვლენათა, კერძო პიროვნებათა გაზოგადება, გატიპიზება; ისინი არიან ცხადყოფა, ხორცშესხმა იმი-ლი, რითი სულდგმულებს მგოსანი, რაც

შეადგენს მისი სანეტარო ოცნებას, რასაც გარს ევლება მთელი მისი შემოქმედება და რაც აცოცხლებდა და რაც დღესაც აცოცხლებს მრავალ ტანჯულ საქართველოს. დეე, მგოსნის ფანტაზიის ნაყოფი, მისი წარმოდგენის შინაარსი წარსულ ცხოვრების შესახებ სრულად არ ეთანხმებოდეს ისტორიულს სინამდვილეს; დეე, ამ სინამდვილემ ბევრი ფაქტებიც გვიჩვენოს პოეტის წარმოდგენის საწინააღმდეგო; დეე, გოგოთურები, ალუდა ქეთელაურები, ლელები, სანათები, კვირიები, ჩაღბიები და სხვა ვაჟას იდეალური გმირები იშვიათს მოვლენას წარმოადგენდნენ ჩვენს ცხოვრებაში; დეე, საქართველოს, — ხუთ დამოუკიდებელ საშთავროებად დაყოფილს, — უკანასკნელ ოთხ საუკუნის განმავლობაში ნუ ჰქონია, გაჰქრობია შეგნება განუყოფელ საქართველოს იდეისა და ყველა ქართველ თემების ერთმობისა; დეე, ამ დროის განმავლობაში ჩვენში დაცემული იყო ძლიერება, ავტორიტეტი მეფისა, ალვირ აქსნათ დიდებულთ, თავადებს და დეე, მთლად საქართველოში გამეფებულ იყოს (უკანასკნელ საუკუნეში მაინც) მათი თვითნებობა და ანარხია... დეე, სუყველაფერი ასე ყოფილიყოს (და მართლაც, როგორც ვიცით მიუდგომელ ისტორიადგან, ეს ბევრს შემთხვევაში ასეც იყო)... მაგრამ მგოსანი მაინც მართალია და ჰეშმარიტებას და სინამდვილეს არ ჰღალატობს, როდესაც ძველ ქართველ ქალის და კაცის სულიერს და ფიზიკურს გმირობას და გოლიათობას გვიხატავს; პოეტი მართალია, როდესაც მათი „საარაკო“ საქმეთა და მოქმედებათა მოწმედ გვხდის, რადგანაც ის, როგორც მხატვარი და ერის სულის თვით საუკეთესო გამონაშუქი, მშობელ ერის ცხოვრებაში უმთავრესად ეძებს მისი ზო-

გადი და ნიშანდობლივი თვისებების გამოქვეყნებას და არა შემთხვევითი, უძლეველ გარემოებათაგან გამოწვეულ, ვითარებებს... მგოსანი, მხატვარი ისტორიკოსი როდია. ამისთვის მას ჩვენ ვერ დავაღვალთ ისტორიულ ფაქტების უცვლელად აღნუსხვას, გადმოცემას; ნამდვილ ისტორიულ მოვლენათა და პირთა ფოტოგრაფიულად, უცვლელად გადაღებას.

რასაკვირველია, ვაჟასაც ცოცხლად წარმოდგენილი აქვს. თუ რას წარმოადგენდა, მაგალითად, ქართლ-კახეთი ირაკლის დროს; თუ როგორ იყო ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუძღვრებული შინაური და გარეული მტრებისაგან; მან კარგად იცის, თუ როგორ შემცირდა რიცხვი ქართველებისა, როგორ უთხრიდნენ საქართველოს. ძირს შეფის წულნი, დიდებულნი და თავადნი; თუ როგორ გამრავლდნენ სამშობლოს მოღალატენი; ისიც ესმის მას, თუ როგორ იტანჯებოდა გლეხობა აღვირ წახსნილ და ვათამამებულ თავად-აზნაურობისაგან და სხვა და სხვა...

მაგრამ მაინც მგოსნისთვის საკმარისია ამ საერთო გათახსირების, ვალატაკების და დაუძღვრების დროს შეამჩნიოს მომხიბვლელ-მომჯადოებელი სახე ირაკლისა — ამ „გმირთა გმირისა“, ამ ქართველ ერის გენიოსობის განხორციელებისა — და მის წინაშე მთიულთა ერთგულება, ვმირობა, თავის განწირვა და მეფისადმი უღრმესი სიყვარული... და ვაჟას მხატვრულ მხედველობის წინაშე იჩრდილება ყოველივე ნაკლი ქართველი ერისა: პოეტის წარმოდგენას, გულს და გონებას სავსებით იპყრობს მხოლოდ ეს საუცხოო და იშვიათი სანახაობა.

ვერც მტერი და ვერც მეგობარი ვერ იტყვის, რომ ქართველი ერი გმირი ერი

არ ყოფილიყოს, რომ მას ხანგრძლივ თვისი ისტორიული ცხოვრების განმავლობაში მართლაც „საზღაპრო“ საქმენი არ გაეკეთებინოს; რომ მას არა ჩვეულებრივის ძალით და ზეკაცურის თავგამოდებით „ენა, საყდარი, სარწმუნოება“ არ დაეცვას და არ შეენარჩუნებინოს; რომ მას თავისებური კულტურა არ შეექმნას და არავითარი განძი არ შეეცანოს საკაცობრიო საგანძურში... და ეს მაშინ, — ნუ დავივიწყებთ, — როდესაც მას, — ყოველთვის რიცხვით მცირეს, პოლიტიკურად სუსტს, ეროვნულად დაყოფილ-დანაწილებულს, ეკონომიურად ღარიბს, გარს ერტყნენ ძლიერნი, მრავალ რიცხოვანნი და ისტორიაში ცნობილნი სახელმწიფონი: სპარსეთი, სათათრეთი და სხ. შინაურობაში ერთმანეთის მოქიშენი, გულზვიადნი, უკიდურესი ინდივიდუალისტნი, თავმოყვარენი, თვითკერძონი, უღისციპლინონი, — ქართველნი მხოლოდ ერთად ერთს შემთხვევაში იჩენდნენ იშვიათს სულიერს სიმხნევეს და სოლიდარობას: ეს იყო მომენტი მტრის შემოსევისა და სამშობლოს დარბევისა. მაშინ თვითოველი ქართველი მეომარი გმირად იქცეოდა, დროებით უკუიყრიდა უვარგისი თვისებჩვეულებებს და „საზღაპრო“ საქმეებს ჩადიოდა. გმირობა, საარაკო ვაჟაკობა, ფიზიკური ძალა და სულიერი შეუდრეკლობა — აი ის ძირითადი და უცვლელი თვისებები, რომლებსაც ქართველი ყოველგან და ყოველთვის იჩენდა და ამტკიცებდა. მხოლოდ ამ თვისებათა წყალობით შესძლო მეფე ირაკლიმ ერთი მუჟა მეომრებით გამკლავება მაშინდელ ბუმბერაზ სპარსეთთან და ოსმალეთთან და არა ერთხელ სასტიკად დაამარცხა კიდევ სპარსოსმალთა ლაშქარი! სახელმწიფო, რომელსაც, როგორც ისტორიკოსები მოწ-



მობენ, მეთვრამეტე საუკუნის მიწურულ-  
ში კირიცი არა ჰქონდა თბილისში ციხე-  
კოშკების შესაკეთებლად და შუამთის მო-  
ნასტერში აგზავნიდა შიკრიკს— გვიშველე  
კირი გვასესხეო, ასეთი, პირველ შეხედ-  
ვით, საბოლოოდ დაუძღვრებულნი სახელმ-  
წიფო ძალით ვერ დაემორჩილებინათ  
ძლიერ აზიურს მონარქებს!

რა იყო მიზეზი ასეთის სასწაულისა?

პირადი გმირობა თვითოეულის ქარ-  
თველისა, მათი „მკლავი ძლიერი“ და  
„სული მამა-პაპური“! ქართველი რომის  
ღროს მოკვდებოდა ჯა ზურგს კი მტერს  
არ აჩვენებდა. რა იყო გაქცევა, ლაჩრუ-  
ლი სიმბდალე, მტრის წინაშე შიში, რაც  
გინდ მძლავრი ყოფილიყო ის, — ეს ქარ-  
თველმა არ იცოდა. თავისთავად ეს თვი-  
სება ჩვენის ერისა ლამაზი და თვალწარმ-  
ტაცია. ყოველთვის და ყველგან, ძველად  
და ახლად, ასეთი თვისება ატყვევებს ყო-  
ველ ადამიანის, მომეტებულად მხატვრის  
წარმოდგენას, ოცნებას, ფანტაზიას. მაშ  
ჩვენც რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ამ  
იშვიათმა თვისებამ დაატყვევა, მოაჯადოვა  
სული და გული, ფიქრი და ზრახვა გმი-  
რი ერის გმირად დაბადებულის შვილის—  
ვაჟასი! ის ღრმად გრძნობს, რომ თუ  
დღემდის ქართველს ქართველობა შერჩე-  
ნია, თუ დღემდის საქართველო იხსენიე-  
ბა, თუ დღემდის მას შეუნარჩუნებია „ცა-  
ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლოს  
მიწა-წყალი, — ეს მხოლოდ ამ გმირობის  
და ვაჟაკობის წყალობაა.

ვაჟამ, რასაკვირველია, ისიც იცის, თუ  
ქართველთა რომელ თვისებებმა დააბრკო-  
ლა წინმსვლელობა, გაერთიანება, გაძლიე-  
რება, მძლავრ ერად გადაჰქმნა საქართვე-  
ლოსი; თუ რამ გააქარწყლა, გაანიავა,  
უნაყოფოდ დასტოვა ქართველების საარა-  
კო ფავანწირულება და გმირობა. ეს

იყო და არის ქართველთა უთანხმოება,  
შეურიგებლობა, პირადი ჟინიანობა, უკი-  
დურესი ინდივიდუალისტობა, ყოველი  
კერძო პირის მიზანშეუწონელი აქტივო-  
ბა... პირველი თვისება (გმირობა), პოე-  
ტის რწმენით, სჯარბობდა ძველად, და  
ისიც მას შეჰხარის, მასზე ოცნებობს, მას  
აქებ-ადიდებს.

მეორე თვისებამ, მისივე აზრით, ძლიე-  
რად თავი იჩინა „ახალ ქართლის“ ცხო-  
ვრებაში და მთლად დაჩრდილა პირველი,  
და მგოსანიც ამას დასტირის, ამაზე ჰგლო-  
ვობს...

— რამდენადაც აღფრთოვანებულია ვა-  
ჟას „სიმღერა“: ქართველთა წარსულ  
ცხოვრების მოგონებით, რამდენადაც  
ტკბილად აჟღერებს ის ჩანგს ძველ ქარ-  
თველთა საგმირო საქმეების სადიდებლად,  
იმდენად მწუხარე და ნალვლიანია მისი  
„სიმღერა“, იმდენად „ყორნის ყრანტა-  
ლად ქცეულა“ მისი მოთქმა ჩვენს დღე-  
ვანდელს დაბეჩავებაზე. პოეტი ამბობს:

„რა ფრად დავდამხებულ ვარ,  
ცრემლი მადგება თვალებში,  
მუხლთ მიკვეთება, ვმუნჯდები,  
სიმდაბლეს მომდის მკლავებში:  
ყორნის ყრანტადად ქცეულა:  
ბუღბუღის სტვენა ჭაღებში;  
გულსა და განებას შირვეს  
ავად ბუნების თარეში, —  
კარგისა შეცვლა ავსება  
ამ ჩემს სამშობლო მხარეში!..

უმზგავსობა: კეთილი  
ბოროტისაგან ძღუელა.

გულე მიკვდება, თვალთაგან

მღუდარე გადმოსთხეულა! („პასუხი ბა-  
ჩანას“, „სახ. გაზ.“ 1913 წ., № 1032).

თანამედროვე საქართველო, მისი ეროვ-  
ნული სხეული, მგოსნის წარმოდგენით,

დღეს „დაწყლოზღებულისა“ (ცრ., 13). საქართველოზე „მოზღვავებულა ავი“ (ცრ., 172); ის გამხდარა ვიგინდარების „საჯიჯგნად, დასაზიანად“ (ცრ., 173), „ყვაფ-ყორნის სადილად“, „ტურა-მგლის გასაყვლეფად“ (ცრ., 94); მისი „ყოფა დაბეჩავებულა“ (ცრ. 177); საქართველოს, ისედაც „დავროდომილს, აუდგომელსა“, ფეხებზე „ხუნდი მობმია“ (ცრ., 211); ერთის სიტყვით, საქართველო გადაქცეულა „განგების სათამაშოდ“ და მეზობელთა „გასართობად“ (ცრ., 187).

ასეთი ბედი საქართველოს უმთავრესად იმისთვის ეწვია, ასეთი სამასხაროდ და აბუზად ასაგდები ის იმისთვის გადაიქცა, რომ მას ირაკლების, ალუდეების, გოგოთურების და „მზგავსთა მათთა“ მაგიერ დაებადნენ უღირსნი „თმა გრძელა—ქუჯათხელა“, ვითომდა „გამეცნიერებულნი“, შვილები, რომლებიც, მათდა სამარცხვი-ნოდ და ქვეყნის წასახდენად,

„... შეგობრბენ ადი-მუხას,  
მწერა: ჯად არან ძმასთანა,  
სამშობლას ზურგი აქციეს  
რადგან კუდი აქვთ სხვასთანა...  
დედას მანდილი მოჭხადეს,  
ცოლს გაუყიდას კაბები,  
ღვიძლ შვილს სიშვილით ჭხოცვენ,  
გარედ გაზიდეს ტახლები“ (ცრ., 21).

ამ „ნასწავლ-გამეცნიერებულ“ საქართველოს შვილებს, სალი და სასარგებლო შეხედულობის ნაცვლად,

„ვიბე-უბეში უწევიათ  
ეკრძაბიული აზრები,  
უმ-უმი, უდეჭ-უცოხნი  
მაღალი „სორტის“ ფრაზები“.

ვაჟის რწმენით, ნაცვლად აქტივობისა, შეგნებული და შეუჩერებელი ენერგიული მუშაობისა და მოქმედებისა, ამ ვაჟბატონებს ცხოვრებაში შეაქვთ მხოლოდ გახრ-

წნა და განხეთქილება, დამლუპველი თეორეტიზმი და კოსმოპოლიტობა. ესენი ვითომც დიდ საკითხებზე ჰფიქრობენ, ქვეყნის და მისი არსებულ წეს-წყობილების გადაბრუნებას ჰლამობენ, თავის თავს სთვლიან „ქუეის კოლოფად“, მაგრამ, საუბედუროდ, მათ მხოლოდ „ფილოსოფოსის სახე აქვთ და დონ-კიხოტის კლანჭები“.

პოეტს „ისა ჰკლავს, გულს ის უქენჯნის“, რომ საქართველოს იმ შვილებშია, რომლებსაც გულწრფელად თავი ქეშმარიტ მამულიშვილად მოაქვთ და მის ჭირ-ვარამზე ჰლალადებენ და მოსთქვამენ, მომეტებულად „თქმა არი, საქმე კი არა“: (ცრ., 73).

ზოგიერთნი ქართველნი მოღვაწენი, გარეგნულად „ქვეყნის ერთგულნი“, იმდენად დაავადმყოფებულან თვითონ გრძობა-გონებით, რომ სხვა მოღვაწეთა „ერთგულობაზე ხალხს აცქერინებენ ეჭვითა“; მათ სხვაში შურთ იგივე გრძობა, რისი მატარებელნიც თვითონ არიან. პოეტი დიდის ეჭვით უყურებს ასეთს მოღვაწეებს, არ სჯერა მათი გულწრფელობა და ისეთ უღირს ადამიანებადაც სთვლის მათ, რომლებთან „ძმად გაფიცვა“ შეუძლებელია.

„... რა მართლა ქვეყანა უყვარს,  
მე ეს არ დამიჯერია:  
ენით თვალითაქცობს ალბათა,  
გუდით კი საღხის მტერია—  
იქნება ეს არც კი იცის,  
იგი იმდენად მტერია..  
მამ რისთვისა სძულს თავის მსგავსი,  
მის მსგავსის გრძობის მოქმედია,  
თუ მართლა სამშობლო უყვარს,  
გრძობა გონებით მთუელია?!  
არ არის საწამებელი,  
რაც იმას დაუწერია“ (ცრ., 200).

ამ პატარა ლექსში მგოსანმა გადაგვი-  
შალა მთელი სურათი ჩვენის სულიერად  
გადამახინჯებისა და გამრუდებისა. ის აქ  
ეხება ისეთს ჩვენს ძირითად ეროვნულს  
ნაკლს, თითქმის ავადმყოფობას, რომე-  
ლიც ამ უკანასკნელ დროში ძირს უთ-  
ხრის, უნაყოფოდ სტოვებს ყოველსავე  
ჩვენს საქმიანობას და მისწრაფებას. ეს  
არის ჩვენი ერთმანეთის „სიძულვილი“,  
„შურიანობა“, დაუნდობლობა, გაუტან-  
ლობა, უსოლიდარობა. ამ ნაკლით „გა-  
სენილია“ დღეს ჩვენში ყველა: დიდი და  
პატარა, ნიჭიერი და უნიჭო, გლეხი და  
აზნაური, ერი და ბერი... ზრთგული,  
გულწრფელი, უანგარო. ერთმანეთის პა-  
ტივისცემით, ღირსების დაფასებით, ღვაწ-  
ლის აღსარებით გაშუქებული საერთო  
კულტურული შრომა ჩვენში ჯერ-ჯერო-  
ბით არ ყოფილა და არ არის. ერთი აღ-  
თას ეწევა, მეორე — ბალთას; ერთს სწო-  
რედ ის არ მოსწონს, რაც — მეორეს; ერ-  
თი იმის დარღვევას და გაფუჭებას ცდი-  
ლობს, რაც მეორეს გაუკეთებია. და ეს  
აზრთა წინააღმდეგობა და გრძობათა  
ჟინიანობა თავმოყვარეობით და უბრალო  
ახირებითაა გამოწვეული და არა პრინცი-  
პების და იდეების სხვადასხვაობით და მა-  
თი ერთმანეთთან დაჯახებით. აბა ჩაუკვირ-  
დით ჩვენი „მოღვაწეების“ საქმე-საქციელს  
უწინ და ეხლა სხვა და სხვა მოქმედების  
სფეროში: საზოგადოდ ხელოვნებაში,  
კერძოდ — პოეზიაში, პუბლიცისტიკაში,  
ისტორიაში, მეცნიერების სხვა და სხვა  
დარგში, საზოგადოებრივ დაწესებულებებ-  
ში და სხვა. რას შეამჩნევთ? უთანხმოებას,  
სიძულვილს, უაზრო „პარტიობას“, გან-  
ხეთქილებას, ერთმანეთის უპატივისცემ-  
ლობას... ფაქტები იმდენია და იმდენად  
საერთოდ ცნობილი, რომ მათი აღნუსხვა  
მეტად მიგვაჩნია.

ეს რომ ასე არ იყოს, განა ჩვენში რა-  
მე ღირს შესანიშნავი და ქვეყნის სასარ-  
გებლო საქმე არ გაკეთდებოდა? განა ის  
ენერგია, რომელიც ჩვენში ერთმანეთის  
კინკლაობაში, მტრობაში და სიძულვილ-  
ში იხარჯება, რამე კეთილს ნაყოფს არ  
გამოიღებდა? ანდა ნიჭიერნი, მხნე და  
ენერგიულნი მოღვაწენი არ გვებადებიან?  
როგორ არა: გვებადებიან, გვყავდა და  
გვყავს, მაგრამ მათი მოქმედება უნაყო-  
ფოა, რადგანაც, ვაჟას თქმისა არ იყოს,  
„სხვისთვის სძულთ ის გრძობა, რისიც  
მტვირთველნი თვითონ არიან“ და საერ-  
თო სოლიდარული შრომისა არა გაეგებათ  
რა. და იქ კი, სადაც სოლიდარული  
შრომა არ სწარმოებს, არაფერი ღირს  
შესანიშნავედ არ გაკეთდება; იქ ფუჭია  
კერძო პირთა თავგამოდება და ენერგიის  
დახარჯვა!

საქართველოს ისეთი, პირადი ინტერე-  
სების მალმერთებელი, შვილებიც დაებად-  
ნენ, რომლებიც „გარბოდნენ“ და დღე-  
საც გარბიან გარეთ, ე. ი. თავის ნებით  
სტოვებენ სამშობლოს, მის არე-მარეს და  
სამოქმედო-სამოღვაწეოდ უცხოეთში იხი-  
ზნებიან; მათ „შინ არ სწადიან დადგომა“  
იმ აზრით და მოსაზრებით, რომ ვითომც,  
მათის წარმოდგენით, საქართველო „კვდე-  
ბა თავს მანდილი ჩამოხეული“, მაშასა-  
დამე საჭიროა სხვაგან ძებნა ასპარეზისა  
და არსებობისათვის წყაროსი. ასეთი პი-  
რების საქციელი, ვაჟას აზრით, მით უმე-  
ტეს დასაგმობი და საზიზაროცაა, რომ  
მათ მშობელ დედა-ქვეყანას მაშინ დას-  
დეს „წუნი“ და მიატოვეს,

„როდესაც ღოგინად იწვა სხეული,  
ჭკვესსოდა, ტრემლებს აფრქვევდა  
მიტოვებული, ეული;  
წელულებში აღარ უჩანდა  
გვკმულ-ტანჯული სხეული“. (ცრ., 214).



ბოლოს კი ზოგიერთი მათგანი, დარწმუნდნენ რა საქართველო არ კვდება და მაშასადამე „შინაც შეუძლიანთ სჭამონ პური“, თანდათან ბოდიშის მოხდით და თვისის დანაშაულის აღსარებით უბრუნდებიან „დედასა“; დედა კი მათ შემდეგს ეუბნება:

„მე გაპატიებთ, მიგიღებთ,  
თუ ღმერთმაც ასე განსჯა...  
თუ გაპატიათ, მშობლისა  
ორგული აღარ დასჯა“. (ცრ., 125).

საველალოდ, საქართველოს ბლომად გაუჩნდნენ ისეთი შვილებიც, რომლებიც პირდაპირ, ურცხვად სჩაგრავენ მოძმეებს, მტრებს მხარს უჭერენ და სამშობლოს დამცირებაში და შეურაცხყოფაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ: ყოველსავე მშობლიურს უარს ყოფენ, ტალახიან ფეხებით სთელავენ მისს წმინდათა წმინდას, კუქს და მისი მოთხოვნილებებს კი ერთგულად, მონურად ემსახურებიან. რასაკვირველია, ესენი საბოლოოდ დაკარგულად უნდა ჩასთვალოს „დედამ“ — საქართველომ; მათი გამოსწორება, ქეშმარიტ გზაზე დადგომა და დანაშაულის შენანიება შეუძლებელია, ვინაიდან მათ „სინილისიც არ არცხვენს ოღნავად, ერთი ბეწვალა“ (ცრ., 19).

ქვეყნის ორგულნი, პირად ინტერესების მალმერთებელნი, სინილისი და პატიოსნება დაკარგულნი, ქს ვაჟებატონები, როგორც „ბაყაყი“ ვაჟის ერთს ლექსში („ბაყაყის სიმღერა“, ცრ. 159), ურცხვად, „გულცივად და რიხიანად“ მღერიან:

„... მე ვარ და ჩემი ჭაბუა,  
მცხფრებნი ჯიშინადა.  
ჭაბი დაჩქეს, ქვეყანა  
ადიფხვრეს ძირიანადა!  
მიყვარს იმისი სიმშობრე

და ზედა ზირზე ობია,  
ქვეყნად მას რა შეედრება,  
ეგვლაფერს ისა სჯობია.  
ის მასაზრდოებს, მასუქებს  
ათასგვარ ჭია-მდილითა,  
ღმერთმა ამრავლდოს ჭიები,  
მატლები, — ვძლები იმითა“...

ვაჟა ამტკიცებს, რომ ქართველ მღაბიოხალბშიაც, სოფელშიაც თითქმის გამქრალა უწინდელი ყოფა და ცხოვრება, ძველებური აზრიანი, ქვეყნისთვის სასარგებლო შრომა და გარჯა. აქაც გაფუქსავატებულა ქართველი, აქაც გაპქრობია მას „სული მამაპაპური“ და უაზრო, მცენარიულ ცხოვრებას მისცემია.

„როდესაც სოფელს გავიხსენებ, ამბობს ვაჟა, მაშინვე თვალწინ წარმომიდგება ტყე, მინდვრები, მდინარე, მთები, მიწური და ჩალური გაბეჩავებული ქოხები და გაქიმული გუთანა, ცელი და ნამგალი, მკითხავი და ქადაგი, მღვდელ-ღიაკვანი, მნათე და გონების სიჩლოუნგე, ქუდ-მობრუნდებული მქადა აზნაური, სუღია-მამასახლისი, ილიაში ჯობ-ამოჩრილი გზირი, რომელიც ჩამოწეწილს ჩოხის კალთებს დაათრევს, წვიმისგან გალუსკულს ქათამს დაჰფერებია, უგზო-უკვლოდ დაფარფატებს სოფლის უსწორ-მასწორო ქუჩებზე, ხან აქ დააჩენს ქუღის წვერს, ხან იქ, ამოადენს ძაღლების ყეფას, დედაკაცებისა და ქათმების წიოკს, ყივილ-ნივილს. გზირი სოფლის ქორია... უნებლიეთ მაგონდება „კანცელია“, ცხრაგან ჩამონგრეული, და ღუქანი, რომელშიც მეტად ავი სული ტრიალებს. დიად, ღუქანი მისის განათლებულის დახლიდრითურთ, რომელიც „სვოლოჩიო“ ეუბნება გლეხებს და ლოქოსავით პირი დაუღია ყველას და ყველაფრის ჩასაყლაპავად.

ღუქანი სოფლის „კანცელიის“ განყო-

ფილებსა. გასამართლება იქიდგან იწყება ხოლმე და თვით სამართალიც ღვინის რუმბში ჩაუმწყვდევიათ სოფლის მოხელეებს. საბრალო სამართალი რუმბში ზის მობუზული და თვადითაგან ცრემლი ჩამოდის ღაპა-ღუბით“ („ჩვენი სოფელი“, თბ., 1964)...

„... ერთი საზოგადო თვისება სოფლებს ისა აქვს, რომ აქა ბუღობს უმეცრება, დათარეშობს ცრუმორწმუნოების გუნდი, აქა მეფობს უზრუნველობა... უნივერსიტეტად სოფელს ქადაგ-შკითხავების ქოხ-მახობა დაუფუძნებია, სადაც გონიერების და ზნეობის გაკვეთილებს მცხოვრებთ უვიცნი და ბრიყვნი მამანი და დედანი უკითხავენ... უმთავრესი სოფლის მოთხოვნილება, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ერთად-ერთი, გაძლომაა. როცა ჰშიან სოფელს, მარტო მაშინ ამუშავენ გონებას სიცოცხლის საღსრის მოსაპოვებლად და როცა გაიძლებს კუქს, მაშინ გონებას დააძინებს, აღარა სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება... სოფლის „იდეალი ფეხ-მოკლე და ფრთა შეკვეცილია“... („სოფლის სურათები“, თბ., გვ. 473—4).

როგორც ვხედავთ, ვაჟა გულდამწვარი და დადარდიანებულია თანამედროვე ცხოვრების ვითარებით, მომეტებულად სოფლის ცხოვრებისა, ვინაიდან „ჩვენი ძალა, პოეტის სიტყვითაც, იქ არის დამარხული“. ამით აიხსნება, როგორც ზემოდა ვსთქვით, მისი ლირიკის ელეგიური, მელანქოლიური ხასიათი და მთელი მისი შემოქმედების სევდიანობა.

ერთს თავის ლექსში პოეტი ნაღვლიანად წარმოსთქვამს:

„ვაი როჲ ცუდი ბეწია,

ჭაფუნა ძსუღია კარგისა“-ო. (ტრ. 85).

და ამით ლაკონიურად დაასკვნის თანამედროვე საქართველოსი და ქართველების

ყოფის და მდგომარეობის დაბეჩავებას, დაცემას. საქართველოს თანამედროვე მდგომარეობას მგოსანი ადარებს „უღაბურს ადგილს ამოსულს ვარდს“, ობლად მდგარს „გაყვირთლებულის ფოთლითა“, ან და ამზგავსებს „უზარმაზარ“ ამყ მთას (რომლის მწვერვალის შეხება უწინ არწივსაც უძნელდებოდა), წაქცეულს, მომაკვდავს, ქვეყნის სათელად და კაქკაქის საბუღრად გამხდარს (ტრ., 8).

ვაჟა ცხადად ხედავს, რომ ერთს დროს მხნე და გულადი, ამაყი და სულით ძლიერი ერი დღეს დაავადებულა, დაუძლიურებულა, თითქმის სასიკვდილოდ დაჭრილა. მართალია, მას კიდევ ამჩნევია სიცოცხლის ნიშან-წყალი, მთლად არ მომაკვდარა, მაგრამ, საუბედუროდ, უმთავრესი ძარღვი არსებობისა გაწყდომია და ვიგინდრებს დაუბრიყვებიათ, აბუჩად აუგლიათ. დღევანდელი საქართველოს ბედი ვაჟას სიმბოლიურად საუცხოვოდ აქვს დახატული ერთს თვის, ზომით პატარა, მაგრამ ტრალედიით აღსავსე, ლექსში — „არწივი“.

„არწივი ვნახე დაჭრილი, —

ეწავ-უორანის ემუბოდა,

ეწადა ბეწავს ადგომა,

მაგრამ ვეღარა დგებოდა,

ცაღ მხარს მიწაზე მიათრეეს,

გულის პირს სისხლი სცხებოდა.

ვაჰ, დედას თქვენსა, უოგებო,

ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,

თორე ვნახავდი თქვენს ბუშბულს

კაშბიღს, გაფანტულს ვეღადა“!..

(თბ., 318).

რა არის ეს პატარა ლექსი, თუ არა მთელი პოემა, — არა, პოემა კი არა — ეპოპეია, რომელშიც განსაცვიფრებელის სიმარტივით და სადად დახატულია თა-

ნამედროვე „დაქრილი“ საქართველოს ბედი და მდგომარეობა?! რომელ ისტორიულ-პუბლიცისტურს გამოკვლევას ან რომელს დიდს და ვრცელს რომანს შეუძლია ასე ნათლად, ცხადად, მარტივად, მაგრამ იმავე დროს საშინელის ტრალიზმით, თვალწინ დაგვიყენოს „თავს მანდილი ჩამოხეული“ და „ჩაბალახ ჩამოხდილი“ „გმირთა აკლდამის“ — საქართველოს გასისხლიანებული სახე?!

ტყუილად კი არ ხედავს მთელი საქართველო ამ პატარა ლექსში უდიადეს სიმბოლოს, ჩვენი ყოფის და არსებობის ცხადად გამომსახველს, და ყოველ ვაჟას საჯაროდ გამოსვლაზე ტყუილად კი არ სთხოვენ ამ ლექსის წაკითხვას! მართალია, მწარეა ქართველისათვის ამ ლექსის მოსმენა, მაგრამ ის მაინც პირს არ არიდებს სინამდვილეს, პირდაპირ უყურებს გასაჭირს, რადგანაც მისმა გენიოსობამ მისივე გენიოს შვილის პირით ამცნო მას, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილს სახელოვანიო“. საამაყო და საამოა გმირული სიცოცხლე, მაგრამ არა ნაკლებ ღამაში და მომხიბვლელია ვაჟაკური სიკვდილიც... ეს ქართველმა კარგად იცის!

ჩვენის აზრით, საქართველოსა და მის თანამედროვე მდგომარეობას გულისხმობს მგოსანი ლექსშივე: „ბებერი ლომი“. ერთს დროს ძლიერი ნადირთა მეფე — ლომი „დაბერებულა“ და „კლანქებს ვეღარა ხმარობს“:

„ვერ სჭექს წინანდებურად,  
ბუნავშია სწევს წუნანად,  
ნადირთა თავზარ დამცემი  
ესღა იმადვის თავადა;  
ჭკავს თორმეტის წლის სწეულსა,  
გულისთ ისე ავადა.  
ფიქრი უბინთ სოფელზე

სახეს ატეფა შავადა.

ტანი სულ დაჭკოვრებია,

შემომტვრეფია ბწყალებთ,

არ ანათებენ ძველებრზე

მისი ღამაში თვალები“. (თხ. 293-4).

ისედაც საშინლად „შეწუხებულს“, დათვს შემოხვევიან „ბრიყვი და თავხედი“ მხეცები და „ჯავრის ამოყრას აპირობენ“. სწორედ რომ „ძნელი სანახავია“ ასეთი დამცირებული მდგომარეობა „ძველი იღეთი“ წასულის მხეცთა მეფისა!

ადვილად მისახვედრია, რომ ვაჟა აქ ლომს ქვეშ გულისხმობს „სიმშობლით შეწუხებულს, თავის სორასი მქექველს, მოწყალეობის მთხოვნელს“ თანამედროვე საქართველოს, რომლის უწინდელს „შეუღრეკს ძალას დასდებია ჟამთ ვითარების ბეგარა“.

ეს სიმბოლიური ლექსიც ბევრის გამხსენებელი და ამხსნელია!

### ვაჟას ფიქრ-იმედი საქართველოს მომავალზე

„მომავლის სხივი აქარვებს  
გმირის ოხვრას და გმინვას“.

(ტრ., 202),

როგორც დავინახეთ, მგოსანი „წარსულს“, ე. ი. საქართველოს უწინდელს, შედარებით აზრიანს და გმირულს, ცხოვრებას „ცრემლად დასტირის“; თანამედროვე მისს ცხოვრებაში კი იმდენს „ღვარძლს და შხამს ჰპოულობს“ (ტრ., 14), რომ თვისი „სატრფო“ — საქართველო „საფლავში მდებარედ“ წარმოუღვენია...

ქართველ ერის მომავალსაც ვაჟა „ფიქრ-მგლოვიარედ“ შეპყურებს, რადგანაც ის „ამირანის“ და „დაქრილ არწივის“



მდგომარეობაში და ყოფაში ეგულება. მაგრამ ეს „მგლოვიარობა ფიქრისა“ მომავალზე არ არის საბოლოოდ უიმედო. «გასალკდევებული» მგოსანი გულს მაინც არ იტყვის, მაინც იმედ-ოცნებით შეჰყურებს ამ მომავალს და მხნედ ამბობს:

„მომავალი და ჭხურია

გულს და გონებას თაღდა“-ო.

მართალია, ბუნდოვანი და გამოურკვეველია, პოეტის აზრით, მომავალი გზა და ბედ-იღბალი ქართველ ერისა; გადაწყვეტით ვერავინ იტყვის, როგორ და როდის მოხდება მისი „ფენიქსებრ განაღდება“; როდის გაკაშკაშდება მისი, დღეს „ოდნავ ბეუტავი, ვარსკვლავი“, მაგრამ ხინც ვაჟა, მომაკვდავ და დაუძღურებულ სატრფოსადმი სიყვარულით აღზნებული, მის ბედს „ველარ ამორებს თვალეზსა“ (ტრ., 201) და „დაჟინებულის მისის კქერით კიდევაც შეიქმნა დასაძრახავი“:

ნუ გგონიათ, რომ ეს „დაჟინებული“ კქერა, ე. ი. შეუწყვეტელი და მუდმივი ფიქრი სამშობლოს მომავალზე ჩვენს პოეტს უფროს უტკბობდეს, პირადის სიამოვნებით ვსებდეს. განა მან არ იცის, რომ ის „ტანჯვა-ვაების ცეცხლი“, რომელიც „მიჯაჭულს ამირანს“ გარს არტყია, არც ისე ადვილად და ჩქარა გასანელებელი და დასაქრობელია?! განა მას არ ესმის, რომ „დაქრილი არწივი“, რომელიც „ყვავ-ორნებს“ ეომება, რაც „გინდ ეწადოს მდგომა“, შეიძლება ვერ წამოდგეს და „ყოვებს“ დარჩეს საწიწკნელად?! განა შეიძლება, რომ „ვაჟაკს“ (იხ. „ხაზი ირემი“), რომელსაც „ქიდილში დამტვრია რქები და მგლოვიარა მაზედა“, არქა არ მოუვიდეს კიდევ რქაზედა“?! (ტრ., 78). განა ადვილად დასაძლევია ის „დვეი“, რომელსაც ქართველის სახლ-ბარი“ დაუქერია, დაუღეწია კარები,

„დაუშლივ, დაუნგრევია“?! (იხ. გაზ. „ერი“, 1914 წ. № 1).

სუყველაფერი ეს გაეგება, გათვალისწინებული აქვს ჩვენს მგოსანს, და კიდევაც იმისთვისაა, რომ მისი „დაჟინებული კქერა „სატრფოს ვარსკვლავისა“ ნაღვლიანი და მწუხარა...

„ვაჭ, თუ რაც წახდეს,

ვედარა აღსდგეს,

ვედარ აჭევადეს

ახლის მშვენიებით

და რაც დაეცა,

ის წარბიტაცა

შავმა უორანმა,

ვით უმწე მსხვერპლი“-ო.

„ფიქრ მგლოვიარე“ იქვიანობს და თითქოს მოსთქვამს ორბელიანთან ერთად ვაჟაკ!

მართლაც და, განა რამე სანუგეშო და საიმედოს იძლევა თანამედროვე ჩვენი ცხოვრება? რა გაკეთებულა, რა მოწყობილა, რა გვიმოქმედია უკანასკნელ დროს ისეთი, რომ უტყუარს იმედს იძლეოდეს უკეთესის მერმისისას და განახლებისას?! განა ჩვენში დღესაც არ იყიდება, „ნაჭერ-ნაჭერად“ კი არა, მთელი ათასი დენია-ტინობით, მიწა-წყალი? უტყუარი ფაქტია ის, რომ დღეს ჩვენში სუყველაფერი ღან-ღალით მიდის: ჟურნალ-გაზეთობა ძლივს-ძლივობით მიჩანჩალებს; ენა დღესაც კოქლობს და ირყვება; საყდარი დაცარიელებული და გამოაციებულია; სკოლა მუნჯობს და გადამახინჯების ლაბორატორიით გამხდარა; ვაჟარი ჩარჩობს, ვეკილი თაღლითობს, მღვდელი თვალთმაქცობს, გლეხი გაძვალ-ტყავებულია და მხოლოდ „გაძლომაზე“ ფიქრობს... და ამისთან ჩვენ „ნასწავლთ“, მხოლოდ ფრაზები, ტერმინები შეგვისწავლია, მათის გუნდაობით თავს ვირთობთ, ხან ვხარხარებთ, ხან

იერემიასებრ ვგოდებთ, მაგრამ ერთი ბე-  
წო საქმიანობას, აქტივობას არ ვიჩენთ,  
ეს მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო „ყვა-  
ყორანი“ შევტოვილან, გარს შემოგვტო-  
ვნიან; განადგურებას გვიქაძიან შინ და  
გარედ და ლამობენ ჩვენი დაზიანებული  
ორგანიზმის დაშლას. ამასთან უნდა გვახ-  
სოვდეს, რომ საქართველოს მოსასპობად  
მომქმედი ძალა დიდია...

ჩვენი მგოსანი, რომელიც „სამშობ-  
ლოს სენით არის გასენილი“, ნათლად  
ჰხედავს სუყველაფერს ამას.

„წუხელა ვნახე სიხმარი, — მოგვითხ-  
შავად შეცვალა ფერია, [რობს ვაჟა, —  
იმ ჩემ სახლს მამა-ხაჭუყლის  
ჩამონგრეოდა ჭერია,

შიგ წვიმა ჩამოდიოდა,

წვიმაშინ თოვლი ერია.

როგორც მე გავხდი მამისა,

ისეთიმც თქვენი შტერია.

ცეცხლიც ჩამქრალა კერაზე

არ ურთავ შეშის ღერია;

გარს უსხედს ჩემი შვილები,

აქვეთ სიკვდილის ფერია.

ხმას არ იღებენ, ავღრისთვის

თავები მიუშვერია.

თვალთაგან წამსკდა ნაკადი

ნახევრად სისხლი ერია...

დასახურავად ჭერისა

იმ წამს გავწვადე ხელია,

შაკრამ შეშტაცა ვიღამაც

შეგხედე, — იყო მდევია.

„იხლა გაგაქრებ“, მან მითხრა,

„თუ ხელი გაგინძრევა!“

გუცქირე, ჩემი სახლ-კარი

ბორბოს სუფს დაუჭერია.

დაუღეწია კარები,

დაუშლავ, დაუნგრეკვია“ (გაზ. „ერი“,

1914. წ. № 1).

აი, ვაჟას შესხედულობით, რას წარმო-

ადგენს ნამდვილი სურათი დღევანდელ  
საქართველოს ყოფისა და არსებობისა!

ამის შემდეგ განა შეუძლია ბოეტს ლა-  
ლად, იმელიანად და ნათლად გაითვალის-  
წინოს მომავალი ბედი საქართველოსი  
რასაკვირველია, არა სწორედ ამითა  
აიხსნება ის, რომ, რამდენადაც მგოსან  
წარსულზე და მისი „სახლაპრო“ საქმე  
ებზე ენაწყლიანობს, ფართედ შლის ფან-  
ტაზიის ფრთებს, უხვად ასურათებს ფა-  
ტებს, მოვლენებს, პირებს, ლალად დან-  
ვარდობს აზრთა და გრძნობათა სამეფო  
ში, — იმდენად თავდაჭერილია მისი მუხა-  
იმდენად „ქართული უწყებს ძვირობას“  
ჩვენს, ჩვეულებრივ ენაწყლიანს, მგოსანს  
როდესაც საქართველოს მომავალს შეეხე-  
ბა! შემდეგი ამისა ის არის, რომ ვაჟა  
შედარებით ნაკლებ „მდერის“ ამ მომ-  
ვალზე, ვინაიღვან თითონ ამ მომავლი-  
შესახებ გამორკვეული შეხედულობა ვე-  
შეუდგენია და „ფიქრებიც“ მის შესახებ  
თურმე „სხვამაც არავინ გაუზიარა“ (ტ. 1,  
201). მძუხვდავად ამისა ისიც, რაც უძლ-  
ნა ამ საგანს მთის შვილმა, შედეგრი-  
თითქმის უბადლოა ჩვენს ლიტერატურ-  
ში. ასეთია მისი ლექსი „მდინარე და  
კლდე“ და ლექსი პროზად „მთანი მა-  
ლაღნი“: ამ ნაწარმოებების ლირსებაზე  
ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, რადგ-  
ნაც აუხსნელადაც, განუმარტავად ცხად-  
უცხადესია მათი მხატვრული ლირსებ-  
აგრეთვე ყველასათვის ნათელია მათ  
თუმცა ალფეგორიაში გახვეული, დედ-  
აზრი, იდეია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ  
აქ ავტორი ოცნებობს იმაზე, რაც მის  
ლასათვის სასურველი და სანატრელია  
არა აუცილებლად მოსალოდნელი, რ-  
გვინდა განხორციელდეს, ასრულდეს,  
ბედმა მოწყალეების თვლით გადმოგვხედ-  
თუ „ჯარა ცხოვრებისა“. წალმა დაგ-

ტრიალდა. იმდენად მშვენიერი და ღრმა აზრიანია ეს ლექსები, რომ ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ მათი მომეტებული ნაწილი ამოვწერათ. მგონი, პატივცემული მკითხველიც ამისთვის არ დაგვემღუროს.

სალს, ასპიტს და დიდრონს კლდეს შეუზღუდავს ის ხეობა, რაზედაც მდინარე „დიოდა“. შეწუხებულ-შევიწროებული, ქვა-ლოდებზე ხტომით დაშინებული მდინარე კლდეს ეხვეწება, ხელ-ფეხს უკოცნის, „ვით ბავშვი თავის დედასა“ და „ვედრებას ეტყვის ფრიალსა“:

„გზა მომეც, კლდეო, გამიშვი წინაო;  
მინდა რომ ბარად ჩავიდე,  
იქ მოვიპოვნო ბინაო.  
გამიშვი შენი ჭირიმი,  
აქ ყოფნა მომეწინაო“.

„სიცეტედ“ ჩამოართვა გულზევიადმა კლდემ მდინარეს ასეთი მისი მშვიდობიანი ვედრება და წინანდებურად გზა შეუკრა. არ სცხრებოდა მდინარეც: ათასჯერ კიდევ შესთხოვს კლდეს, ათასჯერ ქული მოუხადა მას; ეალერსება, თითქმის „გადიქვა კატის კნუტადა“, მაგრამ კლდე მაინც „შუბლოს არ იხსნის, მდინარეს დასცქერს მედიდურად და ბუტბუტობს“:

„... არ შეიძლება—  
თუ გინდ გაიჭრა ხუთადა.  
სხვა გზა მოსძებნე, სხვა მხარეს,  
ნუ ამეთრეე კუდათა!“

ასეთი მოლაპარაკება კლდე და მდინარეს შორის მოხდა მაშინ, როდესაც იყო „ბალახთა და წყალთა მცირობა“, მაშასადამე მაშინ, როდესაც მდინარე უმთავრეს მასაზრლოებელ ძალას იყო მოკლებული. მაგრამ მდინარე იმედს მაინც არ ჰკარგავს. მართლაც მას ძალიე „წაღმა დაუტრიალდა ჯარა“:

„მძიმე რამ ზამთარი იქნა  
იმ წელს, — თრ ადღზე დათოვა;

ზაფხულის ზვავმა მდინარეს,  
უხვად სინესტე აწოვა: ...  
ჯვარ-აშლილი მოგრგვინავს,  
მთა და ბარს აქცევს ქოთვითა;  
კლდეც ადარ ეაღერსება;  
კარზე მიუხტა შოთითა;  
უტევს, ადარის გულ-მკერდსა,  
ვით ვეფხვი თვის მსხვერპლს ტოტითა.  
კლდეზე ტაღლები ტლაშუნობს,  
თითქოსა სცემდნენ შოლტითა!  
კლდე წარბს არ იხრის, იძახის:

„—აბა, რას მიზამთ, მოდიო!“  
მდინარეც უკან არ იხვეს,  
მორჭმული სალტა-კოლტითა:  
„გამიშვი, თორემ დაგანგრეე!“  
თან დაჭუიჭუნებს ხმანად  
და თითო დაკვრა ღასტისა  
სჩანს კლდისა დამაზიანად.  
ერთი თვის შემდეგ კლდე ბორჯავს  
და ადარ ამბობს ჭკვიანად!  
გაჭხუნებია სჩერნე,  
ჯაჭვს-მუზანადი ხმლიანად;  
ღამის რომ გმირი დამარცხდეს  
და გახდეს თხერ-ტილადა, —  
იქცეს მის ტულაზად, სათელლადა,  
მის ტაღლათა დასაგიალადა.

მეხუთე კვირა შესრულდა.  
კლდის და მდინარის ბრძოლისა  
და საქმე მოხდა საგრძნობი  
ცის და მიწის შორისა:  
კლდისას მოისმა ქვითინი,  
მედგრად გაისმა ჯახანი:  
წყალმა შეორე მხარესა  
კლდისა გაიდო ჩქაფანი,  
და გაიჭიმა ხეფუდა,  
როგორც გუთანში ჭახანი;  
ქედს ასწია ამაყად  
შეათამაშა ფათარი:  
დასტოდრივ მიდის უშიშრად,



არა სჭირდება  
 ანგრეეს რაც უშლის მგზავრობას,  
 დაღეწა ვეკლა საფერი,  
 ნიშნს უგებს კვდესა და მისძახის:  
 „შენი ბიჭობა სად არი?!“  
 ახალის სანახავითა  
 გაოცებულა მთა-ბარი.  
 გაღაღებული, ჭაღახე  
 გაიზღახსება მღერითა;  
 სსამო სანახავია  
 გამარჯვებულის ფერთა.  
 ხარობენ ის და ქვეყანა  
 ერთმანეთისა ცქერითა“.

ვინ არ მიხვდება, რომ ამ ზოგადი ალფეგორიული სურათის დახატვის დროს, სადაც ნათლად ჩაქსოვილია მგოსნის სიმპატია საზოგადოდ დაჩაგრულ-დამონაგებულ, მაგრამ სიცოცხლე-თავისუფლების მოტრფიალე, პიროვნებათა, საზოგადოებათა და ერთა მიმართ და ანტიპატია—სიძულვილი ზვიადი და გათამამებული ძალთა მიმართ, — რომ აქ ვაჟას! სახეში ჰყავდა თვისი მშობელი ერი და რომ ამ უკანასკნელის პირადის განცდით, სულის კვეთებით, ლტოლვა-მისწრაფებით მოხაზა და ააფერადა ეს სურათი!

უახლოესი აზრი ამ ალფეგორიისა ჩვენთვის ცხადია: აქ „მდინარის“ ქვეშ იგულისხმება საქართველო, „კლდის“ ქვეშ კი—მისი თავისუფლად განვითარების და წინსვლის ხელის შემშლელი გარემოებანი.

პოეტის აღზნებულს ფანტაზია-ოცნებას გადაულახავს მწვავე სინამდვილე ჩვენის არსებობისა და წინასწარმეტყველურის განსჭვრეტით წარმოუდგენია საოცნებო და სასურველი მომავალი „შებლულულის“ თვისის ერისა, მისი გარდაქმნა და ფერის-ცვალება. ლამაზია ეს საოცნებო მომავალი; თვალს იტაცებს მისი ოც-

ნებით შექმნილი ბრწყინვალეობა; „დღისის სიცხადით გულდაჩაგრულ“ ქართველობას ჩახშულ იმედებს უღვიძებს მისი შესაძლებლობა!

საქართველოს მდგომარეობა და მისი ამედ-მოლოდინი ვაჟას სიმბოლიურ პროზითაც აქვს გამოხატული. აქ გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ მგოსანს ძალიან ეხერხება ეს ფორმა აზრთა და გრძობათა გამოხატვისა და გამოთქმისა. აქ მგოსანი ხელოვნების სიმშვენიერის და სილამაზის უმაღლეს წერტილამდე აღწევს. ეს სიმბოლო ძკითხველს ხიბლავს აგრეთვე თვისის სისალით, ხორცშესხმულობით, სისალით, ბუნებრივობით და აზრთა სიღრმით.

ასეთის ხასიათის და ღირსებისა მისი შემდეგი სიმბოლიური ნაწარმოებნი: „შელის ნუკრის ნამბობი“, „ია“, „ხმელი წიფელი“, „მთის წყარო“, „ქუჩი“, „ჩხიკვა ქორწილი“, „ფესვები“ და „მთანი მალაღნი“. ამ უკანასკნელში ავტორს ისეთის ოსტატობით და ხელოვნობით აქვს განხორციელებული და გამოჰკვეთილი ის, რაც „ჭხურია მის გულს და გონებას თალადა“ (ე. ი. მომავალზე ფიქრ-ზრახვა), რომ ყოველივე სიტყვა ამ მშვენიერის და აზრიანის ნაწარმოებისა თქვენ გსურთ გულის ფიცარზე დაიწერათ სამუდამოდ, ამოუშლელად. აი ეს შედეგრიც შემოჰკლებით:

„მთანი მალაღნი იდგენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების ლოდინი; უსაზღვრო ზღვად სდგას იმათ გულში... ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმოდის. მთებო, მთებო! რას ელით; ვის ელით? ნუ თუ გყავთ სატრფო დიდხნის უნახავი? იქნებ შვილი დაჰკარგეთ?.. პასუხი არ ისმის. სდგანან წარბ-შეუხრელად. ელოდნენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააზრობს

იმათ გულში ამ მოლოდინის ზღვას? არა აქვს ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას...

როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ, ამოიოხრებენ და კრემლსა ღვრიან.

რატომ არ მღერით, მთებო? განა ისე უნდა მოკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო? რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო? მერე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველი ძალა და ნიშანი სიკოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულგონებაში?! არა, არა. ხანდახან თქვენც გიხარიათ, და ქვეყანას კი ჰგონია, ვითომც თქვენ არაფერს გრძნობთ. ხომ ვიცი, თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლაღი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზე ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა შენი: ღმერთს უაბმობს, ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა. მაშ რა არის ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმაღაფე ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რადა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!

სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზე, ელვა უტუსავეს ჩქროს ქოჩორს, მები ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში. არაფერია. ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერი ეგრევე, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მალა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდგებს თოვლს. ჰყინავს. ცივა: ქვა ტყვრება. მთებს სულარი ჩაუსვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგემარხეთ, დაგვიტირეთო, — გვეძახიან. ჩვენ კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან. გული სტკივით, ძალიან სტკივით. მაგრამ არ იხოცებიან, არ ქლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიად, რაღაცას. ეს რაღაცა უნახავის ნახვა. ნახეს და გაათავეს, რასაც ამათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებიათ იმათ თვალსა და გულსა "... (თხ., 469—471).

სწორედ ამას ჰქვია აზრთა გამოქანდაკება!

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი საქართველოს მომავალი ბედის შესახებ პრობლემეტიურის ხასიათისაა და გამოურკვეველია, ვაჟა მაინც მხნეობს: გონების მშრალს და მკაცრს შეხედულობას და დასკვნას ლაგმავს, ფანტაზიას და გულის თქმას კი, პირ-იქით, ფრთას ასხამს და მომავალს ბრწყინვალე სახით გვისურათებს...

ქართველ ერის რომელ ელემენტზე ამყარებს მგოსანი თვის იმედს?

სად ამჩნევს, სად ჰპოულობს ის სასიკოცხლო ძალას, ღონეს? რომელი კლასი მიაჩნია მას მომავლის საძირკველად, ქვაკუთხედ? — საზოგადოდ მშრომელი ხალხი,

კერძოდ გლახობა და გათვითცნობიერებული და მშრომელი სოფლის თავდაზნაურობა. მართალია, ვაჟამ იცის, რომ ღღევანდელი იდეალი ქართველ მუშაგლახისა „ფეხმოკლე და ფრთა შეკვეცილია, რომ მას გონება თითქმის დაბნელებია: „აღარ სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება“, მაგრამ მას მაინც გლახი მიაჩნია დედა-ბოძად ეროვნებისა, რადგანაც, მისის აზრით, „დიდი ძალა აქვს სოფელს; თუ მოინდომა მტერს მალე ყირაზე გადაატარებს“ (თხ., 369). ოღონდ ის კია, რომ „ხელახლად მოსანათლავია სოფლის გონება, და მონათვლით კი მაშინ მოინათლება, როდესაც სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძლომისა“ (თხ., 473).

ვაჟას ღრმა რწმენით, „ყველაზე მეტად საყურადღებო ჩვენში სოფელია, — ჩვენი ძალა იქ არის დამარხული“.

ვინ უნდა „მონათლოს“ სოფელი? ვინ შესძლებს მასში „აზრის დატრიალებას“? ამის შესახებ ვაჟა გადაჭრილს პასუხს იძლევა: მხნე, ენერგიული, შეგნებული და უანგარო სოფლის მასწავლებელი, სათნოიანი, გონიერი, შემბრალებელი და მშრომელი მოძღვარი და გათვითცნობიერებული, ოფლის მღვრელი და გამრჯელი სოფლის თავად აზნაური — აი ის პირნი, რომლებმაც სოფელი უნდა მოიყვანონ გონზე, გაუძლიერონ მას „გრძნობა თავის დაცვისა“, უჩვენონ გზა წარმართებისა, წინსვლისა.

ასეთნი პირნი ხალხის სიყვარულსაც დაიმსახურებენ და დიდს ეროვნულს საქმესაც გააკეთებენ. ვაჟამ სცადა ამ მომავალი მუშაკთა სიმპატიური სახეების გაკვრით მაინც დახატვა.

„რადღა მოსწონს სოფელს მათე მღვდელი?“

„კითხულობს ვაჟა და თვითვე პასუხს იძლევა.

„— მიტომ რომ ყოველ კვირა-უქმეს სწირავს და ქადაგებასაც იტყვის, ხალხს გონებაზე აყენებს, სოფლის ფიქრი მოძრაობაში მოჰყავს. კარგად იცის მან, რომ თუ მარტო ხორცისთვის იზრუნა კაცმა, სული დაჰქენება და, თუ სული დაჰქენა, მაშინ ლეშიც გაიხრწნება. უწყის მღვდელმა, რომ თითონ მწყემსია და სოფელი სამწყსო, თუ არ მოუარა, არ უდარაჯა სოფლის სულს და გულს, დაიღუპება, მგელი წარიტაცებს. — კიდევ იმისთვის მოსწონს მათე მღვდელი სოფელს, რომ მხნე კაცია, ძალიან მხნე, ერთს წამს არ დადგება, არ დაისვენებს, „ჩამდინარი წყალია“ სწორედ“.

„— თანამედროვე სკოლა თუ არ მოსწონს სოფელს, მასწავლებელი რაღადა მოსწონს?“

„— იმიტომ მოსწონს, რომ ხათრიაობს, ხალხის სიყვარული აქვს, ყველას ძმობით ესაუბრება, ყველას თავმდაბლად ეპყრობა. ატყობენ, რომ მასწავლებელს გული შესტკიცა სოფლისათვის; თუ კი რამ ღონე აქვს, სცდილობს ყველას უშველოს, საქმეზე თავდადებულია... ბოქაულთან და მამასახლისთან უთანხმოება მოსდის ხალხის გულისთვის: ხალხს ნუ აწუხებთ, ხალხს ნუ სცემთ, ნაცემი კაცი საცემრად ვარგა, სხვა არაფრადღაო. სოფელს თავმოყვარეობას, სიამაყეს ნუ უთრგუნავთ, ნუ უკლავთ გულში, სისხლს ნუ უწყალვებთ ძარღვებში, გულზე სარქველს ნუ ჰხურავთ, პატივისცემით მოეპყარით, რომ ისწავლოს სოფელმა ერთმანეთის პატივისცემა“.

„— ზურაბი რადღა უყვარს სოფელს?“

„— იმიტომ რომ კაცია. კნიაზობას არ ჩაგიხედავს, მუშაობს ისე, როგორც, თავ-



გამოდებული მუშა კაცი და ღმერთიც აძლევს: პურიც, ბლომად აქვს, ღვინოც, ცხვარიც ბლომადა ჰყავს, ღორიცა და ძროხაც. მადლიანი კაცია. „ჩვენი მამა-პაპა სისხლსა და ოფლს ერთად ღვრიდაო, ამბობს ზურაბი, ეხლანდელ დროში სისხლს აღარა ვღვრით და იმის მაგიერად ოფლი მაინც დავღვაროთ“ (თხ., 473—489).

აი ის საიმედო ელემენტები ჩვენის ერისა, რომლებმაც, ვაჟას წარმოდგენით, უნდა მოუმზადონ ხალხს მომავალი, შექმნიან მისი კეთილდღეობა, გაათვითცნობიერონ, „მონათლონ“ ის გონებრივად.

„უფალი სულია“, „მამასახლისი“, „გზირი“, „პრიპტავი“, სოფლის „კანცელია“ და „კნიაზი ფშატაძე“ — ეს უსაქმური, მოქეიფე, გარყვნილი, არამზადა, მეკრივე, მფლანგავი შვილი ბრწყინვალე წოდებისა, — რომლებიც დღეს ჰქმნიან სოფლის ატმოსფერას და დაპატრონებიან მას, სოფელში შეჭრილ გონიერების და სინათლის წყალობით მალე დაჰკარგავენ ნიადაგს სოფელში, მალე მოეღება ბოლო მათს ხალხის „ცარცვას, შეწუხებას“ და საზოგადოდ მათს დაუსჯელს ფარფაშობას.

თუ რა მონაწილეობას მიიღებს ხალხის „გონების მონათვლაში“, მისი ფეხ-მოკლე და ფრთა-შეკვეცილი იდეალის“ გაფართოებაში და გაშუქებაში ჩვენი, — ქადაგებას, მშრალს მსჯელობას, სიტყვის გუნდაობას და რახა-რუხს მიჩვეული, ისე კი უიდეალო, უილაჯო, — „დიპლომაინი“ ვაჟბატონები, ამის შესახებ ვაჟა პირდაპირ არას ამბობს. მხოლოდ სჩანს, რომ მას მათი იმედი არა აქვს, ისინი არ მიაჩნია საქართველოს მომავლის გამომქედლებლად, ახალი დროს. „ერისთავეზად“.

თუმცა ვაჟა მწუხარებით აღიარებს, რომ ჩვენ, ქართველებს, „გაღმა გასვლისა

მსწრველთა უკუღმს მიგვყავს ბორანი“-ო (ცრ., 45), მაგრამ მას მაინც მომავალი ასულდგმულებს, იმედებით სცოცხლობს. „მე თვალს ვაპყრობ ისევ დროთა სვლასა, წელთა სვლასა, მათზე ვამყარებ იმედებს“-ო, ამბობს ერთს თვისს წერილში ვაჟა (იხ. „სახ. გაზ.“, 1914., № 1084).

მხოლოდ რა კონკრეტულს ნაცოფს მოუტანს საქართველოს ეს „დროთა სვლა, წელთა სვლა“, რა სახეს მიიღებს მისი მომავალი, ეს, სამწუხაროდ, ვაჟას თითონაც არა აქვს ნათლად გარკვეული, წარმოდგენილი. მან ვერც პოეზიაში და ვერც პროზაში ვერ შემოხაზა საზღვრები საქართველოს მომავალი ყოფა-მდგომარეობისა, ვერ შექმნა, — ფანტაზიის წყალობით მაინც, — ამ მომავლის სახე. მისი ფიქრ-იმედები ჩვენს მომავალს ბედზე უპერსპექტივოა; ამ საგანზე მას არა აქვს არც მეცნიერებაზე დამყარებული და არც უტოპიურის ხასიათის მაინც პოლიტიკურ-სოციალური მთლიანი თეორია.

ეს უპერსპექტივობა ნიშანდობლივი თვისებაა მთელის ჩვენის სიტყვა-კაზმულის მწერლობისა. ჩვენს მგონებს და საზოგადოდ მწერლებს ძლიერ ემარჯვებათ მხატვრული წარმოდგენა და იდეალიზაცია ჩვენის წარსულის ცხოვრებისა; ბევრნი მათგანი, — სხვათა შორის ვაჟაც, — გვიხატავენ თვალწარმტაც სურათებს და სახეებს ჩვენის გმირულის წარსულიდგან... მაგრამ ამავე დროს არც ერთს მათგანს, გარდა ძლიასი, ვერ შეუქმნია და ვერ შეუქმუშავებია სრული და მთლიანი იდეალი სასურველის მომავლისა, — ვიმეორებთ და ხაზს უსვამთ, **სრული და მთლიანი**.

ილიამაც ეს თეორია, ეს იდეალი შექმნა არა როგორც პოეტმა მხატვარმა (თუმცა სცადა „ოთარაანთ ქვრივში“), არამედ როგორც პუბლიცისტი-ფილოსო-

ფოსმა. თქვენ შეგიძლიანთ ამ იდეალს პრინციპიალოზრად არ დაეთანხმით, კიდევაც უარ ჰყოთ იგი, მაგრამ მის მთლიანობას და ლოლიკურს საფუძვლიანობას კი ვერ უარჰყოფთ.

ვაჟაც, მართალია, „თვალს აპყრობს დროთა სვლას, წელთა სვლას“, მაგრამ მან ვერ შესძლო, ვერ მოახერხა თვისი იმედების და წინასწარმეტყველური განკერძოების კონკრეტულს ფორმებში ჩამოსხმა, ამ აუცილებელ „დროთა სვლის“ სხვა და სხვა მომენტების ნათელი წარმოდგენა.

და ეს იმიტომ, რომ ერის მომავალი ყოფა-არსებობის და წეს-წყობილების წარმოდგენა და გამოხატვა მართო ინტუიციით და მხატვრულის განსკვრეტით ძნელია, თითქმის შეუძლებელია. აქ საჭიროა ღრმა ფილოსოფიური და სოციალური ამღშენებითი ნიჭი. ამ უკანასკნელ თვისებით კი ჩვენში ღღემდის მხოლოდ გღია იყო დაჯილდოებული.

იპ. ვართაგავა.

(შემდეგი იქნება)

## დედობრივი გრძნობა

...ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს... აქ არის, დედავ, შენი მაღალი დანიშნულება და საღმთო ვალი“.

ი. ქავჭავაძე.

### I

**ლ**იტერატურულმა გასამართლებამ ჩვენს ქვეყანაში კარგი ნიადაგი მოამზავა: არ დარჩენილა, მგონი, არც ერთი თვალსაზრისით კუთხე, სადაც ის არ გაუმართოს; ქალაქებში, დაბებში, ზოგჯერ სოფლებიც კი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ საქმეში. ლიტერატურული ტიპებისა და გმირების საკმაო რიღხვი იქნა გარჩეულ-გასამართლებული ამ ლიტერატურულ გასამართლების ქარტეზიღის დრფს; ზოგი ტიპი რამდენსამე ჟერ გასამართლეს სხვა და სხვა აღგიღას, მაგრამ ამ მხრით ჰირველობა ეგ. ნინოშვიღის ერთ მოთხრატბის გმირს ქრისტიღეს ხვდა: დასაფღეთ საქართვეღოში არ დარჩენილა, მგონია, დაბად კი, სადაც ის არ გაუსამართლებინდესღ, ზრ. ვიღი, რა იყო მიზეზი ასეთი უურადღებისა ამ ლიტერატურ-

რულ ტიპისადმი, მაგრამ ამ ჟამად ეს კითხვა ჩვენ არ გვანსტერესებს. ჩვენა გვსურს, შეძლებისა და გვარად, უურადღება მივაქციოთ ერთს საკითხს, რომელიც, ჩვენის აზრით, სავსებით არ ყოფიღა გარკვეული, გადაშლიღი და ხაზგასმული მათურებულთა. წინაშე ქრისტიღეს ლიტერატურულ გასამართლებებზე. ეს საკითხი გახლავთ დედობრივი გრძნობის და დედის მოვალეობის მნიშვნელობა დღევანდელ საზოგადოებისათვის და ქრისტიღეს დამოკიდებულება ამ გრძნობასა და მოვალეობასთან.

-- ქრისტიღე ჰირველად ჭიათურაში გასამართლეს. მახსდფს, როცა ჭიათურის საზოგადოებამ გაიგო, რომ ქრისტიღეს გასამართლებას აზირებენო, განცვიფრებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „განა შეიძლება ქრისტიღეს რამე ბრადი დასდოს ადამიანმა, ვინ იქ-

ნება ის ზირშივი, რომელიც მის ბრალმდებლობას იკისრებსო“ და სხვა. ერთს ან ორს თუ შეხვდებოდით ისეთს, რომელიც ამბობდნენ: ნუ გოცნობათ ქრისტიანე ყველაფერში წმინდანი, ისიც არა უცოდველიო და სხვა; მაგრამ ესენიც ამას რაღაც გაუბედავად ამბობდნენ: უშინდით არაფინ დაგვიჩინოსო.

მოეწყო გასამართლება, სადაც ბრალმდებლის სიტყვამ ისე შესცვალა დამსწრე საზოგადოების კარგა მოზრდილი ნაწილის შეხედულება, რომ 200-მდის დამსწრეთა შორის 90 კაცმა კენჭის ურის დროს ქრისტიანე, როგორც ღელა, დამნაშავედ იცნო. ამის შემდეგ ბევრ ადგილას გასამართლეს ქრისტიანე და უმეტეს შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი გამოჰქონდათ, როგორც ნათიცი მსაჯულებს, ისე დამსწრე საზოგადოებასაც, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც ბოლომდეც გასამართლებებულად. როცა ის ერთხელ დამსწრე საზოგადოებამ და ერთხელ ნათიცი მსაჯულებმა, გამტყუნეს, როგორც ღელა... ამ გვარად, მეტამორფოზა საზოგადოების შეხედულებისა ქრისტიანეზე აშკარა შეიქნა ბოლოს: თუ საზოგადოება ზირველად ქრისტიანეს წინააღმდეგ რისაში თქმას მომაკვდინებულ ცოდვად სთვლიდა, შემდეგ, ამ ტიპის ანალიზის გადრმაგებასთან ერთად, მის მოწინააღმდეგეთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. ასაკუთველთაგან: ზირველ შთაბეჭდილებას კაცი ხშირად შეცდომაში შეჰყავს: შთაბეჭდილება უზირველეს ყოვლისა გრძნობაზე მოქმედობს, გრძნობაზე დაურდნობა კი ადამიანს ხშირად ისეთ დასკვნამდის მიიყვანს, რომელიც საღო მსჯელობის დასკვნას ძირითადათ ეწინააღმდეგება, მასთან არაფერი საერთო არა აქვს.

შთაბეჭდილებისა და გრძნობის ლოდიკას თუ ავევით, მათგან გამოწვეული გულისთქმა თუ გონების ჭახრაკში არ გავსწრეთ, ქრისტიანეს, როგორც ლიტერატურული ტიპის კარჩევის დროს, ჩვენ, რასაკვირველია, იმ

დასკვნამდის მივალთ, რომ ტანჯულ-გვემული ქრისტიანე არაფერში დამნაშავე არ არის, რომ ის ყოველმხრივ უცოდველია, რომ მას არავითარი ლაქა არა სცხია: ეს იმიტომ ერთის მხრით, რომ ავტორს თავისი მადლიანი კალამი არ დაუზოგავს, რომ ქრისტიანე სათნოაინ, გულ-კეთილ და ყოვლად სიმშატიურ არსებად დაეხატა, მეორე, როცა მოთხრობას გითხულობთ, თქვენ ძალუხუებურად ადარებთ ერთმანეთს იასონსა და ქრისტიანეს, ამ ორს ანტიპოდს, ხედავთ ერთ მხარეზე სათნოებით სავსე, მშვენიერს-ახალგაზრდა ქალს, მეორეზე—ფიზიკურად ლამაზს, ადამიანის ქერქში გახვეულ ზირუტევს, რომელსაც მიზნად დაუსახავს კარუხილების სამსხვერპლოზე ჰქვალს ქალის უმანკოება და ნამუსი, შემდეგ კი ჩვირით გადასრთლოს; მესამე, ადარებთ ქრისტიანეს მის მამას დათიას, რომელიც, მშობლიური დესპოტიზმით აღჭურვილი, აშვირებს და სტანჯავს, მომწვარზე მღუღარე წყალს ასხამს ისედაც დამცირებულს, უმწიკოს, უბრალო სიტყვის შებრუნების უფლებასაც მოკლებულს შვილს. აი ასეთ კონტრასტებთან უხდება მკითხველს ქრისტიანეს შედარება და, რასაკვირველია, რომ ზიზღი იასონისადმი და გულის წერხმა დათიასადმი სურათის ისეთს ფონს წარმოადგენს, რომელზედაც ქრისტიანეს სხე შარავანდელით მისილი გვეჩვენება; მაგრამ ეს მხოლოდ ზირველი შეხედვით, ეს მხოლოდ გრძნობის ლოდიკის დასკვნით: თუ ჩვენ გრძნობის მიერ აღმართულ კედელს გავარდევთ, უფრო დრმად ჩუკვირდებით ქრისტიანეს ხატებას, საზოგადოებრივი კრიტიკიუმით მივუახლოვდებით მას, დავინახავთ, რომ ის ამ კრიტიკიუმს არ შეეფერება, რომ ის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, ჩრმამზე დაბლა დგას.

II

ადამიანთა შეერთებულ ცხოვრებას დიდი



მნიშვნელობა აქვს: ის ერთი იმ აუცილებელ პირობათაგანია, ურთმლისოდაც წინმსწავლეობა შეუძლებელი ხდება. ადამიანთა შეგავშიერება ცხოვრების აუცილებლობამ ჩასახ პირველად მან დიდი სამსახური გაუწია კაცს ცხოვრებისათვის ბრძოლაში: კოლექტიური მოქმედებით ბევრი საჭირობოროტო საკითხი გადაჭრა ადამიანმა, მაგრამ მას კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ისეთი საკითხი დარჩა, რომელთა გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს კაცობრიობის შეერთებულს, სოლიდარულს მოქმედებას. მასსადამე კოლექტიური ცხოვრება ერთი იმ დედაბოძათაგანია, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი, საუკეთესო მისწრაფებათა განხორციელების იმედი.

შეერთებულმა ცხოვრებამ და მოქმედებამ დრმა ცვლილება მოახდინა ადამიანთა ფსიხიკაში. საზოგადოებრივობის უოველდღიურმა პრაქტიკამ დაბადა, ადოროდინა და განამტკიცა ადამიანში სოციალური გრძობები და ინსტინქტები. ამ გვარად ესენი შედეგები არიან საზოგადოებრივ ცხოვრებისა, მაგრამ იმავე დროს მის სპირიტუალს და მამოძრავებელს ძალას წარმოადგენენ. სოციალურ გრძობათა და ინსტინქტთა მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის უოველსათვის ამკარაა. უოველსაშუალო ტიპის წარმომადგენელში მოიპოვება ეს გრძობები, ზოგში ის უფრო მეტადაა განვითარებული, ზოგში უფრო სუსტად. ზოგი ამ გრძობათაგანი უნივერსალური, საუკუელთაოა, როგორც, მაგალითად, მშობლიური გრძობა; მრავალ ადამიანისათვის ისინი მეორე ბუნებას წარმოადგენს. ეს ასეე უნდა იყოს, რადგან ამ გრძობათა განვითარებისთვის სხვა და სხვა ფაქტორი მუშაობს: ისინი შედეგები არიან, ერთის მხრით, ბუნებრივი შერჩევის, მეორე მხრით, მემკვიდრეობის, მესამე მხრით კი, აღზრდის: საზოგადოება ცდილობს აღზარდოს და განამტკიცოს თვითუელ თავის წევრში ეს გრძობები, ურთმლისოდაც პირო-

ვნება ჰკარგავს საზოგადოებრივ მნიშვნელობას, საზოგადოებრივს არარობას წარმოადგენს.

მაგრამ მიუხედავთ საზოგადობის ამ გვარ შეცდინებისა, ჩვენ ხშირად შევხვდებით პიროვნებებს, რომელნიც, საზოგადოებრივი თვალთახედვითი ისრით, არარობას, მეტსაც, უარყოფითი ელემენტებს წარმოადგენენ. ისინი, მაკლებულნი საზოგადოებრივ გრძობასა და ინსტინქტს, უარსა ჭეოფენ უოველგვარ მოვალეობას: საზოგადო ინტერესი მათთვის გაუგებარი რამაა, ისინი მხოლოდ თავიანთ სიამოვნებაზე იფიქრობენ და მხოლოდ თავიანთ ,,მე“-ს აღმერთებენ. ასეთ პიროვნებას რომ მოსთხოვო საზოგადო ინტერესისათვის რაიმე მსხვერპლი, რომელიმე ალტრუისტული გრძობის პირადულ გრძობაზე მადლა დაუეებ და ამ გვარად თავიანთი ინდივიდუალური ცხოვრების, ასე ვსთქვათ, შეზღუდვა საზოგადოების ინტერესის გულისათვის, სიცილად არ ეუოფათ ასეთი მოთხოვნა, რადგან ისინი იმდენად მახინჯნი არიან, ვერ გაუგიათ, რომ საზოგადოება თვითუელ წევრისაგან მოითხოვს, რომ ის საზოგადოებრივობის განსაზღვრულ მინიმუმის მატარებელი იყოს. ასეთი ადამიანები, მტკიცება არ უნდა, გადაგვარების, უკანსვლის, სიკვდილის მოციქულები არიან და, როგორც ასეთები, საზოგადოებრივნიც!

რამი გამოინატება ადამიანის სიცოცხლის მიზანი? შემოქმედებაში, რომელიც მიმართულია დღევანდელ ცუდათ მოწყობილი ცხოვრების კლამაზებისა და გამშენიერებისაკენ, მისი სრულყოფისა, სამოთხისებურ სიამოვნებათა დაუმეტელ წყაროდ გადაქცევისაკენ. რა წვლილი შეუძლია შეიტანონ მათ ამ დიად მისწრაფებაში? არაფერი, გარდა არე-დარევის, დეზორგანიზაციისა. მასსადამე, როცა ასეთი პიროვნებები თავიანთი დუნჭირი ფსიხიკის მსხვერპლად შეიქნებიან, ჩვენ ისინი

შეიძლება შევიბრალოთ, მაგრამ მათი გამარ-  
თლება ყოფილად შეუძლებელია...

ქრისტიანე ზემოთ დახსნათებულ ადამიანთა  
მონათესავეა: პირადი სიამოვნება, მხოლოდ  
თავის „შე“-ზე ჩრუნვა — აი მისი მისწრაფე-  
ბის საგანი. თუ ეს აშკარად არა სჩანს მასში  
იმიტომ, რომ ის ისეთ წრეში აღიზარდა,  
სადაც სულს და გულში ჩანერგილი თვისებ-  
ანი სრულს განვითარებას ვერ აღწევენ. პატ-  
რიარქალური ცხოვრება მაშინდელი ჩვენებური  
სოფლისა წარმოადგენდა ისეთ ნიადაგს, სა-  
დაც ბუნებრივი მიდრეკილებანი, როგორც  
კარგნი, ისე ცუდიც, თავისუფლად ვერ განვი-  
თარღებოდნენ. მაშინდელი სოფლური კარ-  
ჩაკეტილობა, საშინლად ვიწრო მსოფლ-მხედ-  
ველობა, ადამიანს და ტრადიციისადმი ბრმა  
მორჩილება და სხვა პატრიარქალური „მშვე-  
ნიერებაანი“ ხელს უშლიდენ პირვნებას ფრთა-  
გაქმალა და საკმაოდ დამთავრებულ-დასრულე-  
ბულიყო.

ქრისტიანე რომ სხვა, ადამიანის განვითა-  
რებისათვის ხელშემწყობ პირობებში აღზრდი-  
ლიყო, მაგ. ქალაქში, მისგან უკიდურეს ინ-  
დივიდუალისტურ მისწრაფებათა მატარებელი  
პიროვნება განვითარდებოდა; მაშინ უფრო  
გარკვეულ ფორმებში ჩამოესხმებოდა მისი  
სულიერი სახე, მისი ანტისაზოგადოებრივი  
ბუნება უფრო გამოაშკარავდებოდა. მოვალეო-  
ბისათვის თავდადებული ადამიანი ის ყოველ  
შემთხვევაში არ იქნებოდა.

სახლიდან იმისი გაქცევა და პაწაწინა გო-  
გის მიტოვება საკმაო საბუთს გვაძლევს ამ  
გვარ დასკვნისათვის.

სოციალურ გრძნობებსა და ინსტინქტს მო-  
კლებულ პიროვნების დამახსნათებელი თვისე-  
ბაა გმირობა, როცა საქმე მის პირადულ ინ-  
ტერესს შეეხება, სამაგიეროდ საოცრად სიმხ-  
დალეს იჩენს ის, როცა მოვალეობის ასრულე-  
ბა რაიმე მსხვერპლს მოითხოვს მისგან.

ქრისტიანეც ეგეთია: როცა საქმე შეეხებო-

და მის გატაცებას, მის სიყვარულს, მის ამ  
სიყვარულით დატყობას, მან დიდი ხერხი,  
გაბედულება და ენერჯია გამოიჩინა; იასონი-  
სადმი სიყვარულმა მას გმირული საქციელი  
ჩაადენინა: მან სიყვარულს შესწირა მამა-პაპათა  
ზნე ჩვეულებანი, ადამი; არ მიხედა არც მათ  
სიმტკიცეს, არც მათ წმინდათა-წმინდანობას  
ხალხის თვალში.

მან გაბედა და მალულად, ჩუმად იასონთან  
დაიწყო სიარული უდრან ტყეში, ქურდულათ  
დაუკავშირდა მამაკაცს, უურადლება არ მოაქცია  
იმ საშინელ უზნეობას, რომელსაც ეს კავში-  
რი წარმოადგენდა, როგორც ქრისტიანეს, ისე  
საერთოდ სოფელეთა აზრით. თუ მხედვე-  
ლობაში მივიღებთ ქრისტიანეს გონებრივ ფარ-  
გულს და სოფლმხედველობას, ერთის მხრის  
და ამ წრის მსიხლოვებისა და მუხედულებ-  
ებს, რომელმაც ის აღზარდა, მეორე მხრით,  
არ შეიძლება არ დამეთანხმეთ, რომ ასეთი  
გაბედული ნაბიჯი ქრისტიანეს მხრით ნამდვი-  
ლი გმირობაა: შეიძლება მკითხველმა მამხე  
მიხსიყხას, რომ ქრისტიანე დაუკავშირდა ია-  
სონს იმიტომ, რომ დრმადა სწამდა იასონის  
გულწრფელობას, იასონის მისადმი სიყვარული  
და იმედი ჰქონდა, რომ ის მას შეერთავდა.  
მაგრამ ასეთი აზრი არ არღვევს ჩვენს აზრს  
ქრისტიანეს გმირობის შესახებ ამ სიყვარში,  
რადგან, როგორც ქრისტიანე; ისე მისი აღმ-  
ზრდელი წრეც დედაკაცის კავშირს თუნდა  
სიყვარულ მამაკაცთან მომაკვდინებელ ცოდვა-  
თა სთვლის ქორწინებამდის.

მამასადამე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს  
ქრისტიანეს გმირი ვუწოდოთ ამ შემთხვევაში  
მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ  
იმ დროს, როცა ავტორი ცხოვრობდა, როცა  
კიდევ მტკიცე იყო პატრიარქალური წესწყო-  
ბილება, რომელსაც ახსნათებს ზნე-ჩვეულებ-  
ისა და მშობლების უსახლგრო ბატონობა  
პიროვნებაზე. მაგრამ ქრისტიანე უმოწყალოდ  
ამსხვრევს ადამიანის მიერ გაქვილ ბოროტი-

ლებს, რომელიც ხელს უშლის მას სიცოცხლით დასტკბეს, სავარულ კაცს შეუერთდეს, ერთის სიტყვით, რაც აღკრძალულ ხილად აქტევეს მისი მისწრაფების, მისი ნეტარების საგანს.

ამ გვარად, რამდენადაც ხერხიანი და მძლავრია ქრისტიანი იმ შემთხვევაში, როცა საქმე მის ჰიზად დატკობას შეეხება, როცა მისი მისწრაფება ინდივიდუალურის ხასიათისაა, იმდენადვე მშისაძრავია, უენერგიო და ლაზარია ის მაშინ, როცა საქმე დედობრივი მოვალეობის ასრულებაზე მიდგება. რამდენადაც გმირია და, მაშასადამე, მშვენიერი ქრისტიანი სატრფოს როლში, იმდენადვე უსუსური და გონჯია ის, როგორც დედა.

იასონმა ქრისტიანი არ შეირთო. მან მოიგლა თავისი უნი და ჩამოშორდა მას. ქრისტიანს სიუვარულმა ნაყოფი გამოიღო: მას დაებადა შვილი, ის გახდა დედა. ზედმეტია იმის შესახებ ლაპარაკი, თუ რა დღეში ჩავარდა ის. ამას უკვლავ ჩვენგანი ადვილად წარმოიდგენს, ვინც ჩვენს სოფელს იცნობს. ის უკვლასათვის თითოთი საჩვენებელი გახდა, უკვლავ მას დასცინოდა, უკვლავ მის შესახებ ჭორიანობდა, ერთი სიტყვით, სოფლის ასუბიანი მითქმა-მოთქმა მასზე იღესაუდა ენას, თავის „ურადლების ღირსად გაეხდა“. ქრისტიანი იჭდა სახლში და სირცხვილით თავი გარედ ვერ გამოეყო. რაც მას სოფელმა დააკლო, მშობლებმა შეუთავსეს. ისინი მუდამ ტუქსავდენ, უსაუკუდურებდნენ, ლანძღავდნენ, კიდევაც სცემდენ მას. შერცხვნილნი, თავმოჭრილნი, ისინი ქრისტიანზე იურიდნენ ჯავრს—და მით ინულებდნენ თავიანთ ბრახს. ცუდი იყო ქრისტიანს მდგომარეობა, ამას ლაპარაკი არ უნდა. მწარე განსაცდელი არგუნა მას ბედმა, ეს აშკარაა. მაგრამ ეს განსაცდელი არ იყო უიმედობით სავსე, მისი სიცოცხლე, ამ ჟამად შავად მოსილი, არ იყო მოკლებული ხათელ ადგილს, დასაურდნობ

წერტილს. და ეს ხათელი ადგილი, ეს დასაურდნობი წერტილი, რომელსაც შეეძლო ქრისტიანი განსარჯვებულ-გამობრძმედილი გამოეყვანა განსაცდელისაგან, იყო მისი ჰიზმშო, მისი ჰაწია გოგი. მაშინ, როდესაც ის უკვლას თვალ-აწუნებულნი ჰყავდა, მაშინ, როცა მას უკვლავ დასცინოდა, მაშინ, როცა ქრისტიანი უკვლას თვალში ეჩხინებოდა—ერთი სიტყვით, როცა ის უკვლასაგან გააციტხული, განდევნილი, მწარე სულიერ თბობას განიცდიდა და არავინ იყო ისეთი, რომელსაც მისთვის ხელი გაეწოდებინა და ნუგეში ეცა— ჰატარა ჩხვილი გოგი მუდამ აკონებდა მას, რომ ქვეყანაზე არის კიდევ არსება, რომლისთვისაც ის ძვირფასია, რომელიც უიმისოდ ვერ გასძლებს; რომ ეს არსება კანონიერად მოითხოვს მისგან დედობრივი მოვალეობის ასრულებას, რომ მისი სიცოცხლე უმიზნო არ არის, რადგან ის, როგორც დედა, ვადებულა ალზარდოს კაცი, საზოგადოების მომავალი წევრი. ამ მოვალეობის ასრულება ქრისტიანისთვის გახდებოდა შორით მოციმციმე ვარსკვლავად, სწორის გზის მაჩვენებლად მის ცხოვრებაში და მისი სიცოცხლის ნავს გახლებული ზღვის ტალღებიდან უფნებლად გამოიყვანდა, განსაცდელს გადაარჩინდა მას. მაგრამ ქრისტიანმა ვერ შეამჩნია ეს მარგალიტი, მან ვერ ისარგებლა ჭრილობის ამ უბარი წამლით, მან გვერდით ჩაუარა მას, და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ცხოვრების აშშორებულ წუმზეს ფსკერზე მოექცა.

რა იყო მიზეზი ამ გვარი სიბუცისა? მისი სული და გული, საზოგადოებრივ ალღო-გრძობებს მოკლებული და ვიწრო ინდივიდუალისტურ მისწრაფებით გაუღენთილი, ქრისტიანს ჰისიხაკა იმ გვარად იყო აკებული, რომ მას არ შეეძლო შვება და სიტკბობა ეპოვნა მოვალეობის ასრულებაში, ის მოვალეობის კაცი არ იყო.



III

აღტრუისტულ გრძობათა შორის დედობრივი გრძობა ერთი პირველთაგანია, ის უნივერსალური, საყოველთაო მოვლენაა ჩვენსა და სხვა მოდგმის ცხოველთა შორის: ამ გრძობითაა გამსჭვალული თითქმის ყოველი სულდგმული. ის ერთი საუკეთესო საშუალო-თაგანია დედაკაცისათვის, ქრისტიანეში კი დედობრივი გრძობა სუსტია, ეს მან გოგის მიტოვებით დაამტკიცა. ის გაქვცა რაც აწუხებდა და ავიწროებდა მას, და თავის „მე“-ზე ეგოღენ ზრუნვამ ისე შეიპურა ის, რომ მშობლიური მოვალეობა დაავიწყა, მან ჩაწიხლა ერთი უდიდესი საზოგადოებრივი გრძობათაგანი. სადი სოციალური გრძობის მქონე დედაკაცი ეტრე არ მოიქცეოდა, მშობლიური მოვალეობის გრძობა ასე ადვილად არ დათმობინებდა მას შვილს: ის ძე ღომივით შეებრძოლებოდა ცხოვრებას, თავს გასწირავდა თავის პირმშოსათვის. ქრისტიანე ატრე ვერ მოიქცა: მან შვილი ღვთის ანაბარად მიატოვა, თითონ კი თავს უშეკვდა. რა ითქმება ისეთ დედაზე, რომელიც რაიმე უბედურების, ვსთქვათ, ცეცხლის გაჩენის დროს, შვილს ხელიდან გააკლებს, მას სიკვდილს მისცემს პირში, თითონ კი თავს უშეკვდის? ჩემის აზრით ორი პასუხი ამ კითხვაზე შეუძლებელია.

ჩვენ გვესმის, როცა კაცი ერთ სოციალურ გრძობას მსხვერპლად სწირავს მეორე სოციალურ გრძობას, უფრო მაღალს, საზოგადოებრივად უფრო ფართეს და მეტის დიდებულებისას. არის შემთხვევები, როცა, მაგალითად, მშობლიური მოვალეობა დაეჯახება ხალხის სამსახურისადმი მისწრაფებას, არის შემთხვევები, როცა ცხოვრება ადამიანს უსვამს დილემას: ან საზოგადო სამსახური ან მშობლიური მოვალეობა. როცა საკითხი ასეა

დაყენებული, ჩვენში უსაზღვრო სიხარულს იწვევს მისი საზოგადო სამსახურის სასარგებლოდ გადაწყვეტა, რადგან ვხედავთ მაღალი პრინციპის შედარებით დაბალ პრინციპზე გამარჯვებას, რაც ცხოვრების წინმსვლელობის ერთი აუცილებელი პირობათაგანია.

ესა ვიკითხოთ, რომელ პრინციპს შესწირა ქრისტიანემ თავისი დედობრივი მოვალეობა, რის გულისთვის მიატოვა მან შვილი?

პირადი სიამოვნებისთვის: მას შეძლება მიეტა შევიწროებულ ცხოვრებისათვის დაესწიო თავი, დედა-მამის შიშიზე ხელს გასწვლამოდა და „აზრმა“, როგორც ამბობს აკტორი, „რომ დაკარგულიყო შორს, სდაც ვეღარ დაინახავდნენ ვერც ნათესავები და ვერც მეზობლები, ისე შთანქვა“, შეიპურა ის, რომ ეველათური დაავიწყა. რისთვის განმორდა ის დედა-მამას, ნათესავებს, ნაცნობებს? მისთვის, რომ ესენი სტანჯავდნენ მას. აქედან ცხადია, ქრისტიანე ეძებდა შედარებით მუუდრო ნავსუედარს, სდაც ის უფრო მშვიდად ჯამობდა ცხოვრებას. მაშასადამე, თავის თავზე ზრუნვამ ჩაადნინა მას შვილის ღალატი. აქ ინდიუდუალურმა სიძლია სოციალურს, დაბალმა პრინციპმა გაიმარჯვა შედარებით მაღალ პრინციპზე. ეს ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა, და მას ჩვენ ტაშს ვერ დუკრავთ.

დამახსიათებელი, ნიშანდობლივია ქრისტიანესთან ტიპისათვის მისი შინიდან გაპარვაც. ჩვენ აქ ვვლავ საქმე გვაქვს ქრისტიანეს ნების არანეუელებრივ სიმტკიცესთან. ქრისტიანეს შინიდან გაპარვა ამტკიცებს, რომ ის მძლავრი პოტესტანტია, მძლავრი პიროვნებაა, როცა საქმე მის პირადს და მხოლოდს პირადს ინტერესს შეეხება...

გ. ანთელიძე.

(დახასრული იქნება)



# მღვინეა

ტოლსტოის სკოლის მასწავლებლის—მოწოხოვისა

(თარგმანი)

ჩვენ შევხვდით ბატონის სახლის მახლობლად კაცს—ცხვრის ფარაჯაში გამოწყობილს ფეხებზე—ქეჩის ჩექმები ეცვა.

— ჩვენ გრაფის ნახვა გვინდოდა, შევეკითხეთ მას.

— მე ვარ ის, მივიღეთ პასუხად.

— კიდევ გევახარ, დაცინვით ჩაილაპარაკა ჩემმა ძმამ და განაგრძო, უთუოდ მისი მოჯამაგირე ხარ? მე უნდა მივეგვარო გრაფს მასწავლებელი, მიმყევი მასთან.

ფარაჯიანი კაცი — მართლაც გრაფი აღმოჩნდა; ის წამიძღვა წინ და ერთად მივედით სკოლაში: მე ვიყავი გაცემული ბავშვების ყუჩინით და ყვირილითა; შევედით თუ არა, ბავშვებმა დაიყვირეს: ლეონ ნიკოლოზის ძეგ, კიდევ მოიწვიეთ ახალი მასწავლებელი?

— ესეც, როგორც სხვები, გაიქცევა, შენ იმეცადინე ჩვენთან, ჩვენ სხვა მასწავლებელი არ გვინდა... შემდეგ მე ვტყუობ, რომ ორი-სამი თვის განმავლობაში ხუთი თუ ექვსი მასწავლებელი წასულა ამ სკოლიდან: ზოგი მათგანი თავისი სურვილით, რადგანაც ვერაფერი გაურჩევიათ მოწაფეებთან, ზოგი-კი გრაფს დაუთხოვნია მოწაფეებისადმი მკაცრად მოპყრობისთვის.

მე დავაკვირდი მეცადინეობას: არაფერი არ ჰქონდა საერთო სკოლასთან; ამის მსგავსი სკოლა არსად მენახა:

ბავშვები ისხდნენ ხშირად ორ-ორი, სამ-სამი, აქა იქ ხუთ-ხუთსაც დაინახვდით; ერთი ვუნდი ყმაწვილებისა კითხულობდა, მეორე სწერდა ასოებს, მესამე ანგარიშობდა, მეოთხე ხატავდა და სხვა...

ერთი სიტყვით, ვისაც რა მოსწონდა, იმას აკეთებდა... ხშირად გაიგონებდით: ლეონ ნიკოლოზის ძეგ, მოდით ჩვენთან, დავგხედე, ხომ კარგად ვკითხულობთ; ხომ კარგად ვხატავთ, ხომ კარგად ვსწერთ ციფრებსა...

გრაფი მიუახლოვდებოდა, დახედავდა ხან ერთს და ხან მეორეს. ამ დღეს გრაფი წავიდა თავის ძმასთან სერგეი ნიკოლოზისძესთან პირაგოვოში...

მე დავრჩი მარტოდ სკოლაში; მოვიდა „კანტორჩიკი“ და დაუყვირა ბავშვებს: „წადით სახლში!“ დღეს დასვენება ესაჭიროება თქვენ ახალ მასწავლებელს— პეტრე ვასილის ძეს, ძლიერ დაღლილია; ხვალ კი მოდით!...

ამ სიტყვების შემდეგ ბავშვები რაღაც უგულოთ დაიშალნენ. საღამოზე კიდევ შეიკრიბნენ, მაგრამ სკოლის დარაჯში ისინი კვლავ დაითხოვა. დავრჩი მარტო და დავფიქრდი: „რა უნდა გავაკეთო ასეთ სკოლაში“; „კანტორჩიკი“ მეუბნება, მიაფურთხე ამ საქმეს; ჩვენი ბატონის დაწესებული საქმე დიდხანს ვერ იბოგინებს; მას ასეთი ხასიათი აქვს: როგორც მალე საქმეს ხელს მოჰკიდებს, ისევე მალე მიანებებს თავს, არ დაასრულებს... მაგრამ მე მაინც დავიწყე მეცადინეობა ისე, როგორც მეხერხებოდა... მალე მობრძანდა ლეონ ნიკოლოზის ძე... როგორც ეხლა მაგონდება ხოლმე, მოწაფეები შეცვინდნენ სკოლაში მხიარული სახეებით და ყვირილით: „ლეონ ნიკოლოზის ძე მოვიდა! ლეონ ნიკოლოზის ძე მოვიდა,

ეხლავე ჩვენთან შემოვა, ჩვენთან!!! ჩვენთან!!!“

გრაფი შემოვიდა სკოლაში, იმ წამსვე ბავშვები მისცივიდნენ გრაფს და სულ ერთიანად გარს შემოერტყნენ, როგორც ბუჩქნარს ფუტკართა მართვი. ათი წუთის განმავლობაში შეუძლებელი შეიქმნა გრაფთან მისვლა და მისალმება. ჩვენ დავიწყეთ მეცადინეობა ერთად... დილის ექვსს თუ შვიდ საათზე ყველა მოწაფე თავმოყრილია: ზოგი გარედ თამაშობს, თოვლს აგუნდავენს, ზოგი დერეფანში ვარჯიშობს, ზოგიც სასკოლო ოთახში მეცადინეობს. ხშირად მომიწევდა ხოლმე სკოლაში შესვლა ჩაის დაღვამდე; 8 საათზე და ხშირად კი უფრო ადრე მოვიდოდა გრაფი. ვმეცადინებდით მთელი დღე... თქვენ იკითხავთ, როდის-ღა სადილობდნენ ბავშვებო; იმათ ჰქონდათ საკმაო დრო, არ იყო განსაზღვრული სამეცადინო დრო საათობით. ზოგი მიდის, ზოგი მოდის და ამნაირად სისხამ დილიდან დაწყებული, საღამომდე მეცადინეობა სწარმოებდა.

თუ გრაფს საღამოს დრო არ ექნებოდა მოწაფეებთან, სამეცადინო, მაშინ იმათ „გარეკდნენ“ შინ. ამ მოვალეობას ასრულებდა ხოლმე სკოლის დარაჯი, ჩვენ კი როგორღაც უხერხულად მიგვაჩნდა ბავშვების დათხოვნა, ვიდრე ჩაძინებულთ არ დავენახავდით შეგირდებს სტოლზე ან (იატაკზე) — სტოლს ქვეშ. მაშინ კი ვაღვიძებდით მათ და მივაცილებდით სახლამდე...

ხშირად გვიგემა საყვედური მოწაფის დედისაგან... აი მაგალითად, დავაკაკუნებთ კარებს:

— ვინა ხართ? გამოგვეხაირობა ბავშვის დედა.

— ჩვენა ვართ, ჩვენ! ბავშვი მოგიყვანეთ, გაუღეთ კარები!

— აი თქვენ შუა-ღამის მოხეტიალენო, სჩანს უსაქმური ხარო, ბავშვებს აუხნეურებთ და ჩვენც გვაწუხებთ... ამ სკოლაში დაქანცულობა, დაღლილობა არაოდეს არ მიგვრძენია, რადგანაც ეს სკოლა იყო თავისუფალი და მაშასადამე მოკლებული ფორმალისტობას და ოფიციალურობას, აქ არავის არ ევალებოდა თავის უფროსის წინაშე მაგალითად გაჩერება. აქ ყველა გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში და ეს კი სრულიად არ მოასწავებდა ურიგობას, უწესობას, — პირიქით, ასეთი იყო წესი სკოლაში მეცადინეობისა!... „უწეს-რიგობა“, როგორც ეს მოეჩვენებოდა პირველად მნახველს, იყო პრინციპიალური, ვინაიდან გრაფის შემოღებული სისტემა მეცადინეობისა არ იყო ამოღებული და შეფარდებული რომელიმე განსაზღვრულ დიდაქტიკურ სახელმძღვანელოსთან, არამედ იყო ნაყოფი მისი გენიალური თავისა, რომელსაც მიზნად დაესახა — სკოლის ოჯახათ გარდაქმნა, მასთან დაახლოვება...

ბავშვები მიდიან, მოდიან — ნებართვას ამის შესახებ არავისგან ღებულობენ; არავინ არაფერს აძალებს, ერთი სიტყვით, ისე მოქმედებენ, როგორც საკუთარი ვონება და ხასიათი უკარნახებს... იასნაია პოლიანას სკოლის შესახებ დადიოდა შემცდარი შეხედულება, თითქო ის ყოფილიყვეს ქოჩად მავალთა ბანაკი დისციპლინის მხრივ, ან და სოფლის ყრილობას ჰგვანებოდეს. ყველა ეს სიცრუეა.

მიუხედავად ასეთი წეს-რიგისა დიდ ცელქობას სკოლაში ადგილი არ ჰქონდა; თუ გამოჩნდებოდა მათ შორის დაუდგარი, წრეს-გადასული ცელქი ბავშვი და დაიწყებდა სკოლაში ქუჩურ სათამაშოებს, ასეთ მოწაფეს ამხანაგები „უცერემონიოთ“



გაიყვანდნენ გარეთ... მაგონდება ერთი საშინელი ეშმაკი ბავშვი, სახელად ფედია. დაიწყებდა თუ არა ეს ბავშვი ცელქობას, ამხანაგები ეტყოდნენ: - „რას ჩაღიხარ, ფედია! რატომ არა გრცხვენია, ხელს ნუ გვიშლი, შენ რომ პურს ლეწდე კალოზე და ჩვენ ხელი შევიშალოთ, არა გვგონია, რომ სასიამოვნოთ დაგრჩეს; ასე გვეწყინება ჩვენც; დაგვეხსენი თუ ღმერთი გწამს, ხელს ნუ გვიშლი“...

ისიც მართალია, ასეთი ღარიგებანი

ხშირად უნაყოფოდ ჩაივლიდა ფედიას მგზავს მოწათფხედ... მაშინ კი შეუღებოდნენ „ამხანაგურ“ გასამართლებას; ასეთ შემთხვევაში გრაფი გადიოდა სკოლიდან, ხელს არ უშლიდა მათ; მაგრამ, ვიმეორებ, ეს ხდებოდა იშვიათად. მე ძლიერ შევეჩვიე, ამ სკოლას, ვმუშაობდი აქ უკანასკნელ სკოლის არსებობის დღემდე და შემდეგ ამისა დიდი მწუხარებით დავტოვე იასნაია პოლიანა.

ნ. ძიძიგური.

## თავ. კრიკოლ ორბელიანი

და

რომანტიული მიმართულება ქართულს ჰოესიაში.

(ფუძღვნი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. კ. ნ. აფხაზს).

(გაგრძელება)

**რომანტიული მიმართულება.** ეს სახელწოდება წარმოსდგება სიტუვისაგან: „რომანიული“. საქმე ისაა, რომ გერმანიული ტომები შეესივნენ ძველად რომის იმპერიის პროვინციებს, დაიმორჩილეს მათი მცხოვრებნი, შეითვისეს იმათი ენა და სწავლულებანი, და აქედამ კახინდნენ შერეული ერები, რომელთაც დაერქვათ: „რომანები“... მოხდა ურთიერთში არეუ-ღარევა სხვა და სხვა ერის კნებისა, რწმენათა, ჩვეულებათა კარდმოცემათა, და აქედამ წარმოსდგა რომანტიული სოფლმხედველობა. ხალხში ამავე დროს გავრცელებული იყო ბინდ-ბუნდათ აზრი თავისუფლების შესახებ, რომელსაც მოკლებული იყო იგი ფეოდალთა მტრებით. თავისუფლებისადმი მისწრაფება რომანტიული სოფლმხედველობის განმასხვავებელს თავისებას შეადგენს. ასეთი სოფლმხედველობა ძველი დროიდანვე გავრცელებული იყო იტალიელთა,

ფრანგთა ისპანელთა, და შარტუგადელთა შორის, რომელნიც რომანიულ ერებად ითვლებიან...  
 რომანტიზმი ორი მხრით შეიძლება განვიხილოთ: ა) როგორც სულისმეტყველურის (ფსიხოლოგიური), ისე ბ) ისტორიული მხრით... სულისმეტყველურის მხრით რომანტიზმი ბელინსკიმ განიხილა. ჩვენ მისი აზრი ამის შესახებ მოვიყვანეთ ნიკ. ბარათაშვილის ჰოესიის გარსევის დროს. მისი აზრით, რომანტიზმი აღამიანის შინაური მსოფლიოა, მისი გულას იღუმალი სიცოცხლე: სიყვარული და გრძობა—რომანტიზმის მოქმედება, გამომსუვება, რადგანაც თითოეული აღამიანი რომანტიკოსია. რომანტიული სულისმეტყველება ყველგანაა, ყოველი ერის მწერლობაში... რუსთა კრიტიკოსის ახ. გრიგორიევის აზრით „რომანტიზმი—ეს ის აღმოფთების და სამუდამოდ აწმყოსი უკმაყოფილების სუ-

ლია, რომელიც დაბუდებულია ადამიანის გულში, ელტვის თავისუფლებას და რომლისთვისაც არ გამოჩნდება მთელი ქვეყანა, ერთი სიტყვით, ეს ის ცეცხლია, რომლის შესახებ ლაპარაკობს „მწირო“-ს გმირი: „სიურმითვე ის (ცეცხლი) დგოდა მალეით ხემს გულში“... როგორც სულიერი განწყობილება, რომანტიზმში ადამიანის ისეთი თავისებურებაა, რომელსაც თან ახლავს გარეშემორტყმული ცხოვრების უკმაყოფილება და ლტოლვილება ცხოვრების იდეალის განსახორციელებლად, — იმ იდეალისა, რომლის შეაკვლშიცაა სიუფარული, რომელიც ადამიანს ადამიანის სულიერს ბუნებას და აკეთილშობილებს მოუძღვრის მისი არსებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რომანტიკოსი შეტად ამუშავებს თავის ფანტაზიას, გამოსახულების ნაწეს და ზენაასთ საძეოეში ეძიებს არათუ მხლელად სადგურს; არამედ თავის მისწრაფებას საზრდასაც. ცრუ კლასიკური მიმართულების საწინააღმდეგოდ რომანტიზმში ქადაგებდა იმას, რომ ადამიანის ცხოვრება მარტო ცივს განებაზე არ უფილიყო დამყარებული, არამედ გამოთაროყო, ზნეობრივი შეგნებით განსუქებული გრძობითაც მგრძობელობაზე მდლხა იმითი იდვა რომანტიზმი, რომ გრძობის სიდრმეს მოძღვრებდა — და ადამიანის ბედნიერებას მხლელად საპირადო გრძობის დაქმყოფილებაზე არ ამყარებდა...

**რომანტიზმი, როგორც ისტორიული მოვლენა.** ს ფრანგეთის რევოლუციამ და ენციკლოპედისტების მოძღვრებამ გული გაუტეხეს შეგნებულს კაცობრიობას. ენციკლოპედისტები ამბობდნენ, რომ მხლელად განებას შეუძლიან შექმნას სანატრელი საზოგადოებაო. რევოლუციამ უმოდღვრა კაცობრიობას ძმობა, ერთობა, სიუფარული, თანასწორობა, რომელთა გულისთვის ბლემათ დაიდვრა სისხლი... მაგრამ ადამიანი მალე დარწმუნდა, რომ ვერც განებას და ვერც რევოლუციამ ვერ განმარტლეს

თვისნი ადტქმანი. განებას ვერ უზენა იდეალურ, სანატრელ საზოგადოების შექმნის გზები და რევოლუციამაც ვერ დაამერა ნამოდვრები ძმობა, ერთობა, თანასწორობა და სხვ...

კაცობრიობას განებაზე შეტად გული გაუტედა, მაგრამ ამათანავე შეუძლებლად მიანდა კვლავ დაბრუნებოდა ძველი სარწმუნოების და ეკლესიის ზედ-გავლენას, ამის გამო ის მოიცვავს სასწარმკეთილებამ, უიმედობამ, მოწყინებამ. საამისოდ ჰალიტიკური მიზეზებიც არსებობდა. როგორც ვიცით, რევოლუციამ მოახდინა მესამე წოდებამ, რომელიც ერთგვარი მასწილამ არ შესდგებოდა... ამ წოდებას შეადგენდნენ ყველა ისინი, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ უფლებით მოსილს თავდაზნაურობას და სასულიერო წოდებას. მაგრამ შეცხრამეტე საუკუნის დასწყისშივე ნათლად გამოირკვა, რომ მესამე წოდება შესდგებოდა ორი მობირდაზირე, მოწინააღმდეგე ჯგუფიდან: ერთი მათგანი იყო ბურჟუაზია და მეორე ლარიბ-ლატაკი, ბოგანო ხალხი... ეს ორი ჯგუფი შეერთდა რევოლუციის მოხდენამდე უფლებით მოსილ წოდებათა წინააღმდეგ მიმართული მტრობის და სიძულვილის ნიადაგზე... ამ შეერთების საგანი იყო სხვა და სხვა უფლების მობოება სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში, რევოლუციამ მოხდა. უფლებით მოსილ წოდებათა ჩამოართვის უფლებანი... მაგრამ როდესაც ჯერი მიდვა ნაშგონ-ნადავლის გაყოფაზე, გამოირკვა ბურჟუაზიის და არა ბურჟუაზიის სრული კლასობრივი განსხვავება და ინტერესთა სხვა და სხვაობა. გლეხებმა და მუშებმა თავისი წილი მოითხოვეს. ამ რიგად მიდარს კაპიტალისტებს და შესაკუთრებებს გაუნდათ ხალი მტერი, გუშინდელი თვისი მოკავშირე, ღარიბი ხალხი... მიდარმა კაპიტალისტებმა თვალნი მიახერეს ქველს იდელებს... იმათ ენატრებოდათ ადგენილიყო ძველი მონარქია, რომე-

ლიც მოისპო ლიუდოვიკ მე-XVI სსხით; ისინი მზად იყვნენ თვის მიერ მოხაზებული უფლების ნაწილი დაეთმოთ მონარქიული წეს-წყობილების სასარგებლოად, თღონდ კი ამის მეოხებით მოეპოებიათ სახსარი საბრძოლველად. წინააღმდეგ საისტორიო სარბიელზე ახლად გამოსული მრისხანე შტრინა, რომელსაც სახელად „ზროლეტარია“ („ბოგანო“) ეწოდა. იმას ძლიერ ესამოყვანთ ნახაღეოხის გამეფება... ამ სახით მოისპნენ მეფენი თავად-ახნაურობისა, — ხოლო განდნენ მეფენი ბურჟუაზიისა, მოქალაქეებისა. მეფე ხელს ართ-მეფს, მხარს უჭერს ბურჟუას და ხდება ახლად გაბატონებული კლასის ინტერესთა მედგარ დამცველად... ამ სახით გონების სიფერაში „უკანხევა“ (რეაქცია) დაჟკავშირდა პოლიტიკურს უკანხევას. აზრთა სიფერაში შეუშინდნენ გონების ბატონობას, ხოლო პოლიტიკურს სიფერაში კი ხალხის თვითმზურბოქლობას. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაზნდა მწუხარება საწმუნოების დაკარგვის გამო, ხოლო რესპუბლიკის მაგიფრად მდიდრებმა მოინდომეს— იმპერია. 1815 წ. შეიკრა საღმერთო კავშირი, რომლის სულის ჩამდგმელად იყო ავსტრიის მინისტრი მეტტერნიხი: სამი დი-

და სახელმწიფო მონარქებმა (რუსეთისამ, ინგლისისამ და ავსტრიისამ) გადასწევიტეს შეერთებულად ებრძოლათ ყოფილი რეპოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ, სადაც უნდა ეოფილიყო... დამუარდა სასტიკი სიბნელითა მოსილი უკანხევა, რომელმაც კული აუცრუვა საზოგადოებას პოლიტიკური და სოციალური საკითხების შესახებ. აღამიანის აზრმა, რომელიც აღიარებდა მონაწილეობას საზოგადოებრივ ურთიერთობისა და დამოკიდებულებათა გაუმჯობესობაში, რეგორც ეს ხშირად ხდება, უურადლება მიაქცია წმინდა ხელოვნების საკითხებს და წვრილმანს რამეებს... დრის ჰკარგავდა ბუნების ქებაში, სიფერაულს გუნდრუეს უკმეკდა, ტკბილს ხმებს მღეროდა... საუკეთესო დრმად განვითარებული გონების პატონთ ეს საკითხები და რამე-რამეები ვერ დააკმაყოფილებდა და ამის გამო ისინი, თანამედროვე კარემოებათა მეოხებით გულგატეხილნი, მიეტნენ სასოწარკვეთილებას... პირველმა ტალღამ წარმოშობა რომანტიზმი (მიმართულება რომანტიული), ხოლო მეორემ „ავის მხედობა“ (ვესიმიზმი)...

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

### სიმართლის აღზრდა ბავშვებში

**ს**იმართლე—სულიერი ერთობა, სულიერი თანხმობაა აღამიანისა. სიმართლე—აღამიანის სულის ძვირფასი სამკაულია. ვისაც სურს აღზარდოს ნამდვილი აღამიანი, არ დაუკარგოს მისს ხასიათს ასეთი ძვირფასი თვისება, იგი ამ დიდებულ საქმეს ძალიან აღრე უნდა შეუდგეს. პირველ ყოფილ აღამიანისათვის, აგრეთვე პატარა ბავშვებისათვის ტყუილი

გაუგებარი შემეცნებაა. ყოველნაირი გამოგონება, ფაქტების გადაკეთება-გაღამინჯება მათთვის უცხოა. ბავშვი (2—4 წლ.) ლაპარაკობს იმას, რასაც გრძნობს, რასაც ფიქრობს, მისთვის არსებობს მარტო სინამდვილე. მხოლოდ შემდეგ, აღზრდის სიღუბჭი-რის გამო, მის ხასიათში იკეთებს ბინას არა სასურველი ელემენტი—ტყუილი.



საუბედუროთ, ჩვენ ბავშვების ზნეობრივ აღზრდაზე ძალიან ცოტას ვიწუხებთ თავს. საჭიროა მეტი მუყაითობა, მეტი დრო, მეტი დაკვირვება და მოთმინება.

აღზარდოთ მომავალ თაობაში მტკიცე სული, შეუდრეკელი მიმართულება, დაუმონავებელი სიყვარული სიმართლისადმი.

განვიხილოთ, დაახლოვებით, ის მიზეზები, რომელნიც აჩვენებენ ბავშვებს სიკრუეს. ამით, რა თქმა უნდა, უფრო გაგვიადვილდება იმ გვარ საშუალებათა გამოხატვა, რომელნიც მიმართულ უნდა იქნან ბავშვის ბუნებისთვის (ჯერ კიდევ გაურყენელის) სასურველ მიმართულების მისაცემად.

მეორე წლიდან ბავშვი ეჩვენა ლაპარაკს. მეტია იმის მტკიცება, რომ ენის შესწავლა ბავშვთათვის ძნელ საგანს წარმოადგენს.

შეიძლება ბავშვმა მრავალი სიტყვა ვერ იხმაროს იმ მნიშვნელობით, ურომლისოდაც მათ ჩვეულებრივი აზრი ეკარგება: მრავალი სიტყვა მას თავისებურად ესმის, ამიტომ, როდესაც ის (ბავშვი)გადმოგვცემს ამა თუ იმ მოვლენას, ნანახს თუ გაგონილს, მან შეიძლება სინამდვილე დაამახინჯოს (ენის უცოდინარობის გამო), ბევრი ტყუილი გაურიოს და მით ბავშვის მოთხოვნა სიმართლეს მოკლებული გამოვიდეს, მაგრამ ასეთ შემთხვევებში მისი მატყუარად, ცრულ მონათვლა დიდი შეცდომა იქნება.

საქმე ის არის, რომ ბავშვი ჯერ კარგად კიდევ ვერ ლაპარაკობს, სცდება ზოგაერთ სიტყვების ურთიერთ შორის დაკავშირება-შეერთებაში, ერთი სიტყვით ჯერ მანს სავსებით ვერ შეუსწავლია ენის სხვა და სხვა ფორმები. მაგალითად: ბავშვი გველაპარაკება: მე დღეს ფეხსაცმელები მიყიდესო. — შეიძლება გამოვარკვიოთ,

რომ ფეხსაცმელები დღეს კი არა გუშინ უყიდათ.

ბავშვმა „მოგვატყუილა“, მაგრამ ეს ტყუილი განზრახ შეთხზული არ არის: რადგან მას კარგად არ ესმის მნიშვნელობა სიტყვებისა: „გუშინ“ და „დღეს“ — აქედან წარმოსდგა მათი არეგ-დარევა და მეორის მაგიერად პირველის ხმარება.

ბავშვს არა აქვს აწონილი თავისი ძალონე, მას ბევრი ისეთი რამ შეუძლიან დაიჩემოს, რომლის ასრულებისათვის არ შესწევს თავისი პატარა ძალა ღონე.

ხშირად ბავშვი ეხვეწება. მშობლებს, მიანდონ მას ესა თუ ის საქმე გასაკეთებლად, ან და გაგზავნოს ამა თუ იმ ადგილას და არწმუნებს, რომ დავალებას პირნათლად ასრულებს.

ხშირად მიყვება მამას სამუშაოდ, მასთან ფუსფუსობს, ვითომ ეხმარება, თუმცა უფრო-კი ხელს უშლის და დაბრუნებისას დედას არწმუნებს, რომ მან დღეს ბევრი იმუშავა და მამასაც „შელავათი მისცა“. არც ასეთ შემთხვევებში სტყუის ბავშვი, ის მართლა დარწმუნებულია „თავის ნაცოფიერ მუშაობაში“ და ასეთი რწმენა-კი წარმომდგარია საკუთრივ ძალ-ღონის ყალბ წარმოდგენიდან.

საკოველთაოდ ცნობილია, რომ ბავშვები ძნელად არჩევენ სინამდვილეს და სიზმარს. ხშირად სიზმარი სინამდვილედ ეჩვენებათ. ბავშვმა სიზმარში ნახა რომელიმე გარეული მხეცი, რომლითაც მას ხშირად აშინებენ, ან-და მშვენიერი ბრწყვილა ნივთი, პირველ შემთხვევაში ის სტირის და ეხვეწება უფროსებს დაიფარონ საზიზღარ მხეცისაგან, მეორე შემთხვევაში — გაფაციცებით ეძებს სასიამოვნო ნივთს, რომელმაც ასე გაახარა და რომელიც მხოლოდ ძილში დაესიზმრა.

ხშირად, ასეთ შემთხვევებში, უარყოფა

და მტკიცება იმისა, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო და არა ცხადი, უნაყოფოდ რჩება. აქაც ბავშვებს მატყუარად ვთვლით, მაგრამ, თუ ღრმად დაეუკვირდებით, არავითარ ასეთს ადგილი არა აქვს. ეს ბავშვის ბუნების თვისებაა. ვტყუილდებით მხოლოდ ჩვენ, ბავშვები კი ამ შემთხვევაში მართალი არიან. დამტკიცება იმისი, რომ ბავშვები არასოდეს არ სტყუიან, შეუძლებელია და სინამდვილეს არ შეესაბამება. ფაქტები არის, მაშასადამე მათი უარყოფა არ შეიძლება. მხოლოდ ზემო მოყვანილი მაგალითები და მრავალი მათგვარი უნდა გავარჩიოთ ნამდვილ ტყუილისაგან, რომელსაც სულ სხვა მიზეზები და მიზანი აქვს.

რისთვის ლაპარაკობენ ბავშვები ტყუილს? ამის გამორკვევა აუცილებლად საჭიროა. თუ ჩაუკვირდებით პირველ ბავშვის ტყუილს, გამოვარკვევთ შემდეგს: ბავშვი გრძობს რამე, სიამოვნებას, მას ამ სიამოვნებას უსპობენ. აღკრძალული მოქმედება ბავშვს ძლიერ იზიდავს. ის იძულებულია განაგრძოს სიამოვნების მოპოება ჩუმად ქურდულად, თუ აქაც შეესწარიტ, ბავშვი იშველიებს ტყუილს, რომ თავი დაახწიოს მოსალოდნელ სასჯელისაგან, გინდ დატუქსვისაგან.

პერეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: 2 წლის ბავშვი ნაცარში ურევდა ნაფურთხს, ზელდა მას და თავს იქცევდა. მამამ დაინახა ეს, გაუწყრა და აუკრძალა შვილს ამგვარი გართობა. ბავშვი განცვიფრდა, შეხედა მამას და ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა: „მამა, მითხარით როდის წახვალთ?“ — მამას ამ დროს ქუდი ეხურა და წასასვლელად ემზადებოდა.

მოყვანილ მაგალითში ოფიციალური, სიტყვიერი ტყუილი არ არის, მაგრამ

ფაქტიური-კი — აკრძალვა არ სრულდება, მამა მოტყუებულია.

ვის არ შეუძინებია მსგავსი მოვლენა: მოწაფეებმა კარგად იციან, რომ მასწავლებელი მათ გაკვეთილზე ლაპარაკს უკრძალავს, მაგრამ მოშორდა მასწავლებელი მათ და, ვსთქვათ, დაფისაკენ წავიდა. ბავშვმა დრო იხელთა და ამხანაგს ჩურჩული დაუწყო. მასწავლებლის შემობრუნებისთანავე ბავშვი ხმას კმენდს, თითქმის არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ განათლებულ სახეზე ბავშვს ეტყობა, რომ დანაშაულობა ჩაიდინა, თუმცა ენერგიულ უარს აცხადებს.

ეს პირველი საფეხურია ბავშვურ ტყუილისა. მისი გამოაშკარავება ძნელი არ არის. მაგრამ ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდება მასში მოხერხებითი ნიჭი და მასთან ერთად ბავშვური ტყუილი უფრო რთულ ჩარჩოებში იხსმება.

საუბედუროთ, დღევანდელი აღზრდა დამყარებულია შიშზე:

ოჯახში ბავშვს ეშინიან მშობლების, უფროსი და-ძმების, სკოლაში — მასწავლებლის, გარეთ — მხეცების, ჭინკების, რომლითაც ხშირად აშინებენ. შიში! ყოველ ფეხის გადადგმაზე ბავშვს რისამე ეშინიან!

რამდენად მეტი სიმკაცრეა გამეფებული ოჯახში, იმდენად მეტ ტყუილს ეჩვევიან იქ აღზრდილნი ბავშვები. ეს ყველასაგან ცნობილია.

ბავშვმა იცის, რომ მას სასტიკად დასჯიან, ამიტომ ის იგონებს ტყუილს, რომ აიცილოს სასტიკი სასჯელი.

როდესაც შიშის გამო ბავშვი იგონებს ტყუილს, მისი მიზანი მარტივია და არც იმდენ გამჭრიახობას ითხოვს წისგან, მაგრამ როდესაც მოტყუებით ბავშვს უნდა რაიმე პირადი სარგებლობა გამოიტანოს უფროსებისაგან, ასეთი ტყუილი ითხოვს

მათგან ღიდ წინდახედულობას, ჭკუას და შესაფერად თავ-დაჭერას.

ბავშვების მხრივ ამ გვარი მოქმედება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მლიქვნელობა, გამოისახება მრავალ ფორმაში.

ბავშვი დარწმუნებულია უფროსების აკრძალვის უკანონობაში. ამიტომ ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს მათ სიტყვებს, მხოლოდ ცოტათი ჰოელაქუცება, ტკბილ სიტყვებს ეტყვის და ამით სასურველ საწადელს აღწევს. მცირე წლოვან ბავშვებში მლიქვნელობა განუკითარებელია და ადვილად დასანახი, მაგრამ ბავშვის ზრდასთან ერთად ძლიერდება და ვითარდება ეს პროცესიც.

მოვიყვან კატერევის მაგალითს:

მოსწავლე ბავშვი ჩამოვიდა ქალაქიდან სახლში—სოფელში. დედამ ჰკითხა: „ვისი ნახვა უფრო გაგიხარდა“-ო? ცოტა დაფიქრების შემდეგ შეიღმა უპასუხა—დებისო. იქვე მყოფმა რვა წლის ქალმა-კი შენიშნა: „არა გცხვენიან, მიხაკო, ყველაზე უფრო დედ-მამის ნახვა უნდა გაგიხარდესო“.

ფაქტი აშკარად ღაღადებს ბავშვის საქციელს. ბავშვები ხშირად იმეორებენ მშობლების სიტყვებს, შეხედულობას ამა თუ იმ საგანზე, ამა თუ იმ შემთხვევაზე, თითქოს გულ-წრფელად იყოს დაინტერესებული იმით, რითაც დაინტერესებულნი არიან მშობლები, მაგრამ ეს არ ხდება წამბაძობით, არა, განგებ, რო მოიგონ მათი გული და რაიმე გამოსტყუონ. ხშირად ეალერსება ბავშვი დედას, ამკობს მას ტკბილი სიტყვებით, კოცნის, რომ შემდეგ დედამ ხათრი ვერ გაუტეხოს და სურვილი დაუკმაყოფილოს. აი, როგორ ამზადებს ჯერ კიდევ პატარა ბავშვი ნიადაგს თავის მიზნის მისაღწევად. ასეთი ფაქტები ბევრია. მათ წინააღმდეგ ბრძოლა აუცი-

ლებელია. თორემ ადაშიანური სახე დაეჩრდილება ბავშვს და მთელ მის სიცოცხლეში მხოლოდ მსახიობი დარჩება.

რა საშუალებით შეიძლება ბრძოლა ამ უარყოფითი თვისების განმტკიცების წინააღმდეგ?

ბავშვს ძლიერი მიდრეკილება აქვს გააზვიადოს ყოველივე საგანი, მოვლენა.

როდესაც ის რომელიმე ფაქტს გადმოგვცემს შიგა და შიგ თავისს პირადს, სუბექტიური შთაბეჭდილებასაც ურთავს, რის გამოც თვით ფაქტები სიმართლეს მოკლებული გამოდის.

ქეშმარიტების დასაცავად აუცილებლად საჭიროა ბავშვების მოთხრობებს, მის აღწერას ანალიზი, კანტროლი ვაუკეთოთ, გადავსინჯოთ, აღმოვაჩინოთ და დავანახოთ—თუ სად გადასცდა ის ქეშმარიტებას.

ასეთი თვალსაჩინოება ღიდ სამსახურს გაგვიწევს დასახულ მიზნისთვის. ბავშვი გვიწერს არა ჩვეულებრივ სიმალის ხეს, რომელიც ვითომ 2—3 ჯერ უმაღლესი იყოს ჩვეულებრივ ხეზე. წავიყვანოთ ბავშვი და გამოვარკვიოთ სიმართლე; ასეთი ვარჯიშობა მიაჩვევს ბავშვს სიმართლე დაიცვას მოთხრობის დროს: ნანახი და გაგონილი გადმოგვცეს სისწორით და ეს ხომ პირველი საფეხურია სიმართლის განმტკიცებისათვის.

ბავშვს რაიმეს უკრძალავენ.

აკრძალვას ის არ ასრულებს..

მშობლები-კი, დარწმუნებულნი არიან, რომ მათი სიტყვა ასრულებულია და ამიტომ არც ეკითხებიან ბავშვს—შეასრულა თუ არა მან მათი სიტყვა.

ამ შემთხვევაში ფაქტიური ტყუილია, სიტყვიერი—არა. შეიძლება ბავშვმა არ გადავაროს ის, რაც მშობლების სურვილის წინააღმდეგ ჩაიდინა. შეიძლება იმ-



დენად გამბედაობა და უსირცხვილობა მასში არ არის ფენ-მოკიდებული.

პირველ ტყუილს, ე. ი. მხოლოდ ფაქტიურს (რომელიც სიტყვიერად უარყოფილი არ არის) უფრო თავმდაბლად უნდა შევხვდეთ, რადგან აქ ჩვენ თვალ-წინ იხატება ბავშვის სინანული ჩადენილ დანაშაულობისა გამო.

ასეთ შემთხვევებს მშობლებმა და აღმზრდელებმა განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციონ. ნდობა არ უნდა წავართვათ ბავშვებს. ვისარგებლოთ იმავე კაპტერვის მაგალითით: ქალს 3-4 წლისას ძლიერ ეზარებოდა ყოველ დილას კბილების წმენდა. ერთხელ დედის შეკითხვაზე: კბილები დაიწმინდე, თუ არაო—ბავშვმა ჩვეულებრივად უპასუხა: კიო. დედამ დაუჯერა, მაგრამ სინიღისმა ნება არ მისცა ბავშვს ნდობით აღჭურვილი დედის გული მოეტყვილებინა, იმ წამსვე გავარდა ოთახში და დედის სიტყვა ასრულა.

მსგავსი მაგალითები მრავალია.

აი სწორედ უნდა ვეცადოთ, რომ ის მამხილებელი ძალა, რომელიც მოსვენებას აძლევს ბავშვის სინიღისს, არ უნდა მივაყუროთ. პირიქით, უნდა ვეცადოთ გამოვაფხიზლოთ, ფეხი მოვაკიდებინოთ ბავშვის სულსა და გულში.

მოწონების ღირსია ის, რომ თუმცა ბავშვმა დანაშაულობა ჩაიდინა, მაგრამ სიტყვიერად არ უარყო. საკმარისია, რომ ბავშვმა თვითან სცნო თავისი საქციელი დანაშაულობად. ინკვიზიტორული გამოკითხვა და საქმის ვითარების სავსებით მოთხოვნა სარგებელს ვერ მოგვიტანს.

წინად ვთქვით, რომ ბავშვის ზრდასთან ერთად ტყუილი უფრო რთულ ჩარჩოებში იხსნება მეთქი. მაშასადამე, საჭიროა ასეთ შემთხვევებში უფრო პირდაპირი ბრძოლა.

განმარტებული იყო, რომ ტყუილი წარმოსდგება ნაგემარ სიამოვნების გაგრძელების სურვილის გამო. ამ გვარ სიამოვნებას კი უკრძალავენ. მაშასადამე მოისპობა რა აკრძალვა, მოისპობა ტყუილიც. მაგრამ სრული თავისუფლების მიცემა ბავშვთათვის მოქმედებაში შეუძლებელია. რადგან ის ვერ იცნობს გარშემორტყმულ საგნებს, ამიტომ მას შეუძლიან ზიანი მოუტანოს როგორც თავის თავს, ისე სხვებსაც.

მაშასადამე აუცილებელია ზოგი მოქმედების აკრძალვა. აკრძალვა კი იწვევს ტყუილს. როგორ მოვიქცეთ?

თავდაპირველად უნდა შევამციროთ რიცხვი აკრძალვისა: აღიკრძალოს უნდა ისეთი მოქმედებანი, რომელნიც აუცილებლად ასაკრძალავია. საბავშვო ოთახში უნდა იყოს ისეთი ნივთები, რომლის შეხება და ხელში აღება ბავშვს არ ავნებს.

აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი თავის დროზე დაკმაყოფილებულნი უნდა იქმნან. ნამდვილად-კი ასე არ იქცევიან, აკრძალვა მრავალია მის ასრულებას თვალ ყურს არავინ ადევნებს.

როდესაც აღმზრდელი უკრძალავს რასმე, მას უნდა ახსოვდეს ორი რამ: 1, აზრი აკრძალვისა ნათლად უნდა ესმოდეს ბავშვს; 2, აკრძალვა უნდა იყოს მუდმივი, დღითი დღე ცვალებადი აკრძალვა სწავლა-აღზრდას აფერხებს. აკრძალვა; რომელიც ნაყოფია ხანგრძლივი მოფიქრებისა, მალ-მალე არ იცვლება.

მართალია, ზოგი აკრძალვის აზრის სავსებით განმარტება შეუძლებელია და ბავშვის გონებრივ განვითარებას არ შეესაბამება, მაგრამ დაახლოვებით მაინც შეიძლება მისი გაცნობა.

როგორც წინად იყო ნათქვამი, ტყუილის წარმომშობი უმთავრესი წყარო—

შიშია. მაშასადამე, თუ გვინდა აღმოვფხვრათ ეს უარყოფითი თვისება ადამიანში, უნდა შევამციროთ შიშზე დამყარებული მოქმედება და მის მაგიერ გავამეფოთ სიყვარული და აღერსი. მართალია ძნელია შიშის განდევნა სკოლიდან, სადაც თავშეყრილია სხვა და სხვა სულიერის ძალების და თვისების მქონე ბავშვები. შიშის განდევნა უფრო ადვილია ოჯახიდან, ვიდრე სკოლიდან. მაგრამ მუყაით და ენერგიულ მასწავლებელთ ასეთი დაბრკოლება ვერ შეუშლის მოქმედების გეგმას. საჭიროა მხოლოდ შეგნება და მოთმინება.


ხშირად ჩვენ, უფროსები ვაჩვენებთ ბავშვებს ტყუილს: თუ მოვიდეს ესა და ეს კაცი, უთხარი რომ დედა ან მამა შინ არ

არისო, ზუმცა მამაც და დედაც სახლში ბრძანდებიან... და სხვა მრავალი.

კიდევ ორიოდ სიტყვა.

თუ ბავშვი იზრდება ისეთ წრეში, სადაც სიმართლე ფეხ-ქვეშ გათელილია და მის მაგიერად ტყუილია გამეფებული, თავის თავად ცხადია, რომ ასეთი წრე შესაფერ გავლენას სტოვებს ბავშვზე. ის თანდათან ეჩვევა სინამდვილის გადამახინჯებას და მისს ნამდვილ სახის დაჩრდილვას. ერთი სიტყვით—საკითხი: ბავშვებში სიმართლის აღზრდისა—მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების წევრების ურთიერთ შორის დამოკიდებულებასთან და მათ ზნეობრივ განვითარებასთან.

მ. რევიკა.



## წერილი ამხანაგთან

ძმაო გერასიმე! მივიღე შენგან წერილი, რომელშიც, სხვათა შორის, მწერდი: „ებრაელთა შორის რიტუალური მიზნით მკვლელობის არსებობა, თურმე ჩვენშიაც სწამთ ბევრს სამწუხაროთ, რაც უფრო ნათლად დამანახვა ბეილისის პრაცესსა; მაგრამ უფრო სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ეს რწმენა არსებობს არა მარტო გაუნათლებელ ხალხში, არამედ, ზოგიერთ ინტელიგენტებშიც და როგორ ვსთქვა, მაგრამ ზოგ მას...წავ...ლებლებშიცო; თან მოგვყავდა მაგალითი, თუ ერთმა მღვდელმა როგორ განუმარტა მოწაფეებს ებრაელთა შორის რიტუალური მკვლელობის არსებობა; ბოლოს მე-

კითხები, ნეტავი რა არის მიზეზი, რომ რაც უნდა უტყუარი საბუთებით არწმუნო ეს ვაე-ბატონები მათ რწმენის უსაფუძვლობაში, მაინც ვერ დაარწმუნებთ, ესე იგი არ უნდათ დაარწმუნდნენო. მე ძლიერ ჩამაფიქრა ამ შენმა წერილმა და ბოლოს შემდეგი დასკვნა გამოვიყვანე იმის შესახებ, თუ რატომ აქვთ ზოგიერთებს ძვალ-რბილში ასე ღრმად გამჯდარი რწმენა რიტუალური მკვლელობის არსებობის შესახებ. შენც კარგად იცი, ჩემო გერასიმე, თუ რა საშუალებას მიმართვენ ჩვენში უვიცი დედები, რომ თავიანთი კირვეული ძუძუ-მწოვრები დააწყნარონ, როდესაც უკანასკნელნი მათ აწუხებენ;

რომ საგანს არ გადავსცდეთ, ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენსამე ამ საშუალებათაგანს; ხომ გინახავს, მაგალითად, როდესაც აკვანში ბავშვი სტირის, დედა ცდილობს რამენაირად შვილი დააწყნაროს და ჩაძახის აკვანში: „სი, სი, ნანა, ჩუმათ, თორემ მოვიდა ტურა, მოვიდა მგელიო, ან და თითონ საზარელი ხმით დაიჩხავლებს, ხან დაიკნავლებს, ჰბაძავს მგლის, ტურის კივილს, რომ შვილი შეაშინოს და გააჩუმოს; თუ ბავშვი შოზრდილია და ლაპარაკი შეუძლიან მის გასაჩუმებლად დედა უფრო რეალურ საშუალებას მიმართავს; როდესაც ბავშვი ქირვეულობს, ის თუ ღამეა, დაანახვებს კედელზე ჩრდილს, რომელიც ცეცხლის ან სანთლის ალის რხევაზე ინძრევა და დედა ეუბნება ამ დროს შვილს: „ჰე, შეხედე, გაჩერდი, თორემ ხომ ხედავ, ის ქაჯია, დაგეტაკება და წაგიყვანსო, ან და ხშირად ბნელ ადგილასაც გაუძახებენ ბავშვს, თან უძახიან, დაწყნარდი თორემ ეხლავე გამოხტება მგელი და შეგჭამსო: მაგრამ ამაზე უფრო რეალური საშუალებაც აქვთ დედებს შვილების „გასასწორებლად“. მოვა მათხოვარა თუ არა, დედა ეუბნება შვილს: „გახსოვს წუხელს რო სტიროდი, ხედავ ამ მათხოვარს, ვეტყვი და ეხლავე პარკში ჩავსვამს და წაგიყვანსო; საწყალი ბავშვი მირბის და კუთხეში იმალება შიშის გამო და მათხოვარისადმი სიძულვილით აღვსილი. ხშირად ჩვენში ებრაელებმა იციან ჩამოვლა ძველი კალოშების, ჯაგარის, კვერცხის და ძველი ნოხების საყიდლად. რასაკვირველია დედებსაც სწამთ თითქო ებრაელები ქრისტიანების სისხლს ხმარობენო, და აშინებენ თავის ქირვეულ შვილებს: არ იტიროოო, რაც გითხრა ყველაფერი დამიჯერეთ, თორემ ვეტყვი დანიელას, ის დაგიჭერს, პირში ბურთს ჩავი-

დებს, რომ არ იყვირო და დაგჩხვლეტენ სადგისითო. აი ის მთავარი საშუალებები ჩვენი უვიცი დედებისა, რომლითაც ისინი შვილებს, ვითობდა „სწრთენიან“. მერმე რა შედეგი მოჰყვება ამ გვარ წრთენას? აი, რა შედეგები: ბავშვებს, შენც კარგად იცი ძმაო, თუ ბავშობისას რაიმე გულში ჩაებეჭდა, იმას მერმედ ვეღარ ამოფხვრი ადვილად. ბავშვი იზრდება ამნაირ დედების ხელქვეითი; ხომ გინახავს 16—20 წლის ყმაწვილები და უმეტესად ქალიშვილები, რომელნიც დაბნელებია თუ არა, გარედ ფეხს ვერ გამოადგამენ შიშის გამო, გაივანებენ თუ არა რაიმე არა ჩვეულებრივ ხმას, შიშისაგან ჰკრთიან, ვით-არცა ქურციკი; არიან ისეთებიც, რომელთაც ღამე მუდამ სანთელი უნთიათ, თორემ ბნელაში ვერ დაიძინებენ; დაინახავენ მათხოვარს თუ არა, თითონაც არ იციან, თუ რა აშინებს, შორს გარბიან. ვადავიდეთ ეხლა პირდაპირ საგანზე. ენერგება ოჯახში ბავშვებს ებრაელებისადმი სიძულვილი და შიში, იმათ ესმით ხალხში და ოჯახშიც ათასნაირ მოქორილ ლეგენდები, ურიას თითქოს ბავშვი მოეტაცოს, ეწამებინოს და ბევრი სხვა ამგვარები. ბავშვი შეეხარდა ამ რწმენას, დაეაჯკაცდა, ვსთქვათ მიიღო სწავლა-განათლება, მას მაინც სწამს რიტუალური მკვლელობის არსებობა და ყოველ შემთხვევით სარგებლობს, რომ ურია დაჩაგროს და დაამციროს.—მერმედ რა ეშველება ამ ბოროტებასო, ვიცი მკითხავ. აი რა ეშველება; შენ ხომ მასწავლებელი ხარ, საშუალება გაქვს გაეცნო, თუ რამდენად სწამთ შენს მოწაფეებს რიტუალური მკვლელობის არსებობა. მოწაფეების ზნე-ჩვეულებებს და ცრუ მორწმუნეობას რო ეცნობი, მასთან ეცნობი სკოლიდან იმ ოჯახს, წრეს, სადაც აღიზარდნენ შენი მო-



წაფენი. ამით საშუალება გეძლევა მიიღო ზომები ამ ცუდ ზნე-ჩვეულებების და რწმენის აღმოსაფხვრელად. მე მოგიყვები ერთ მაგალითს ჩემი სკოლის ცხოვრებიდან: ჩემს სკოლაში მოწაფეთა ნახევარს ებრაელები შეადგენენ. პირველი წელი არის ჩემი მასწავლებლობისა და პირველად მომიხდა ებრაელებთან და ქრისტიანებთან მეცადინეობა; ვამჩნევდი ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის რაღაც არა მეგობრულ განწყობილებას და განცალკევებას. ბეილისის პროცესის შემდეგ დავინტერესდი, მინდოდა გამეგო, თუ რა აზრისანი იყვნენ ქრისტიანი მოწაფეები რიტუალური მკვლელობის შესახებ და მოკლე საუბარი გაემართე მოწაფეებთან ამ გვარად: „ყმაწვილებო, მივმართე მათ. ზოგიერთ თქვენს ოჯახებში სწამთ, თითქოს ურიები ქრისტიანების სისხლსა ხმარობენ... დავათავე ეს უკანასკნელი სიტყვა თუ არა, ვხედავ, უფროსი განყოფილების კარგა მოზრდილმა მოწაფემ მკერდზე მუშტი დაირტყა და მრისხანედ გადახედა თავის ამხანაგ ებრაელებს. მე თითქოს არ შემიმჩნევია. განვაგრძე, თან თვალს ვადე-

ვნებდი მის ფიზიონომიას... მაგრამ ეს ტყუილია, განვაგრძე. ვსთქვი სიტყვა — ტყუილია-მეთქი თუ არა, ხსენებულ მოწაფის სახეზე და აგრეთვე თითქმის ყველა ქრისტიან მოწაფეთა სახეზე ვანცვიფრება და რაღაც გამოურკვეველი სურათი გამოიხატა. მე დაუმტკიცე მათ მათი რწმენის უსაფუძვლობა, მათ ბევრი „მაგალითები“ მომიყვანეს, თითქოს ებრაელებს ეწამებინათ ქრისტიანი ბავშვი, მაგრამ ისინი დავარწმუნე, ამ მაგალითების უსაფუძვლობაში და თან მოუწოდე ქრისტიანებს და ებრაელებს ეცხოვრათ ძმურად და მეგობრულად, უკუ ეგდოთ ის ყალბი შეხედულება მათზე, რომელიც აქამდინ ჰქონდათ.

ასეა ძმაო, გერასიმე, საქმე! კარგია, მასწავლებლები თავ-თავიანთ სკოლაში გამართავდნენ საუბარს რიტუალური მკვლელობის არსებობის უსაფუძვლობის შესახებ, რომ მოწაფეების ნორჩ გულს მოაცილონ ეს კაცთა სიძულვილის ლაქა, რომელიც ჩაუნერგია მათთვის ოჯახს.

ი. სიხარულიძე.

სუსტ-ნერვებისა და ბავშვები და მათი აღზრდა

(წერილი მესამე)

სმინდა მჩხდებოდა, რომ ბავშვი, რომელიც სუსტ-ნერვებისა და აიბადა, სხვა და სხვა პირობის და გარემოების შეხებით, სიდიდის დროს არ გამოაჩენს ნერვების სისუსტეს იმ სახით, რა სახითაც ეს მოსალოდნელია... მაგრამ მას, ვისაც სუსტი ნერვებით მოუხდა ქვეყნად გაჩენა, სიდიდის დროსაც ეტეობა ისეთი უცნაურობანი, რომელთა არსებობა არ შეიძლება სხვა მიზეზით აიხსნას, თუ არა იმი-

თი, რომ მასთან დაუთვლილი აქვს დედის სამოდამეუ ნაკლულეკანება (დეფექტი) ნერვების ცხოვრებაში. საკვირველი ისაა, რომ სწორედ ასეთი უცნაურობანი ხასიათისა დაჩუმიებული აქვსთ ისეთს გვამებს, რომელნიც თავისის ჭკუა-გონებით შესანიშნავნი არიან... და ეს უცნაურობანი — სრულიად არ მასწავლებენ ასეთი გვამების ჭკუილამ შეშლას, მათს სისუელეკეს, როგორც ამას უგეცნი გონებენ...

დოქტორს დ. კ. კონიგს ერთს თავის თხზულებათაგანში მოყვანილი აქვს მრავალი მაგალითი იმისი, თუ რა უცნაურობანი ჰქონდათ დაჩემებული დიდბუნებოვანს გვამებს... შესანიშნავი ექიმი ბუშელინე ისე იყო გატაცებული თავისი საქმით, რომ სურდა დღე და ღამე ემუშავა... ამისთვის მთელს დღეს უფას სვამდა, რომ ძილი არ მოსვლოდა. როცა ძილი მოუხდებოდა ბანკს მიიღებდა ხოლმე. ისტორიკოსი მეზერაი ზაფხულის ცხელს დღეებში სანთელს ანთებდა და ისე მუშაობდა. თითოეულს მნახველს აცილებდა კარებამდის და ამავე დროს ხელში დანთებული სანთელი ეჭირა. გრეტრი თავისი მუსიკალური ნაწარმოების შეთხზვამდის მეტად ბევრს სწამდა და ბევრს უფას სვამდა; ამისთანავე იმდენად გატაცებული მუშაობდა ფორტეპიანოზე რომ პირადი სისხლს ასაქმებდა... მხოლოდ ამის შემდეგ ის მშვიდდებოდა. კარდანუსი ძალათა იტყენდა ტკივილს, რომ შემდეგში უფრო დამტკობარიყო ჯანის სისადით. რუსსო ჰამანაქება სინებში თავშიშველი იარებოდა, რადგან მზის სხივთა ზედმოქმედება სისამოწონოდ მიანხდა... ლიუკას ფონ ლეიდენმა თავისი უკანასკნელი წლები სწავლაში გაატარა, რადგან ეგონა, რომ ის მოწამლეს... რამდენი ტანჯვა, წვალება, შიში გამოუგლიათ გატაცებულ მეცნიერთ თავისი სამეცნიერო მიზნის მისაღწევათ. ძველი ფულის მტოდნემ ვაილანტმა, როდესაც ავსტრიელები თავს დაესხნენ, ხაულებს რამდენიმე ძვირფასი შედარად და შემდეგ დიდის წვალებით და ტკივილით მოინგულა. რუსსო დიდს ხანს ფიქრობდა საგანს, რომლის შესახებ სწერდა... დაწერის შემდეგაც დიდს ხანს ასწორებდა. ლაპე-დე-გუბა ერთს დღეში ადგილად ათასს სტრაქონიანს ლექსს დასწერდა. ზოგიერთნი ადგილად მუშაობენ განსაკუთრებულ გარემოებაში (ОУСТА-НОВКА). მონტენი ხაიკატა ძველ კოშკში, რომ უფრო თავისუფლად ეწერა. მონტესკიემ თვი-

სი „კანონების სული“ შეადგინა საფოსტო ეტლში. ბოსნიეტი მუშაობდა ცივს ოთახში, მხოლოდ თავს თბილად იხვევდა. როდესაც ფოკსი გაძლებოდა და თავის სამუშაო ოთახში შევიდოდა, თავს ძმრანი წყალში დასველებული სახვევით შეიკრავდა. შილერი აღმადრენის ეტიებდა მამზანურ ღვინოში და მუშაობის დროს ფეხები ჩადგმული ჰქონდა ცივს წყალში; ისიც ვიცით, რომ იკოპე შილერი მუშაობის დროს ჩახვევად დამხალ ვაშლებს სუნავდა. მხატვარი გვიდო რენი საუცხოვოდ იცვამდა მუშაობის დროს: ძვირფასს ტანისამოსში გამოწყობილი შრომობდა, ხოლო მოწაფენი ჩუმათ და წყნარათ მსახურობდნენ.

ზოგიერთი აღმადრენის გულისთვის თბილად იცვამდა. საკინის უფარდა მუსიკანური მუშაობის დროს გარშემო კატების მოკრავდა: ისინი კნოდენ და ხტოდენ, ხოლო ის კი — თხზავდა. ადისონი ამბობს ერთი ვეჭვილის შესახებ, რომ ის ისე ვერ ილაპარაკებდა სასამართლოში. თუ ცერზე მისვლის ქამანდს არ მოიჭერდა. მწერალი შერიდანი ძლიერ დათვრებოდა და მერე წერას მიჭურთვდა ხელსა.

გონებით მუშაობის მეტად უფართო უფა. რუსსოს უფარდა მართლ უინვადი და უფა... ერთი ფრიად ჭკვიანი აღმადრენი, უფის სიუფარულით გატაცებული, ამბობდა, როდესაც რამე მოეწონებოდა: „საუცხოვანო! ნამდვილი უფა!“.

უნაურობად ჩასთვლილი კიდევ ის მანკვა-გრენა და კრუნჩხვა, როგორც დაჩემებული ჰქონდათ ზოგიერთს შესანიშნავს გვამებს. კრებილიონი წერის დროს მეტად საზიზღრად იმანკებოდა. ღუბერტასი ცხენის შესანიშნავი აღწერის დამთავრების შემდეგ ხშირად ჩიკეტავდა კარს ოთახში, ხვინვიებდა და ხტოდა ცხენის მსგავსათ.

თუ გვამები მეტად მკრძნობიარენი იუვნენ, ხშირად მათ სხვა და სხვა ფიზიკური

მოკლენა ემართებოდათ: გრეტის სდიოდა პირიდან სისხლი, მოცარტი—პირდაპირ გიჟდებოდა, ვებერმა კი უდრყოფად ნახს სმარე, რუსოს—მუშაობის დროს აცივებდა, დრან-ლანს—აკანკალებდა, ალოერის—თვალთ უბნელებოდა.

ნერვების სისუსტე და ზოგიერთი უცნაურობანი ხასიათისა, რომელნიც პირველზეა დამყარებული და მათი საზრდოობენ, დაჩემებული ქქონდათ შესანიშნავი მწერლები უმრავლესობას... ეს გარემოება ადვილად ასახსნელია, რადგან როგორც ვიცით, მგონებს აქვს ბუნება, რომელიც ადვილად ეძლევა შთაბეჭდილებებს; აქვს ისეთი სულიერი განწყობილება; დამყარებული მათს ნერ-

ვიულს აკებულობს, რომ ძალა დაუტანებლად სწნდება მათს შემეცნებაში მთელი გროვა განცდათ... ძნელად ნახავთ მგონსთა შორის მთლიანს, ჰარმონიულათ განვიოარებულს პირფენებს... რაიმე ახირებულება, უცნაურობა რომ არ ჰქონდეს დაყოფილი მათს სულიერს ბუნებას, შეუძლებელია... ძლიერ ხშირათ, როდესაც რომელიმე მგონსანი იტყვის ან დასწერს რამეს,— ის თავისუფლდება იმ სულიერ ტანჯვათგან, რომელთაც განიცდიდა მისი სულიერი ბუნება... მაშინ გრძნობს იგი სიამოვნებას და ურიგდება თავის ბედს...

ი. ფერადე.

(შემდეგი იქნება).

ქართული ღმერთები ადინა და ნინა

„ვიდრე 1901 წელს პროფესორი ნიკო მარის გამოკვლევა *Bohi Языческой Грузии*... არ დაიბეჭდებოდა, ჩვენის წარსულის მკვლევარნი დაწმუნებულნი იყვნენ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის შესახებ ჭეშმარიტი ცნობებია შენახული: ამაზი, ზადენი გა, კაცი, აინინა და ითრუჯანი ქართველ ხალხის დვთაებუათ ითვლებოდნენ. მაგრამ მარმა დაამტკიცა, რომ ქართული საისტორიო წყაროების ცნობები ერთნულ კერპთაყვანისმცემლობის გამომხატველი არ არის და არაბების ბატონობის დროინდელ, რომელიც ქართველ სასულიერო მწერლის შეთხზული უნდა იყოს“.

საუბედურათ აქ დასახელებული წიგნი ხელთ არა მაქვს, მაგრამ რამდენათც მახსოვს ასეთი დასკვნა სრულებით არა აუცილებელი დასახელებული წიგნის მკითხველისთვის.

უგლათურს რომ თავი დავანებოთ და მართლ განუხებულათ დავსვათ კითხვა, ეს დასკვნა მაინც მეტად გაბედული გამოვიდა.

ქვეყანაზე არ არსებულა არც სუსტი და არც ძლიერი კრი, რომლის პანთეონში უცხო ღმერთები არ ეოფილიყოს. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ სესხს ან პოლიტიკური ან ეკონომიური ურთიერთობა უძღოდა წინ. ქართული ისტორია უძველესი დროიდან ეოფილას სპარსულთან დაკავშირებული, ამიტომ ქართლის ცხოვრებასაც რომ თავი დავანებოთ ამაზის „შეთხზვა“ მაინც მეტათ პრობლემატიური გამოკვივა; რომ ეს ღმერთი „შეთხზული“ არაა, ამაზე შეიძლება ის მოკლენაც მიგვითითებდეს, რომ ეს სახელი მიდიური ფორმითაა ჩვენში ცნობილი. გარდა ამისა გადამწვეკტი მნიშვნელობისათ მე შემდეგი ფაქტი მიმაჩნია: სტრასინი და პტოლო მეასი ორიგ ინსენიებენ ჩვენში ცნებ-ქალაქს *Ἀρμαζινη* (სტრ.) ან *Ἀρμαჯινη* (პტოლ.). მე მგონია ადვილი დასახანია, რომ ეს „ჰარმობაჰე“ ანუ „ჰარმაჯიკე“ იგივე ქართლის ცხოვრების **არმაზის ციხეა**, მაშასადამე შეთხზვაზე დაპარაკი სრულიათ შეღმეტია.



რომ არცსხვა დმერთებია „შეთხზული“, ამის დამტკიცებას დღეს დღეობით ვერაფერს იკისრებს. უფველ შემთხვევაში შეითხველს რომ სხვა სახელის (იანინა და ნანა) შესახებ მინდა ჩემი აზრი გაუზიარო.

ეს სახელები უფველ წყაროებში იშლება ე. ი. ქართლის ცხოვრებაშიც, ქართლის მოქცევაშიც და სომხურ ქრონიკაშიც.

„და მან (სურმაგმა) შექმნა ორი კერძი აინინა და დანანა“ გვ. 33. ქართლის ცხოვ. „ამან (სურმაგმა) წადმართა კერძი აანინა გზასა ზედა... და მის შემდგომით მეფობდა მიკრან და აღმართა დანინა. ქართლ. მოქცევა 5-6. ქრონიკაში კიდევ დანანას ან დანინას მკვიერ „დადანა“-ა ნახმარი. როგორც იყო ამ სახელების ჭეშმარიტი სახე დმერთმა იცის. რომ ესენი დამხინჯებულათ არიან ჩვენამდე მოსული, ამას ზემოთ მოუვანელი ფორმებიც გვაჩვენებენ. მიუხედავად ამისა ესენი მაივ სუმერულ დმერთთა სახელებს („ინინა“ „ნინა“) მოგვაგონებენ. შეითხველს არ უნდა გაუკვირდეს, რომ „დანიანს-დანანას“ — „ნინა“-ს ვადარებ, რადგან ჩემთვის ცხადია, რომ ეს „და“ უაზროთ გადაიწერს, მიუკერებია „ნინა“-სთვის. ალბათ იგი კავშირით იყო ნახმარი (ანინა და ნინა (ნანა)). ეს იქილამაც შეიძლება დავსკვნათ რომ, „ნანას“ „ნინა“ „ნანეს“ ხმარობს სახელებათ ძველი ქართული და სომხური მწერლობა და არა „დანანას“. სახელი ნანა აგრეთვე ფრიგიაში, კილიკიაში, გალატიაში და ლიკიაში ხშირია. ნანა ნიშნავს სანსკრიტულათ, სპარსულათ, ოსმალურათ, ლეკურათ, (ნინუ) თუშურათ, ქისტურათ (Ингушский) ჩეჩნურათ და სხვა დედას და არა დანანა.

ზოგს ორივე ეს სახელი ერთი და იგივე ჭეგონია: ასე მაგალითად ჭიმელს (იხ. Die Götter namen in den babyl. Siegelcy...83) მაგრამ რომ ეს სწორე არაა, ამას სუმერთ მეფის გუდას (2600 ქრ. წინ) წარწერები გვიმ-

ტკიცებენ, სადაც ორივე ეს სახელი განცალკევებითაა მოხსენებული.

... „როდესაც ინინამ, მოგვითხრობს წარწერა, თავისი ცხოველი თვალთა სხივი მიანერო მას, გუდას, ლაგაშის გამტემ, როგორც მიხვედრილმა კაცმა (სუდარი ააშენა). (იხ. Thureau. Dangu Die Sum. u akk. Königs inser. Status C. გვ. 75. მეორეჯან გვ. 93.

„და მივიდა იგი დმერთ-ქალ ნინა-სთან და შესთხვა: ნინავ დედოფალ! დაუფასებულ აზრთა წყაროვ! დედოფალ, რომელიც ენლილთან ერთათ ხვედრთ განსებ... შენ ხარ შემდგომელი, დედოფალი ქვეყანათა, დედა ამხსნელი სიზმართა“.

ინინას ემბლემით წარწერა ვარსკვლავს ასახელებს, ხანასათ კი ტემს (გვ. 105.) ინინას კულტი ამ დროსვე უფველად ჩრდილოეთისკენ გავრცელებული, რადგან გუტიუმის მეფე ლაზირაბა ამისვე სახელით იწვევება (გვ. 173). ეს გუტიუმი, რომელსაც ძველ ბაბილონიურს გარდა ძველი ეგვიპტური წარწერებიც იცნობენ) გეოგრაფიულათ დღევანდელ სომხეთს უდრის. ამ ქვეყნის მაშინდელი მცხოვრებნი თუმცა კულტურულათ ძველი ბაბილონიელების ზედგავლენის ქვეშ იყვნენ, მაგრამ როგორც სხანს სხვა ხალხს ეკუთვნოდენ, რადგან ესენი წარწერებში „თუარ კანანებით“ იხსენიებიან (E. Meysr. Gesch. Alh. 1, 2, 577).

არაა მაინც და მაინც საჭირო ვიფიქროთ, რომ ჩრდილოეთში ამ დროიდანვე შერჩა ეს სახელები, რადგან უფრო წარსული იცნობს მათ...

ნანას სახელი გვხვდება: დაბადებაში მაკაბელთა წიგნში I 61 და II 14. იგი გვხვდება აგრეთვე ინდო-სკიტიურ ფულეებზე (ქალის სახით—მცრალი მთვარით შუბლზე) და ორთითთ ხელში.

ნანას ქრისტიანობის ხანის მწერლობაც იცნობს. ავთანკელა იხსენიებს მას წმინდა გრიგოლის ცხოვრებაში და მისე ხორენელი—

მეორე წიგნში. უფრო გვიან კიდევ მას ერთ სირიულ ნაწარმოებში ვხვდებით, რომელიც შეთურთმეტე სუაჟის ეკუთვნის. (იხ. Nottmann Auszüge aus syrisch. Akten... 14).

რის გამომხატველია ეს ღმერთი — ძნელი სათქმელია მით უფრო, რომ ღმერთებსაც თავის ისტორია აქვთ და ამიტომ ესენი ჩხირათ იცვლიან ხოლმე სახეს. რომ აქ დედა ღმერთთან გვაქვს საქმე, უკვე გუდას წარწერამ გვაუწყა, მაგრამ დედა-ღმერთებს ბევრს იცნობს ძველი ერების ზნათკანი.

ვინაშინა გვარწმუნებს, რომ მოსე ხორენელი (II 14) მას ათენას უწოდებს. ერთა ბერძნული წარწერა მას არტემიდად იხსენიებს (ზემოთ გვ. 130) მარ-მუჰანის ისტორიაში კი ნანა ზეჟისის შემდეგ იხსენიება მთელი დედამიწის ღმერთათ. (ზემოთ. 29) დაბოლოს აკათანკელი მას არმაზის ქალათ იხსენიებს. (იხ. Hoffmann 134).

ზემოთ დასახელებული ჭოფმანი ნანას ანაჰიტს (ანაიდას) ადრის, რადგან ამბობს ის, ორთითი, რომელიც ნანას ხატავდენ სწორეთ ანაჰიტის საწირავათ იხმარებოდა სომხეთში (154). უფრო სწორეთ მიმაჩნია მეკმინის აზრი, რომელიც ნანას სომხურ ასტლიგ-ს ადრის. ასტლიგ პირდაპირი თარგმანია სირიულიდან და ზაწია ვარსკვლავს (ვენერას) უნდა იმსახვდეს.

აქ ზეჟს შეგვიღო ერთის მსრივ ქართული ზეპირსიტყვაობა, მწერლობა და მეორე მხრივ გუდას წარწერა დაგვემოწმება. (ემბლე-

მა—ვარსკვლავი), მაგრამ საქმე ისაა, რომ მარტო ეს წერა იცნობენ ორივე ამ სახელს, სხვაგან კი მხოლოდ ნანა იხსენიება, ასტლიგვენერა სადაც სამართალია ნანას კი არა „ინინას“ უნდა უდრიდეს, რადგან სწორეთ ამ ინინას ემბლემათ იხსენიებს გუდას წარწერა ვარსკვლავს, მაგრამ რაკი ეს სახელი შემდეგ ქართულის გარდა სრულიათ აღარ იხსენიება, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორავ ქალ-ღმერთის სტრამბუტები ნანას მიეთვისა.

საკვირველია, რომ ქართულ-ზეპირსიტყვაობაც ორივე ამ სახელს იცნობს. მე აქ სახეში ერთი ქართული ძველის-ძველი სიმღერა მაქვს, სადაც ექვს გარეშა ამ სახელებთან გვაქვს საქმე:

(რ)ანინა-ა, (ნ)ანინა-ა, დილა-ა; დილა, (რ)ანინა... ნანა დილა... და სხვ.). რამელი სახელია აქ დილასთან დაკავშირებული ძნელი სათქმელია, ეოგელ შემთხვევაში საფიქრელია, რომ ანინა—დილა აქ სახელია დროთ არაა ნაკულისხმევი, არამედ დილის ვარსკვლავს (ცისკარი—ვენერა) აღნიშნავს. გუდას წარწერაც ვარსკვლავს აღიარებს ინინას ემბლემათ.

სანტერესთა თუ რამ ტექსტი მოეძებნება ამ სიმღერას, მაშინ მეორე ღმერთთქალის ვინაობის გამოთვლაც ადვილი იქნებოდა.

შესაძლოა მეორე სახელიც ვენერას აღნიშნავს მხოლოდ, როგორც საღამოს ვარსკვლავს, მაგრამ ამის საბუთი არ გვაქვს.

ა. სვანიძე.



# სული ობოლი

(მეგობრის დღიურიდან)

კრას ვფიქრობ ამ ჟამად იადონზე, რომელიც დასტირის ვარდის ბუჩქს...

ვიღებ კალამს, რათა გამოვსატევა გრძნობა, რომელიც მარტოოდენ ჩემს სულს შეეხება და ვილაც ჩამჩურჩულებს: დაეხსენ, ნუ სწერ, თორემ უღმობელი ვინმე გადაიკითხავს და გესლიანად დაგცინებს...

ვის რა უფლება აქვს შეეხოს ჩემს სულს? ვის რა უფლება აქვს ამ სტრიქონების წაკითხვისა?

მე მხოლოდ ჩემთვისა ვსწერ საკუთრად ჩემთვის, რათა შემდეგ გადავიკითხო და ზედ საკუთარი ცრემლი დავაფრქვიო, ცრემლი მზგავსი იმ ცრემლისა, რომელსაც უჩინრად სწირავს მსხვერპლად უმაღლეს ნიჭით დაჯილდოებულ ავტორს, მგრძნობიარე მკითხველი, ცრემლი რომლის მზგავსი არა ერთხელ დამიფრქვევია გრძნობით დაწერილ ნაწარმოებზე. ცრემლი, რომელიც არასოდეს არ გადმომიფრქვევია მას შემდეგ, რაც გული გამისაღკლდევა საიდუმლოებით მოცულმა ცხოვრებამ, ცრემლი, რომელიც წამართო სიამაყემ ხმალ-ამოწვდილმა შურისძიებამ.

ამ სტრიქონებში პირველად მსურს ვახსენო იმის სახელი უცვლელად, რომელიც ვერას დროს ვერ ვავებდე გამომემქლავნებინა, სახელი, რომლის მზგავსი მრავალი შემითხზავს ჭეშმარიტების დასაფარავად, მსურს ვახსენო, მაგრამ რაღაც მაკრთობს და ისევ მზგავსს ვიგონებ...

გესმით ყოველივე ეს? ხელი არ ახლოთ ამ სტრიქონებს...

...ცხოველ მყოფელ ბუნების ღია

მკერდს გულისცემა უსუსტდებოდა. ტყე უღრანი, ტყე იღუმალებით მოცული ხრიოკდებოდა, ტოტები იძარცვოდნენ და მოწყვეტილ ყვითელ ფოთლებს უღრანისკენ მიაქანებდა აკვილონის მძლავრა ფრთები... ამ დროს სატანის მოუხეშავმა ღრიალმა ჩემს ყურთა-სმენას აუწყა, რომ მან ელვის შურდული ჰქრა ჩემს აჯანყებულ სულს და უძღურად შეთნილი დავრჩი ცხოვრების ველზე...

აღარ ვიყავ ის, რათაც ამ წუთამდე ვგრძნობდი თავს, სისხლის ტალღა ვნებით აღელვებული ჩემშივე აღარ დასცხრა, გადახეტქა მაგარი ზღუდენი მთელის ძაღლით და საბრძოლველად მიეშურებოდა ხმალ-ამოწვდილი.

ამაო იყო ხმა ბრძოლის კიჟინისა, საღლა ჰპოებს ეთერის მთვლემარ ზვირთებში ლაღად მცურავ გედს ტალღა, რომელიც ვერას დროს ვერ შესწვდება ცას?..

შეღამდა... ცის კაბადონს აღისფერი გადაეტმასნა, აღშფოთებული სული მწუხრის ნიავის ფრთებმა, მიიყვანა მდინარის პირას, რომელის მთვლემარ ზვირთებში მთვარის სხივი კაშკაშებდა...

სულს დაობლებულს მარტოოდენ ოხვრა აღმოხდა და იგრძნო. შიში, შიში რომელიც უხატავდა სიცოცხლის განადგურებას... მიღუნდა გიჟური მღელვარება, შეგრწუნდა სული. სისხლის ტალღა დასცხრა, ტანჯვის გუბედ გარდიქმნა...

აღლოა! აღლოა!

ველურ ღრიანცელით შეარხია ჰაერის ტალღა ამ ხმებმა და თვალთავან გადმოფრქვენ ცრემლის ზვირთები, მზგავსად



კლდიდვან გადმოხეთქილ გიჟმაე ნაკადულისა...

მდინარის მკერდზე წამოიჭრა მხიბლავი აჩრდილი მოლაღატისა და იწვევდა სულს მთრთოლვარ ტუჩებზე ჩასაკონებლად. სული ვნებით მიბნედილი გაშმაგებით უცქეროდა მას.

— ალლოა, მითხარ, სადა ხარ ახლა, ვის სარეცელზე გიძგერს გული, ალლოა, მითხარ რად უღალატე სულს შენთვის მტირალს, რად დამამარცხე, რად ვფართხალებ უძღურად ქმნილი, ამ ჟამს შენს აჩრდილის ბრჭყალებში? შურისძიებით გამსქვალული გიცხადებ ბრძოლას, ყრმაე! რომელმაც წარიტაცე ჩემი გრძნობის მომხიბლავი...

მზის ცქრილა სხივი შემოიჭრა ღამის ბინდში...

ამაოდ უხმობდა ნემეზიდას სული ობოლი, ის უძღური იყო ამგვარ ბრძოლაში.

დღე ღამეს ცვლის, ღამე დღეს, და ამ დროთა მსვლელობაში მხოლოდ მწუხარე ოხვრას ახეთქებს ჰაერის ტალღებს სული ობოლი. იგონებს წარსულს, იგონებს ტკბილ წუთებს დროთა მსვლელობის უფსკრულში შთანთქმულს. ახსოვს როგორ შეხვდა პირველად მას; ახსოვს ის ღამე, როდესაც მთვარე ოდნავ გამოკრთოდა გატრეცილ ღრუბლის ნაკვთებში, — ახსოვს როგორ ჩაუღო ხელი ხელში და მყისვე სხეულში ინსტიქტმა გაიღვიძა, სიყვარულის ღმერთმა ფრთა გაშალა. იგონებს როგორ ეფიცებოდა სიყვარულს, რა რიგ მოჰკლიჯა ცხოვრების ტალღებმა მის მკერდიდვან და შორს, შორს საშინელ უდაბნოში მისცა ბინა. თვალწინ უდგას ის სურათი, როდესაც მას კვლავ შეხვდა ცხოვრების გზა ჯვარედინზე და ალლოას თვალეში გამოკრთა აღტაცება

და სიხარული, ალლოას თვალეში შეგუბებულ ცრემლის მორავეში იმ რიგად ბრწყინავდა ვით მზის სხივი ციურ ნამში.

— სალამი! სალამი! ჩვენ კიდევ ერთად ვართ!

— როგორ? აქამდე ერთად არა ვყოფილვართ?

განცვიფრება გამოიხატა ალლოას თვალეში. ვერ მიხვდა უბრალო გამოცანას, ვიდრე არ აუხხნა: რომ ის ყოველთვის სუფევს მის გულში და ყოველთვის ხედავს, ყოველთვის ესაუბრება.

— ჰო! ძლივს მიგიხვდი.

რად დაბადა ეჭვი ამ სიტყვებმა სულის სიღრმეში? იგონებს იმ სურათს, როდესაც პირველად შესწამა მას ღალატი; ალლოა ვიღაც ყრმას მიყვებოდა და ნაზად იღიმებოდა, როდესაც მის გვერდით გაიარეს, მან თავი დახარა, სახეზე სიწითლე წამოაწვა. სული აღშფოთდა, უხმო ღრიალი იწყო და ვით გულ-ჩათხრობილმა ნაკადულმა წაიდუღუნა.

მოლაღატე! საზიზღარი! მოლაღატე!

ყოველივე აღსრულდა. მას შემდეგ მრავალჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მრავალჯერ უხილავს სულს ალლოა და არას დროს სალამი არ მიუცია. შფოთდა სული, ღრიალებდა, შემდეგ სცხრებოდა; თითქოს ხვედრს ურიგდებოდა.

მხოლოდ როდესაც სატანის ხმებმა აუწყეს, რომ ალლოა უცხო ყრმასთან შეუღლდაო, მთელი სიძლიერით წამოიჭრა, საბრძოლველად გაექანა, მაგრამ კვლავ დასცხრა, დადუმდა დამარცხებულში...

რა არის ეხლანდელი შფოთვა სულისა იმ წუთთან შედარებით? ეს მხოლოდ წყნარი, სუსტი რხევაა ტალღებისა, მსუბუქ ნიავის ფრთებით, მაგრამ მწარე კენკით ამოძახილი, „ალლოა“ კვლავ ველურ

ღრიანცელით არღვევს ჰაერის ტალღებს. ალლოა! ალლოა! ეს ხმები მკაფიოდ ისმის შორს, სივრცეში, ვით გულ-განგმირულ ლომის ღრიალი.

სული ჩემი იცნობს ერთგვარ მწერალთ, მეცნიერთ, ხელოვანთ, იცნობს მათ ვინც გაიძახიან „ქალი ბოროტებაა სილამაზეში და მხიბლავ გრძობაში გამოხატულია“ მას ბევრჯერ სმენია „ქალი მტერია მამაკაცის და მას დაღუპვისაკენ მივზიდებო“.

ვინ დამარწმუნებს ეს სინამდვილეა?

ადამიანო! თქვენ იცნობთ თქვენს თავს? თქვენ იცნობთ ადამიანს? იცით რა საშინელება რამ არის ადამიანი? ადამიანი ეს უზარმაზარი ვეშაპია, გაუმადლარი, რომელიც სპობს და ანადგურებს ყოველივეს, საშინელებაა! საშინელება ადამიანი ამოძრავებდა დედის გვამში და დაიბადება თუ არა, ის იმ წამსვე იწყებს ყოველივეს განადგურებას, პირველად ყოველისა ზის ავაზაკობას სჩადის, ჩაისუნთქავს თუ არა ჰაერს, იმ წუთსვე იტაცებს მქაზადს. პირველ დღიდან სამარის კარამდე ის სძარცვავს ბუნებას, ანადგურებს საღ ჰაერს, ანადგურებს მიწის მკერდზე აღმოცენებულ არსებათ. ოჰ საშინელია საშინელი ადამიანი, საშინელებაა მამაკაცი და თუ ამასვე სჩადის დედა-კაცი ეს უფრორე შესაწყნარებელია. მამაკაცი, მოუხეშავია, ტლანქია. დედა-კაცი ნაზი ნარნარი, ის თუ ანადგურებს ბუნებას, ჯილდოსაც აძლევს. განა ვერ ამჩნევთ რა რიგ ალტაცებით ცელქი ზეფირი ეთამაშება მის მთრთოლვარ გულმკერდს? მორცხვად და მოკრძალებით უზრიან თავს მკენარენი, ნაზი ყვავილნი; ისიც ღიმილს აფრქვევს ირგვლივ, ყოველივეს ღიმილით ასაჩუქრებს. მამაკაცი მრისხანე და შეუპოვარია, სახეს სიამაყის და ძლიერების შარავანდელი აფარია...

ხედავთ, ალლოას აჩრდილი ილიმება, ვგრძნობ დამცინის, მესმის სატანის ხიტი.

— ხა! ხა! ხა! შენ კი გაგანადგურა, დაგამარცხა დედაკაცმა! ხა! ხა! ხა!

დიახ, დამამარცხა, გამანადგურა, ილიმება ალლოს აჩრდილი, უთუოდ თვით ალლოაც ილიმება ამ წუთს, მიუხედავად იმისა, რომ მის უმანკობას, მის უსახლვრო წრფელ სიყვარულს მამაკაცი სვრის ვნების ტალღაში, მამაკაცი ბარბაროსულად სჯიჯგნის მის სხეულს.

გაიღიმე ალლოა! ვეცდები დაგიმტკიცო ვინ არის ჩემი დამამარცხებელი.

ერთს ადგილს ჩემ საყვარელ მწერლის ნაწერებში აღმოვიკითხე: „ბრძოლაში მარცხდება არა მარტო ძლიერი, არამედ მძლეველიც“. დიახ, ეს სრული სინამდვილეა, სრული ქეშმარიტებაა, რომ როდესაც დედაკაცი იმარჯვებს, იმ წუთსვე იგი მარცხდება. მყისვე მის სხეულს ბარბაროსი მამაკაცი უწყებს კორტნას.

აჰ, რად გაფითრდი ალლოას აჩრდილო? განა არ გახსოვს ერთხელ (და სამწუხაროდ მხოლოდ ერთხელ) უნებურად დაგაკონე ჩემს მკერდს ნაზი ტუჩებით?

რა უყოთ რომ უღალატე ჩემს გრძობას. ეს ზიმიტომ ჰქმენ, რომ ის მამაკაცი, რომელიც ამ ჟამად შენს მკერდს დაჰკონებია, ჩემზე ძლიერი ვეშაპი აღმოჩნდა. განა შენ სუსტსა და უძლურ არსებას შეგეძლო ჩემი დამარცხება? არა, ეს მან დამამარცხა! მან! როდესაც სული დელავს, ღრიალებს მას აზრად არა აქვს შენ შეგებრძოლოს, ის მხოლოდ მას ებრძვის, სურს დაამარცხოს და შენ კვლავ თვის სიღრმეში მოგიმწყვდიოს. შენ მონა ხარ, მონა და რა უყოთ თუ დრო გამოშვებით!

## შინაური მიმოხილვა

ყოველივე, ყოველივე  
იბღებულს?

ქართული ენა სამეგრელოს სკოლებში; რეალური სასწავლებელი მსურს მრავალი  
1881 წ. გეგმის წინააღმდეგ სწავლება სადგომო სკოლის ზეგადილ-იქონებს,

ჯერ კიდევ არ გათავებულია პოლიტიკა ქართული ენის განდევნის შესახებ სამეგრელოს პირველ-დაწყებითი სკოლებიდან, ჯერ კიდევ ამ საგულისხმო საკითხის ირგვლივ ამტყდარი განგაში საუბედუროთ არა საზოგადო საქმის სასარგებლოთ, არამედ პარადულ ანგარიშებზე, გადატანილი: „არა მე ვარ დამცველი და არა შენი“, „არა მე“ არამედ შენა ხარ მოღალატე, შენა ხარ გამყიდველი მშობლიური „ენისაო“, სწერს ერთი „მოღვაწე“ და დასძენს მეორე... სინამდვილე კი სულ სხვას გვიჩვენებს, სინამდვილე კი სხვა გულშემაზარავ სურათს გვიშლის თვალწინ: სამეგრელოდან იწერებიან, რომ იქ ყველა სკოლებიდან განდევნილია სამშობლო ენა. არც ერთს სკოლაში არ ასწავლიან ქართულს, არც ერთს სკოლას არა აქვს ქართული ენის სწავლების იურიდიული უფლება... და ეს ასეც იყო მოსალოდნელი: ბიუროკრატია ყოველთვის სცდილობდა და სცდილობს თავისი პოლიტიკა გაატაროს ისევ ადგილობრივი ძალების დახმარებით, და ადგილობრივი ძალები გამოიყენოს ბრმა იარაღად თავისი მიზნის განხორციელების საქმეში. სამეგრელოში მან, ბიუროკრატიაში, სწორედ ასეთი ძალები მონახა, რომელთა ხელში იყო ნორჩი თაობის აღზდა-განათლების საქმე — ამ ბრმა იარაღების წყალობით და დახმარებით იგი თამამად, გაბედულად გაიძახოდა: მეგრელი — ქართველი არ არის, მეგრელებს საკუთარი ენა აქვსთ და მხოლოდ ეს ენა,

მეგრული ენა, ჩაითვლება მათ სამშობლო ენადო“... და აი, დღეს თუ ვხედავთ ასეთს საზარელ ფაქტებს — ეს სულ შინაური მტრების ბრალია — ციხე შიგნიდან გატყდა, ციხე შიგნიდან დაინგრა. ჩვენ შინაურებმა მივეცით მიზეზი, საბუთი ბიუროკრატის მოხელეთ და მოვასპობინეთ, განვადევინეთ სამშობლო ენა სამეგრელოს სკოლებიდან... დღეს რა გზას ადგია მოწინავე ნაწილი, შეგნებული ჯგუფი სამეგრელოს მცხოვრებთა? აპირობს თუ არა იგი პასუხი გასცეს აეთს უსამართლო განკარგულებას?. აპირობს თუ არა აღძრას სადაც ჯერ არს შუამდგომლობა თავისი ენის დასაცავად სასწავლებლებში?... ჯერ სიჩუმე და მხოლოდ სიჩუმე ისმის... არსაიდან ხმა, არსით ძახილი... ეს ჩვენი ეროვნული თვითმკვლელობის გზაზე დადგომას მოასწავებს... ხოლო ამ სიჩუმეს არღვევს წადილი რეალური სასწავლებლის დაარსებისა სამეგრელოს ცენტრში — ზუგდიდში, სასწავლებლის ამ ტიპისა, სადაც თავის-თავად ცხადია, მოსპობილი იქნება ქართული ენა... საქირაა ზუგდიდის მოქალაქეებმა ღრმად განმსჭვრიტონ ეს ფრიად საგულისხმო საკითხი და არა რეალური სასწავლებლის დაარსებაზე, არამედ კერძო ტიპის კომერციულ სასწავლებლის გახსნაზე იზრუნონ, სადაც გარდა იმისა, რომ მათი შვილები პრაქტიკულ ცოდნას მიიღებენ, ცხოვრებაში გამოსადეგს, ქართულ ენასაც ასწავლიან. ასეთი ტიპის სასწავლებლებში ადგილობრივ ელემენტს



ღრიანცელით არღვევების ღროს გაღამ-  
აღლოა! აღლოა! ეღლევა და ამ უფ-  
ისმის შორს, სიღრღნა, გამოიყენებს სამ-  
რულ ლენის' დასაცავად...

1881 წლის გეგმა და ამ გეგმის გარ-  
შემო ატეხილი პოღემიკა თითქმის დას-  
რულდა. თითქო ღღეს ყვეღა ბედით ემა-  
ყოფიღნი არიან; თითქო აღარ არსებობს  
ის უსამართღობა, რომელსაც სისტემა-  
ტიურად სჩადიოღნენ მოხელენი... ნუ თუ  
მოსწყინდათ ამაზეღ წერა. ერთგვარობა,  
მართალია, მოსაწყენია, მაგრამ ყოველ-  
თვის და ყვეღგან არა. ეს უსამართღობა

არსებობს ღღესაც. იმერთიღდან იწყებრიან,  
რომ ორკღასიან და ერთკღასიან სკო-  
ღებში სამღვღოღ-სჯულს რუსულ ენაზე  
ასწავღიან, იმ ღროს, როღღესაც თვით  
მოხსენებულღი გეგმა ამის წინაღღმღეღია,  
როღღესაც ძაღს არავინა გვატანს. მაგ-  
რამ ჩვენ თავის გამოჩენის სურვიღი და  
მთავრობის წინაშე ყურადღების დამსახუ-  
რება სანამღღის არ მიგვიყვანს?..

ღროა აეხადღოს ფარდა ქვეშე მოღღვა-  
წყებღს, რომღებიც საზოგადოებღსაც ატ-  
ყუიღებენ და მთავრობღსაც.

\*  
\*  
\*

## ახალი ამბები

◆ ოღქის მზრუნვეღმა დაამტკიცა ჭა-  
თურის საქღაქო სასწავღებღის სავატიო  
მზრუნვეღად თავ. კიტა აბაშიძე სმის წღის  
გაღო.

◆ ქვემო სურები. აქ არსებობს ორ  
კღასიანი სამინისტრო სასწავღებუღი. რაღ-  
განაც არსებუღი შენობა მთისოფნიღებს ვერ  
ავამოთვიღებდა, ხაღხმა გასულ ზაღთუღსე  
გაღასწყვიტა მეორე შენობის შექენა. ამ საქ-  
მის სისრულეში მოსაყვანად აირჩიღ სმა  
რწმუნეღული ყოფიღი სახაღხო სკოღების ინ-  
სპექტორი გასზარიანცი შეღირებუღი იყო,  
შენობის ნახევარ ხაღჯს მთავრობა იკისრებ-  
სო. ამ იმუღით რწმუნებუღებმა შეიძინეს  
სახღი, რომეღიღ 3000 მ. ღაჯღა. შენობა  
კარგა ხანღ დამთავრღა და თავის დასიშნუ-  
ღებღსაც ასრულღებს, მაგრამ საქმე ჯერ კიღე  
აწყეწიღა.

ბ. გასზარიანცის დაზირება დაზირებღდ  
ღარჩა, სკოღა მას დაზირებღზე სრულღად არ  
წარუღგინა. ეს გამოირკვა მისი დათხოვნის  
და ახაღი ინსპექტორის დაწინაშენის შემღეღე.

ახაღმა ინსპექტორმა გროზღოღმა აღძრა  
შუაშღგომღობა დაზირებღზე. მაგრამ ჯერ  
არაფერი სჩანს. სკოღას კი შეკაღეები ბუზი-  
ვით ეხგეღვა.

◆ განზრახვაა მოკლე ხანში ხაშურში რე-  
აღური სასწავღებუღი გახსნან.

◆ ქუთაისის გუბერნიის სახაღხო სკოღე-  
ბის დირექტორმა აცნობა ბათუმას მარ. ქაღ-  
თა სასწავღებღის გამგეობას, რომ სასწავ-  
ღებღის გადაკეთებისთვის მისცენ 6890  
მან. დამატებითი ხარჯებისათვის—1880 მან-  
სეთი.

◆ ჩოხატორის საქღებო სკოღამ მიი-  
ღღ ასი ბოჭკა ცეშენტი, რომეღიღ შემოს-  
წირა ჩოგორთისის ქართვეღების არტეღმა,  
იმუღღა სკოღის საბჭოს წევრები ღროთინად  
შეუღღებრიან სასკოღო შენობის აგების საქ-  
მეს.

◆ ქ. შ. წ. კითხვის გამავრც. სა  
ზოგადოების გამგეობის კრება 4 მარტს  
მოხდა. გამგეობამ მყნღ-მუსღად განიხიღა  
და დაამტკიცა საზოგადოების 1914 წღ.

აჯანყდები, ვერაფერ ბატონი დააცხრობს ამ სუსტ აჯანყებას.

რა უყოთ თუ ღამის ბინდში ქამსა მწუხრისას ის შენ გეძახდა შენ გემუდარებოდა. ეს მხოლოდ დაღლილ სულის უიმედო ოხვრა იყო. განა არ იცის სულმა მრავალჯერ უკმაყოფილოთ იქნები მასთან, მაგრამ მიუხედავად ამისა იძულებული გახდები, შეკერდ გაღელილი დასწვევის გარყვნილების სარეცელზე. განა არ იცის სულმა როგორ დაიჩიო მშვენიერი დეზდემონა ოტელოს ტლანქ ბრწყალებში?

ოჰ, რად არ ძალმიძს მოკლედ, მარტი-

ვად გამოვსთქვა ყოველივე, ყოველივე ვაუწყო სულს დაობლებულს?

ვსწყვეტ წერას. არ მსურს მრავალი ცრემლი დავაფრქვიო ჩემს სტრიქონებს, მე ადამიანი ვარ, მე ვეშაპი ვარ ყოველივეს გამანადგურებელი, მსურს ძლიერ ცოტა ცრემლი დავღვარო, მე ძუნწი ვარ, ხარბი და დაუზოგველი მხოლოდ განადგურების დროსა ვარ. ცრემლები კი საკუთარი ჩემია! ჩემი!

ვწერ საკუთრად ჩემთვის, რომელიც მარტოოდენ ჩემს სულს შეეხება. ხელი არ ახლოთ მას...

მის. ბოჭორიშვილი.



## პასუხი ვერ მიეღოთ

(ამბავი)

თიკო და კოტე დაიქანცნენ ჭრელი პეპელების დევნით და ყვავილნარის ჩეროში წამოწვნენ.

ქაქანისაგან სული რომ მოითქვეს — ისევ მორთეს მერცხლებსავით ჭიკჭიკი. ბევრი იცინეს, იკისკისეს, მოიუბნეს, რაც ენახნათ და გაეკეთებინათ... მაღე სალაპარაკო გამოეღიათ.

მაღხაზი ბავშვები როდის შეჰპრიგებინა უმოქმედობას, რომ დღეს შეჰპრიგებოდნენ.

მათი არსება, როგორც ახლად გაღვიძებული კურდღლის ბაჭია — კუნტრუმთამაშს ჰთხოულობდა. მაგრამ როგორ გართობილიყვნენ? უკვე წამოშუადღევდა და თიბათვის მზემ ისე აღაჯვნო ჰაერი, რომ ცეცხლივით ლაპლაპი დააწყებინა.

მეტი გზა არ იყო, ისევ იმ ჩეროში უნდა დარჩენილიყვნენ.

— კოტე, მოდი იწილო-ბიწილო ვითამაშოთ.

— ეჰ, პატარები ხომ არა ვართ. მაგას ჩვენებიანთ ლუა და ტეფო თამაშობს ხოლმე. — სთქვა კოტემ იმ კილოთი, თითქოს მუხლამდის წვერები ჰქონიყო გადმრშვებული.

— მაშ რა ვაკეთოთ?

— რა ვიცი!.. რუხე ბოგირებისა და წისქვილების გაკეთება კარგი იყო, მაგრამ აღარ მოდის წყალი, ჭრიდანას თავის ბოსტანში გადაუგდია.

— მოვიგონე, მოვიგონე!

— რა მოვიგონე, რა, სთქვი!

— მუცლის ზელიაობა ვითამაშოთ. ბე-ბიასთან რომ დედაკაცები მოდიან ხოლ-

მე, სთხოვენ: კუჭი მაქვს ჩავარდნილი — მუცელი დამიზილეთო. ჩვენც დაუზილოთ ერთმანეთს.

— კარგი, მე ბებია ვიქნები — სთქვა კოტემ.

— მე კიდევ ავადმყოფი. მაშ დავიწყეთ. თიკომ ჯიბიდან ხელ-სახოცი ამოიღო; გაიქცა, კენჭებით აავსო და მოადგა ბუჩქებს.

— ნათლიჯალაბო! — კრუსუნით დაიძახა თიკომ.

კოტე დედაბერივით წელში მოიხარა, ხელი შუბლს მიიღო და გამოსძახა:

— შინ გახლავარ, ნათლიდედ, შინა, მობრძანდით.

შემოვიდა თიკო და მიესალმა „ბებიას“.

— რა ამბავია ქა, რა გაცრეცილი ფერი გადევს?

— ავად გახლახავარ, ნათლიჯალაბო, ავად. გუშინ ი ტიალ ეზოს ყორეს ვავლებდით და წელ-გული ჩამწყდა იმოდენა ქვა-ლორღის ზიდვითა. თქვენი ჭირიმე, ნათლიჯალაბო, თქვენა ხართ ჩვენი ბატონ-პატრონი, კუჭი დამიზილეთ: გასამჯელოდ ეს მცირედი ლებუა მოგართვით და შემდეგაც ჩემს კისერზე იყოს თქვენი პატივისცემა.

— რათა სწუხდებოდი, შვილო, განა უამისოდ კი არ მოგეხმარებოდი.

აბა კაბა გაიხადე შვილო და ტახტზე წამოწევი — უთხრა „ბებია“.

თიკომ გაიხადა კაბა, პერანგი მალლა აიწია და მუცელი გამოიჩინა.

კოტემ დაიჩოქა თიკოს ფეხთით, დაიკარწახა მკლავები და დაუწყა მუცლის ზელა.

— უი დამიდგეს და დამიბრმავდეს თვალები ქა, ამას რასა ვჰხედავ — უეცრივ მოისმა თიკოს დედის ხმა, რომელიც ბოსტანში ქინძის დასაკრებად მიდიოდა და ბვალის შეასწრო მოთამაშე ბავშვებს.

იგი ქორივით დაეცა კოტეს, აიტაცა მალლა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შორს გადასტყორცნა. თიკოს მწვავე სილღები აჭამა.

ამ არ დასაცალელებს ვერ უყურებთ? ჯერ მიწას არ ასცილებიან და ძაღლობა და მამაძაღლობა მოუწადინაით.

აი შე ძაღლის ჯილაგისავ, შენა! — დაუტატანა კოტეს დედა-კაცმა და სილა გაულაწუნა — მამა შენის კვლობაზე დაიწყე სიარული რაღა.

ბლაოდნენ ბავშვები ცალკე სიღების სიმწვავისა და ცალკეც შეურაცხყოფის გამო.

— ღმერთო, თუ კი ბებიას არავინა სცემს მუცლის დაზელისათვის — ჩვენ რაღა დავაშავეთო — ჰკითხულობდნენ სლუკუნით, მაგრამ პასუხი ვერ მიეღოთ.

დ. თურდოსპირელი.





# ბკმპკელი

(თარგმანი)

## 1. იასამანის რტო.

ის სამუშაო მაგიდას უჯდა.

ღია ფანჯრიდგან უხვად მოსჩქეფდა ცხოველ-მყოფელი ნაკადული მზის ანკარა სხივებისა, ფრინველთა სანეტარო შვებულბენით ჟივილ-ხივილი და იასამანის ნაზი, საამური სურნელება.

უცებ, ფანჯარაში, ვით სურათის ჩარჩოებიდგან, აღსდგა მშვენიერი სახე ჰაეროვანის ასულისა, ცეცხლებრ მგზნებარე ღრმა თვალებით.

ნაზი ხელის ფიქალ ბროლივით თლილი გამჭვირვალე თითებით მიიტანა იასამანის აყვავებული რტო სანეტარო ღიმილით ათრთოლებულს ბაგეებთან.

იმან ფანჯრისაკენ მიიხედა... გრძნეული ჩვენება უკვე გამქრალიყო...

იასამანის რტო ნაზი ფშვინავდა ტიგელისა და მიკროსკოპის თეთფრის მილის შუა და ტკბილ სურნელს უხვად აკმევდა...

ეს ყვავილები იმას მეტად მშვენიერად ეჩვენებოდნენ.

სურდა შეემოწმებია შთაბეჭდილება...

განვლო რამდენმავე საათმა. იასამანის აყვავებული რტო კარგა ხანია უკვე აწონილი და თავის შემადგენელ ელემენტებად იყო დანაწილებული.

მკვლევარმა შესვა ჯამი, — ცალკე ელემენტების წონა სავსებით უდრიდა მთელი რტოს წონას.

ცდა შეუტკობლად იყო ნაწარმოები... მაგრამ... სად გაჰქრა მომხიბლავი სიტურ-

ფე-მშვენიერება იასამანის აყვავებულის რტოისა?!..

## 2. ხანში შესული კაცი.

განთიადისას მოეყინა.

ფხვიერი თოვლი გაემტკიცა. ფუნთუშ-ბუსუსიანი თრთვილი, რომელიც გუშინ ისევ ისე ბაფთის ფოჩივით ეკიდა ხის ტოტებზედ, ეხლა ყინულის გამჭვირვალე შალაბად ქცეული ფიქალ ბროლს მიაგავდა...

ხანში შესული კაცი დერეფნიდგან ჩამოვიდა, ძირს დაიხარა. დაკვირვებით დააკტერდა ტყისკენ მიმავალ ბილიკს...

ღილის ყინვისგან გამტკიცულს თოვლზედ აღბეჭდილიყო ახალი კვალი.

მოგრძო, წვრილი, თოვლში ოღნავ ჩაღრმავებული, სუსტად დამჩნეული კვალი ქალის ფეხებისა...

ხანში შესული კაცი ჩქარის ნაბიჯით, თითქოს სირბილით, თავ აუღლებლივ გაჰყვა ბილიკს...

ტყის ნაპირას კვალი ჯვარდინად გადაეღობა მეორეს. უფრო ღრმად ჩაჭრილს თოვლში ფართე ფეხების მტკიცე და უშიშარ ნაბიჯით...

ხანში შესული უკან დაბარბაცდა, თითქოს მძიმე რაღაც მძლავრად დაეჯახა გულ-მკერდზეო. შეჰკრთა. მყისვე ნაბიჯს უკლო, სიარული გაანელო, თუმცა ორივე წყვილი კვლებისა თან და თან უფრო მკაფიოდ იხატებოდა გაყინულს თოვლზედ, და, ალაგ-ალაგ უახლოვდებოდნენ ერთმანეთს...

ბილიკი პირდაპირ ბორცვს ებჯინებოდა, რომლის გადაღმა საყარაულო იდგა. იმისი თოვლით დაღებილი სახურავი უკვე გამოჰკრთოდა თოვლითავე დაბუმბულულს ხეებს შორის...

ხანში შესული კაცი წუთიერის ყოყმანის შემდეგ ისარივით გაეშვა ბორცვისაკენ...

მისი გარემო სულ მთლად დატყეპნილი იყო, მაგრამ ამ კვალს იქეთ ვიდრე სადარაჯომდე დიდებულად ქათქათებდა ხელ-უხლებელი თოვლის ზეწარ გადაფარებული ტრიალი ველი...

ხანში შესულ კაცს უცებ რაღაც მანქანებით სახე სრულიად გამოეცვალა. ისეთი შეხედულება მიიღო, თითქოს მარად ახალგაზრდა, ნორჩი, ყმაწვილი ყოფილიყო, სრულიად ნორჩი...

ყვითლად გაცრეცილ დანაოჭებულს ლოყებზედ მყისვე აენტო, ნორჩი ვაშლისებური მკვირცხლი სიწითლე და სიცხოველე...

იგი თავყანებით დაემხო თოვლზედ და უსაზღვრო სიხარულით თავდავიწყებამდე აღტაცებულმა მხურვალე კოცნით დააწაფა ბედნიერება — ნეტარებით მთრფოლვარე ბაგენი — მოგრძო, წვრილს, გაყინულ თოვლზედ ოდნავ მკრთალად აღბეჭდილს, ეხლა უკვე უკან დაბრუნებულს კვალს — ქალისას...

### 3. იმას უყვარდა იგი.

გაზაფხულის მზე აღერსიანის ლოლიავით დასცივლივებდა თავის ნათელ-მაიებით ჯერ ისევ გაუფურჩქნელ კვირტებს. შარშანდელ დანაცრებულ ბალახებს შორის უხვად მოსჩუქებდა ნორჩი სიმწვანე...

ხეივანში, დაბალ გრძელს სკამზედ არხეინად ისხდნენ უზრუნველ-უშფოთველად

მომღიმარი ქალი და კაცი. იმათს, დამკნარ-დათრთვილულ ვაშლისებრ დანაოჭებულ სახეს ყმაწვილური სიმკვირცხლე და სიხალისე დასცქრიალებდა...

— გახსოვს ორმოცდა ცხრა წლის აპრილში ახლად გაყვავებული ცაცხვები, რომ სანეტარო ჰარომატით მფუნინავნი ტკბილ სურნელს აფრქვევდნენ ციურ სამოთხისებრ კდმა-მოსილ მიდამოს, — დაიჩიფიფა მოხუცმა კაცმა...

— არა, ორმოცდა ათ წელს, — ჩამოართვა ქალმა, — მახსოვს, მე მაშინ ბერტენიოვი შეარსიყებოდა...

— ეჭვ, რა მშვენიერი, რა მიმზიდველი, ყმაწვილ კაცის გულის წარმტყვევნი და სულის მომაჯადოებელი იყავი მაშინ შენ!.. ვარდი, ნამდვილი ცოცხალი, გაზაფხულის განთიადზედ გადაფურჩქნილი მისის წითელი ვარდი!..

— მიტომაც იყო ჩემო კარგო, რომ შენ, სიყვარულის შურით შეპყრობილი მუდამ იქვე ეულობდი ჩემზედ; გააფთრებული როგორც ვეფხვი. ნამდვილი ოტელლო!..

ორთავეს გაეცინათ.

— თუ არა შენი ისეთი თავგამოდებული შურიანობა-იქვენეულობა ბერტენიოვი დღეს ღერენალი იქნებოდა...

— ეჭვ, დედაკაცო! შენც ხომ შეყვარებული ბრძანდებოდი იმაში? ერთ მშვენიერ დღეს, ვგონებ, გაქცევასაც კი ლამობდით ერთად, განა?

— მაშა, მაშა, — გაქცევასაც ვაპირებდით!..

მოხუცებულთ კვლავ ჩაიხიხითეს.

— საბრალო, რა-რიგ სტიროდა; გულჩათუთქვილი ვიმ-ვიშებდა და აღერსიანის გრძნობით აღსავსე თვალთავან ცხარე ცრემლებით სწვიმდა, როდესაც ჩვენ ერთმანერთს ვმორდებოდით... წავიდა ომში.

ბოროტი, დაუნდობელი ჩერქეზების თოფის ტყვიის წერა შეიქმნა. საცოდავი!.. რა-რიგ მომწონდა მე ვენგერკა და იმისი წითელი ჯუბა!..

ხეივანის ნესტიან ლამე — ქვიშაზედ ზღაზღანით დაეშვება ტლანქი, შავი ქილყვაი. და რა შენიშნა უძრავი წყვილი ტოლებისა, მღელვარებით გაიფხორა, აიქორრა და გაფაციცებული ფრთხილობდა. გავიდა რამდენიმე წამი.

კუპრის თვალები ახალ-გაზრდა სირისა მყისვე აღიგზნო მხიარული ქიშპითა.

ერთო მკვახე ხმით თავისებურ ბოროტად დაიჩხავლა და მახლობელს არყზედ შესკუბდა...

მოხუცებულთ-კი კვლავ სანეტარო დიმილი უმკობდათ გაფითრებულსა და სიცოცხლე მიმქრალ სახეს...

#### 4. რა არის ქეშმარიტება.

— და ასე ამ გვარად, მსოფლიოში ყველაფერი რიგზეა და მიზან-დანისწულეებს გონიერულად შეწონილ-შესაბამებულნი!..

— მაშ რისთვის ახლავს, მასწავლებელო, ადამიანის სხეულს ჩრდილი?

— რომ ადამიანი ხედავდეს მას!

— მერე — და... რა უნდა იყოს სარგებლობა, ანუ მიზანი ასეთს ქვრეტა-დაკვირვებაში?

— დაინახავს თუ-არა ადამიანი, რომ სინათლისაგან წარმოსდგება ჩრდილი, შეიგნებს იგი, რომ ქეშმარიტებისაგან იბადება სიყალბე-ცდომილება!..

— მაგრამ, ეგ ხომ უმიზნოა, მასწავლებელო?!..

— ოო, არა! ქეშმარიტებასა და კაცობრიობის შორის მარად და ყოველთვის გადულანახვ ზღუდეთ არის აღმართული ადამიანის სინაკლე, უსრულობა. გარნა

ამ ურიცხვ ჩრდილთა და სიყალბე-ცდომილებათა შორის ცხოვრების დროს მისს, ღვთაებრივი ძალა მონიჭებულს გონების თვალს, ყოველთვის ძალუძს მისწვდეს მხოლოდ ერთად-ერთს, მაგრამ უტყუარს, მტკიცე ქეშმარიტებას!..

— სახელდობრ?

— რომ ის, — მისთვის გაუგებარ-მიუწვდომელი ქეშმარიტება — არსებობს!..

#### 5. მთვარის ციალში.

მქნარი წალკოტი სსურავდა მთვარის ციალში.

ხე, ბუჩქი, ჩირგვი, შეთხლებული ფოთლები, თეთრი ანდრიანტები, — ყველაფერი მხოლოდ ოცნებით შექმნილს ფანტასტიურ მოჩვენებებს მიაგავდა...

მე სანთლები ჩავაქრე, ფანჯარა გავალე და გარედ, ხეივანში ყურება დავიწყევუტქერდი, მთელის არსებით, გაგიჟებით ვუტქერდი და ვერ გამეძლო ხარბი თვალეი ამ სარცნებო ღამის მშვენიერებით მხიბლავ სურათის ცქერითა...

უცებ ხეივანის გზა-ტყეცილოზედ მთვარის სხივებით გაკაშკაშებულს ქვიშაზედ შეირხა ქალარა ნისლი. მკაფიოდ, თითქმის თეთრის ციალით მოელვარე ის ერთეულ სახიერებად ჩამოყალიბდა, შესქელდა, შეგაროზდა...

წუთიც, — და ციური მშვენიერების ჰაეროვანმა ხატებამ შეუმართებელის გრძნებით მომაყრა ღრმა, შეუპოვარო, ლურჯი თვალეი.

მისი გამომეტყველება განუწყვეტლივ იცვლებოდა. ხან სანეტარო გრძნობებით აღფრთოვანებულ-აღტაცებული მკვირცხლი სიცოცხლით ჰფეთქდა, ღელავდა; ტკბილად ქმინავდა, ხანაც სამარისებურს სიმშვიდეში გაშეშებული თითქოს გაყინული, მწარედ მღუმარებდა.



— ვინა ხარ შენ, მაცდურო სულო ბოროტო! გრძნეულო ჩვენებავ, გაურკვეველო და მიუწვდომელო შენს ორადს; მზიბლავ-მშვენიერებაში, — უნებლიეთ აღმომხდა მე.

ლურჯმა თვალებმა მყისვე გააცისკროვნეს თვისი გრძნეული სხივებით მთელი ჩემი არსება, სრულად შემიაპყრეს და ჩამწვდნენ სულის თვით სიღრმეში...

და მე მივხვდი, რომ ეს თვით სიცოცხლე იყო, და არა იყო-რა მასში გარდა სიცოცხლისა...

## 6. სიზმარი.

მესიზმრა, — მშვენიერს, ოქროს ფერდალალებ ჩამოშლილს ჰაეროვან ასულს მივყვანდი თანა.

უსაზღვრო ნეტარებით აღტაცება-კამოფილება სჩქეფდა და ლიტანიობდა ჩემს გულში.

ჩვენ მიწაზედ აღარ ვიდექით; ათასგვარ თვალწარმტაც ფერადებით ცისსარტყელასებრ მოზაიკულ-აჭრელებული ღრუბლები თანასწორის ციმციმით ანაზღად, კრძალვით ირხეოდნენ ჩვენს ფერხთა ქვეშ. ლალისფერ კამკამს ნაზად გამოსცემდა გამქვირვალე ჰაერი...

ჩემი თანამგზავრი უეცრად შესდგა. მე დავინახე, რომ ჩვენ გარს გვერტყა ჯარი ბროლის სვეტებისა...

ჩვენ უკვე მარტონი არ ვიყავით. ყოველის მხრიდგან გვიჭვრეტდნენ ნაზი, სათნოიანი ხატებანი მშვენიერ ახალგაზრდა ყრმათა. მგზნებარე თვალთაგან ცხოველ ნაპერწკლებს აფრქვევდნენ, გაბრწყინვებულს სახეზედ ნეტარების ღიმით უკრთოდათ ბაგენი.

— ესენი ზეგარდმონიჭებული საგალობელნი, — ამაყად წარმოსთქვა ჩემმა მედიდურმა თანამგზავრმა, — წარმოშობილი

დედა-მიწაზედ, ისინი ამაღლებულან სამარადისო ცხოვრება-უკვდავებისა და უაღრეს სრულყოფის სამეფოშია.

— მაგრამ... სად არიან, სად შთანთქმულან ნაღვლიან-კაემნიანნი სიმღერანი ჩემის მშობელ მხარისა? ის სიმღერანი, რომელთა მეოხებით ისე ტკბილ-ნეტარებით დამთვრალი იზნიდებოდა სული და თვალებზედ ღმობიერება-სიბრალულის ცრემლები სდუღდა?..

ნაღვლიანნი და მხიარულნი ისინი. ორივე ერთგვარად მშვენიერნი არიან...

## 7. ფაუსტი.

მეტის სიძველით გაყვითლებულს წიგნზედ დაყრდნობილი, მწარე ფიქრთა ბურანით გარემოცული ექიმი — ფაუსტი თავდაჭერილის მღელვარებით ჩურჩულებდა ბოროტ ავის მომასწავებელ წყევ-კრულვას.

— მოვედ, შენ, მძლეთა-მძლევ, სულო ბოროტო, თვით ჯოჯოხეთის მიუწვდომელ ქვესკნელის მპყრობელო!.. წარმოსდექ ბრძენო, მისანო გველო, რომელმან ასწავლე მიწიერ თხუნელათა გარჩევა-გამოცნობა კეთილისაგან ბოროტისა და თვით მატყუარობა-ცდომილებისაგან ქვემარტისა!..

ღამის წყვილიდის. სქელმა სუდარამ კრძალვით დაიწყო რხევა და თრთოლვა ნაზად დაჰქროლა მშვიდმა ნიაგმა და პანების წინამორბედი, — ტკბილი სურნელი მიმოაფრქვია. ჭაღარად გაცრეცილ-გაფითრებულს ბურუსში მკრთალმა მოჩვენებამ შეიფრთხილა:

ბგერით გამოისმა ხმა, ვით ეღერა ეოლოსის ქნარისა.

— რად გამომიხმე მე, ბნელ წყვილიდის სამეფოდგან, შენ თავხედო, კადნიერო, რისთვის მეძახდი?..

— გულმა ჩემმან ძლივს განიცადა მეოც-დაათე გაზაფხული, მასში ჯერ ისევ გზნებით ბობოქრობს ახალგაზრდობის თავშეკავებული, ბრმა-ვნებათა ლელვა; ჩამიქერ სახმილი მისი გზნებისა, შეაყენე მისი ბობოქარ ტალღათა შეუპოვარი და თავხედი სრბოლა! ზღვის უფსკრულს შთანთქმე, გრიგალ ქარს მიეც და განმიფანტე წყეული ნისლი ამ ქვეყნიური გრძნეულებამხიბლავობისა. დაე ჩემი მკვეთრი გონება; მახვილი ინსტინქტი და მქვერ-მხედველობა ღრმალა სწვდებოდეს და გარკვევით, ნათლად იგნებდეს ნივთიერებას, თვით არსებობის საიდუმლოებას, როგორც დამპალ ხის ცილს გამოსწოვს, გამოღრღნის და გამოფიტავს ხოლმე მქამელი, გესლიანი სიმეფე, — დაე მძლეობა-მძლე ძალთა მპყრობელი გონება მტკიცე ფერხთა ქვემ მდგრად და შეუდრეკელოდ სთელავდეს მერყევ მოვლენათა, მტკიცედ დაუფუძნებელ-დაუმკვიდრებელს, მარად მრხევალს ზღვას... გაყინე და დააქვავე გული ჩემი!..

— ყოველის მხრით აყვავებულ, სიცოცხლით დაჯილდოვებულ და უზრუნველ ყოფილო, საცოდავო, უგუნურო, რას ითხოვ კიდე?..

— მე მსურს წილში ჩავსწვდე ქვეყნის შინაარსს და გამოვიცნო უცნაური ამოცანა ცხოვრების საიდუმლოებისა?..

მკრთალი ჩვენება გადნა, გაქარწყლდა გაცრეცილის ნისლში...

ექიმმა ნაღვლიანად დახარა თავი ძველს წიგნზედ. ჯერ ისევ ახალგაზრდას გიშრის სხივთა მოვლვარე კულულები მსწრაფლად თეთრად შეეღება. ვნებული გული მწარე სევდით მკერდში ჩაუკვდა, ჩაეყინა. ადრე დასქნა ყმაწვილური გიჟმაყი ოცნება, ფრთა შეეკვეცა სასოებით გატაცებას, ფერდ იცვალა, სიცოცხლის სარკმელზედ

ტურტად გაფურჩქენილმა ვარდმა, სულმთლად გაფითრდა, დაჰკარგა სიცხოველე...

და... შავ წყვილადში ცივად დაჰქროლა სიკვდილის მყინავმა ამოსულთქმამ...

## 8. შეურაცხყოფა.

ელზა სასაფლაოდგან დაბრუნდა.

ცრემლის ერთი წვეთიც-კი არ დასცდენია თვალთაგან.

რა საჭიროა დატირება?

ვისი?..

იმას ჯერ ვერც-კი მოესწრო ნათლად გაერკვია და დარწმუნებულდ იყო, მართლად უყვარდა იგი თუ არა?

ელზას არ მოსწონდა მისი გარეგნობა. მის ახლოს ყოფნა ხშირად აღუგზნებდა ხოლმე მრისხანებით მღელვარებას, რომელსაც თავდაქერით ფარავდა. ის მზად იყო ედავა მასთან, ეკამათა თვით ცრემლებამდე. როცა ელზა შეიგნებდა და დარწმუნდებოდა, რომ ის, მოპირდაპირე მართალი იყო, თვითონ-კი მტყუანი, — სწყინდა.

ელზამ თვითონაც არ იცოდა. — რაღა სურს დაემორჩილება იგი, გაეხადა ვით უპიროვნო. არსება ყურმოჭრილ მონა-მორჩილად. შეიძლება იმიტომ, რომ იგი ვერ გრძნობდა, ვერ ხედავდა ელზას მხიბლავ სილამაზეს?..

როდესაც იმის ღრმა თვალეში პირველად კრთოლვით შეითამაშა მიმზიდველ სინაზის მგზნებარე სხივმა, ელზამ არც-კი დააცადა მას გონს მოსვლა-გამორკვევა. გაზარდა, გააზვიადა გულს ჩანაკვესი გრძნობის ნაპერწკალი.

ელზა ცდილობდა-მხურვალე ცეცხლი მოედო ამ ახირებულ სულისათვის და

აღეგზნო იგი, ვით სითეთრემდე გახურებული რკინა, რომ, უცებ, ის გაჰქრა!..

როგორ, როგორ გაბედა განშორებოდა, წასულიყო და მიეტოვებია იგი?!

წასულიყო და ისიც მანამდე, სანამ ელ-

ზა თავის გრძნობებში გამორკვევას მოასწოვებდა...

არა, რისთვის, რისთვის არგუნა ასეთი აუტანელი, მუდამ მქენჯნავი, მწვავე შეურაცხყოფა?!?..

ილ. გოგია.

## სხივს ცისკრისას

ბანთიადის სხივთა კონას  
ჩაეაქსოვე ჰიმნთა მღერა,  
ცისკრის ვარსკვლავს მოვასმინე  
მიწის ფეთქა, გულის ძგერა...  
სხივთა წვიმით გადავბანე.  
სევდით სავსე ჩაგრულთ კერა,  
ფიქრში ლეულს შრომის შვილსა  
მოვასმინე ცის სიმღერა!..

—  
ავედევნე ნიავს მქროლავს,  
მათა მწვერვალს ავეცილე,  
ბედის ვარსკვლავს გადავცილდო,  
ჩაგრულთა მზე ვინახულე,  
გამოვსტაცე დღის კანდელი,  
ბნელ წყვდიადში ვაციმციმე,  
აღთქმის მხარეს მივალწიე,  
ცისკრის ხილვას გაუღიმე!..

—  
ვნახე ბინდი, ტბა ცრემლისა,  
ვნახე სახე, სევდით სავსე,  
ჩამომდნარი ვით ფიქრთ გრძნობა,  
ღიმი მისი მწუხრთ აღსავსე...  
ვნახე კენესა, ტანჯვის ხუნდი  
განაქელი ფიქრთ ქურაზე,

მგონის ჩანგი მოქვითინე  
ავლენილი ღამის ბინდზე.

—  
და შევეკითხე მოკრძალებით  
ნიავს მქროლავს, ღამის ზეფირს,  
ვარსკვლავთ ციმციმს,

—  
ყვავილთ ბაღას,  
მომღელვარეს: ზვირთთა ქუხილს —  
— სად მარხია ქვეყნის ბედი,  
სად არს გრძნობა, სიყვარული,  
სად სჩქეფს ტრფობის ნაკადული,  
სად არს მისი დასასრული?..

— და შოშიგო: — „მიწის შვილო,  
ვერ გაიგებ სულის ლტოლვას,  
ვერ მიხვდები მწარე კენესას,  
ცისკრის ხილვას, ტანჯულთ დღეღვას!..“

—  
— ოჰ, არ შედრკე ქვეყნის მოძმევ,  
ერთად განვლოთ ბედის კიდე,  
ვინახულოთ აღთქმის მხარე,  
დავამსხვრიოთ ღამის ზღუდე...  
ს. ტაიფუნი.

ქ. კიევი.



# პატარა მდინარე ზვირთდებოდა და

## განრისხებული კლდეს ეზღერთებოდა...

ზამთრის სუსხიანმა დღეებმა სული განუ-  
ტიეს; ცამ ლურჯი ფირუხის კაბა მოციმციმე  
ვარსკვლავებით მოჰქედილი ტანზედ გადიცვა,  
მოელვანე მთვანე ბეჭდათ შუბლზედ მიიკრა,  
მზე ქამრად წელს შემოიქნა და ანთებულ ღამ-  
პარიგოთ დედამიწას გადმოეხურა; არემ მწვა-  
ნე ხაკერდის სუფრა ვაგვილებით მორთულ-  
მოკაზმული თავს გადიხურა, ბუჩქის ძარები  
შეუფოთქა, კოკორი დაასხა, ფრინველების მკა-  
ლობელთა გუნდი ზედ შემოისხა და გაფერა-  
დებულ ცის ქვეშ თავ-მომწონედ ეელი მოი-  
ღერა; დაბურულმა ტყემ ფოთლები ააშრიალა,  
იქვე გვერდით მალა კორდიდან მსტუნავ  
მდინარესთან ერთად აშხუფლდა, აჩქროლდა და  
მიდამო მძლავრად აახმაურა; ეველა ხარობდა,  
იციზოდა, ტერციალებდა, კიჟინობდა, თამარი  
კი მარტოდ მარტო იჯდა ოთახში და ფან-  
ჯრიდან პატარა მდინარის ხტუნვა-რბენას გა-  
ტურებული გასცქეროდა.

— რა მიწენიერი ხარ პატარა მდინარე,  
ბუტბუტებდა თავისთვის თამარი, ამიტომ ხარ  
კარგი, რომ ეგრე შეუპოვრად დახტიხარ,  
ხმაურობ, მოძრაობ, ჩუხჩუხობ, ძალას იკრებ  
და მტერს არ ემორჩილები! აზვირთადი, აქაფ-  
დი, ჩემო ცელქო მდინარე, მძლავრი ტალღე-  
ბით გადალახე მთელი მიდამო და შენი სამუ-  
რი ჩუხჩუხით სიყვარულის ძარღვი ააქდერე,  
რომ გუფმა ხან იცინოს, იმხიანულოს, იტ-  
კრციალოს, ხან კი ივენისოს და იტიროს...

პატარა მდინარე, თითქო მეგობრის სიტ-  
ყვებს თანაუგრძნობდა, უფრო ზვირთდებოდა

და განრისხებული აქეთ იქით კლდეს ეზღერ-  
თებოდა...

— მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან, აღელ-  
ვებული ხმით წარმოსთქვა თამარმა და იქვე  
ფანჯრის წინ ტანტზედ გულადმა გადაესვენა;  
კრძელი წაბლის ფერი თმა მთლად გაიწეწა—  
გარს შემოიფინა, თხელი ვარდის ფერი კაბის  
საკინძე ჩამოსწევიტა— შუაზე გაკლიჯა, ბრო-  
ლივით თეთრი გული ნახევრამდის გამოიჩი-  
ნა, თმის ერთი ნაწინავი გახსნილ გულს გა-  
დაიფინა, ათრთოლებული ხელები მრგვალ  
ბურთივით აგორებულ კოკრებს ზედ დააფარა,  
ლურჯი ყუყუნა თვალები მალა ჭერს მია-  
პერო, — ვიღაცას შესცინა, შეჭხარა და თით-  
ქოს შესძახა: „ეს გული შენ გვეკუთნის, სურს  
შენთან ერთად თავისუფლად ისუნთქოს— შენ  
შეკრდზედ სული დალიოს“.

— რას ბუტბუტებ, ჩემო ძვირფასო, უც-  
ხად კარი გაიღო და ნიკოს უძნო ბოხი ხმა  
მიწუნარებულ ოთახში ხმამალა გაისმა, შენ  
რომ მარტო მეგულებოდი, ამიტომ სამსახუ-  
რდან პირდაპირ სანღში წამოგედი; შენი ცქე-  
რა ეველას მიჩვენინა, ჩემო თვალის სინა-  
თლეკე, თავდავიწყებით ესიყვარულებოდა ნიკო  
და თან თამარს მოკრძალებით შუბლზე კოც-  
ნიდა. — რას გაჩუმებულხარ, რატომ ხმას არ  
მცემ, მე ხომ შენთვის არაფერი დამიძავებია,  
მითხარი, რათა ხარ დაღონებული?

— არაფერს... უცულოდ მიუგო თამარმა  
და თან ხელებით ნიკოს იკრებდა, სურდა  
რომ მარტო ეთფილიყო— სისიამოვნო ფიქ-  
რებით ბოლომდის დაშტობრიყო და მთელი

თავის აზრით შეერთებოდა მას, ვისთანაც მი-  
სი სული განუშორებლად ტრიალებდა.

— ნუ დამიმაჯავ, ჩემო სიცოცხლე, ევე-  
დრებოდა ნიკო, თუ მე არა, მაშ ვის უნდა  
გაუსიარო შენი დარღები, მე ხომ შენი გა-  
ნუშორებელი ამხანაგი ვარ!..

— ამხანაგი!! ამხანაგები რომ ეველაფრით  
თანატოლნი უნდა იყვნენ, მკვასკედ ეუბნებოდა  
თამარი, ეველაფრით ერთმანეთს უნდა ეთან-  
ხებოდნენ— ხნით, აზრით, შესედელობით,  
მიმართულობით, ჩვენ კი ეველა ამს დავშო-  
რებულვართ და რანაირი ამხანაგები უნდა ვი-  
ყვეთ არ მესმის!..

— როგორ, უარს აშობს ჩემ ამხანაგობაზე?  
მწარედ ჩაეკითხა ნიკო, მე მეგონი ახლა გვიან-  
და არის ამაზე ლაპარაკი; ეს მაშინ უნდა გე-  
ფიქრა, როდესაც ცოლად მომეყვებოდი, გესმით  
ქალბატონო?

— მაშინ მე კი არა, შეუტია თამარმა,  
შენ, როგორც ცხოვრებაში გამოცდილ ადა-  
მანს, უნდა გცოდნოდა, რომ ჩვენი ამხანაგო-  
ბა შეუფერებელი იქნებოდა... მე კი სიუმა-  
წვილით, გამოუცდელობით მოვტუევიდი, შე-  
მაცდინა შენმა წარჩინებულმა მდგომარეობამ—  
ცხოვრებამ, მეგონს სიმდიდრესთან სიფარუ-  
ლიც ეყო დაკავშირებული, მაგრამ ახლა კი  
მწარედ დავრწმუნდი, რომ სიფარულისთვის,  
სილამაზე და სიმდიდრე კი არა, სულის თა-  
ნასწორობა ეოფილა საჭირო, სიფარულის  
უმთავრესი ძარღვი სულის გაერთიანებაზეა  
დამყარებული... ჩვენ კი ვერც როდის გავთა-  
ნასწორდებით— შენ უკვე გიცხოვრია, მე კი

ახლა ვიწეებ ცხოვრებას... არა, ჩვენი ერთად  
ცხოვრება შეუძლებელია, მე შენ მოუღსარ,  
წამოაძახა თამარმა და უცბად ტახტიდან წა-  
მოდგა.

ოთანშა სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა;  
თამარი გაჩქარებული ტანთსაცმელს ისწორებ-  
და, ნიკო ძალა-მინდელი კედელს მიჭყუებო-  
და და გიჟივით აქეთ-იქით იტყობებოდა.

მატარა მდინარე კი უფრო უარესად ცელ-  
ქობდა, ზვირთდებოდა, ქაფდებოდა და გან-  
რისხებული კლდეს ეხდებოდა...

— მაშ ეგ არის თავს მანებებ? დიდი ხნის  
სიჩუმის შემდეგ ძლივს წამოილულეულა ნი-  
კომ და ცრემლიანი თვალები თამარს მიაპ-  
ყრო.

— დიან, დღეიდან მე სხვას ვეკუთნი...  
სხვა მიუვარს...

— ოღონდ თავს ნუ დამანებებ, თავმოყვა-  
რებას ნუ შემიღასავ, ევედრებოდა ნიკო, და  
მე არაფერი საწინააღმდეგო არ მექნება თუ  
რომ სხვა გე... უფარება... არ და... გიშლი...

— შენი თავმოყვარეობას დამცირება მაგა-  
ზე შორს ველარსად წავა... მშვიდობით... მე  
მივდივარ. თამარმა შორიდან ნიკოს ზიზღით  
თავი დაუკრა და საჩქაროდ გზას გაუდგა. ნი-  
კომ თავი ვეღარ შეიკავა, გულწასული ტახტ-  
ზედ პირქვე დაემხო და მწარედ ტირილი  
დაიწყო.

მატარა მდინარე კი ისევ ცელქობდა, მზას  
სხივებს შესაამაშებდა, ზვირთდებოდა და გან-  
რისხებული კლდეს ეხდებოდა...

გ. მოუსხვენარიძე.



# ზ ა მ თ ა რ ი

\* \*  
ზეცას მოსწყდა მარგალიტი,  
დაეკონა მიწის გულსა...  
მიწა ჰკენესის... ჩანგის სიმი,  
ჰანგს ველარ მღერს მხიარულსა...  
შემოზამთრდა მგოსნის გულში,  
რთვილმა მოჰკლა ჩანგის ბგერა...  
მომეწყინა სევდის მგოსანს,  
უიმედო ლექსის წერა...

\* \*  
სდუმს... ქვითინებს ჩემი მხარე,  
მწვავ ცრემლებთან ერთად დნება.  
უიმედოდ გაშლილ ველოზე,  
ისევ თოვლი ეფინება!..  
... და მეც ვსტირი მასთან ერთად,  
ჩემი გულიც მასთან კედება...  
ჯერ შორს არის გაზაფხული,  
და ვინ იცის? — გვეღირსება!..

გ. ლეონიძე.

## ნიავის ზღაპარი

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი ძი-  
ლი! როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძე-  
ბაო“, ავალების ფშვნეტით ამოიოხრა  
ადამიანმა, რომელსაც ჰანდრის ძირში  
მისძინებოდა ფიქრით დაღალულს და ეხ-  
ლა გამოეღვიძა, როცა საღამოს ნიავეს  
ფოთლები ააშრიალა და სიგრილე აგრ-  
ძნობინა.

ის მიეყრდნო ლამაზ ჰანდარს და სივრ-  
ცეში იყურებოდა. უსაზღვრო სივრცე  
მას არაფერს ეუბნებოდა. მისი გონება  
ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო, გა-  
ურკვეველობის ბურუსში იყო ის გახვეუ-  
ლი. მისტიურათ განიცდიდა მაშინ გარე-  
მოს. სდუმდა ყოველი.

ღინჯად ამოცურდა ვერცხლის მთვარე,  
გაულიმა დედა-მიწას და პარვით გასწია  
სანადიროთ. ვარსკვლავებმა ციმციმს უკ-  
ლეს. სუსტ ფრთებიანი ნიავე ამწვანებულ

მინდორ-მთა-ველს ზღაპარს რასმე ჩასჩურ-  
ჩულებს.

სსსს... ნიავეს ყური მიგულო. სსსს...  
ცხრა მთას იქით მდინარეა, შიგ თევზები  
სულ ოქროსი. მდინარის პირს ქვეყანაა,  
ხალხი ცხოვრობს სულ სხვა გვარი. იქ  
სიცრუე არ იცინან, არც მონობა, არც და-  
ლატი; არც შურია და არც მტრობა. ვის  
როგორც სურს ისე ცხოვრობს, არ უშ-  
ლიან ერთმანეთს ხელს. და ერთის ბედ-  
ნიერება სხვას კი არ აუბედურებს, ნეტა-  
რებას უორკვეცებს. სიძლიდრე და სიღა-  
რიბე არ არსებობს. მათხოვრები არ და-  
დიან... საკვირველი ხალხი სცხოვრობს  
ცხრა მთას იქით ერთ წყლის პირად. თა-  
ვის კუთხეს სამოთხეზეც არ გასცვლიან.  
იქ ძილი სულ არ იცინან: ის სიკვდილად  
მიაჩნიათ. თავისუფლების მზე სულ ანა-  
თებს, ღღეც და ლაშეც. იქ ზღაპარი არ  
არსებობს, არც სიზმარი. ცხრა მთას იქით



თვით ცხოვრება ისეთია, რომ იმაზედ უკეთესს ვერც სიზმარში ნახავს ვინმე, ვერც ზღაპარში გამოსთქვამენ.

ეჰ, ნიავო! წამოიძახა ადამიანმა ამ ზღაპართ მოხიბლულმა.

შედეგა ნიავი. არ ეკონა, თუ მის ზღაპარს ყურს უგდებდა ამ დროს ვინმე ჭანდრის ძირში.

სსს... სსს... განაგრძო ისევ ნიავმა.

— არა, არ მინდა აწი-ზღაპარი! შეუტია ადამიანმა. ღუმლიც კმარა. თუ ცხრა მთას იქით ცხოვრება ზღაპარზედ უკეთესია, ჩვენში რად არის ჯოჯოხეთი გამეფებული? თუ იქ, იმ სამოთხეში, სულ ფხიზელია ქალი და კაცი, — ამ ჯოჯოხეთში როგორ ვახერხებთ ჩვენ მუდამ ძილსა? ეჰ, ნიავო, ნიავო! რატომ ეგრე ჩუმად ჩურჩულებ, თითქოს არ გინდა ძილი დაგვიფრთხო! გრიგალად იქეც, ნიავო,

გრიგალად! დააღწე სულ ცხვირ-პირ-უსწორ-მასწორ ქვეყანას, გაასწორე ის და დაანგრე უსამართლობის ციხე-სიმაგრე. გამოალვიძე ჩვენი ქვეყანა, თორემ ამდენ ძილში მას სიკვდილი წამოეპარება... გრიგალად იქეც, ნიავო, გრიგალათ, თორემ...

სსსს... გააწყვეტია ნიავმა. მე მძინარეთა სულთქმა ვარ და გრიგალად ვერ გარღვიქცევი. მხოლოდ სიზმარი გულშემზარავი, ან სიკვდილის მოახლოვება დაუფრთხობს ღრმა ძილს დიდი ხნის მძინარს. შიშით შეკრთება ის, შეინძრევა, სულთქმას უმატებს და გრიგალიც ამოვარდება... მე კი გავეკრები. ჩემი ზღაპარი სინამდვილედ გარდაიქცევა. მაგრამ ჯერ კი სსსსს...

გურული.

## ღელის ცრემლები

(პოლონურადან)

სული მოსცილდა სხეულს. ანგელოზმა მიყრუებულ უდაბნოში მიიყვანა ის. შავი ღრუბლები ცაზედ ტალღებივით აგორდა. და მოისმა შემოქმედის ხმა: „თვით განსაჯე შენი თავი!“ ნაპრალ კლდიდან ჩამოგორდა დიდი წყალი და ამღვრეული მდინარის სახე მიიღო.

ანგელოზმა სთქვა: „აი ცრემლები, რომლებიც შენ დაბადე ხალხში, მიწაზე ყოფნის დროს! — მართალია, მაგრამ ჩემი

ცრემლებიც ხომ შიგ ურევია? — უპასუხა სულმა. სამჯერ განიმეორა ანგელოზმა და სამჯერვე ერთი და იგივე პასუხი მიიღო. მდინარე ისევ ამღვრეული იყო და საშინლად ღელავდა...

უცებ დაწყნარდა, დაიწმინდა. და გამოჩნდა ღრმა, ანკარა ძირი. მაშინ ანგელოზმა სთქვა: „აი ცრემლები შენი ღელისა!“

ლ. ძიძიგური.



ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 45,968 მან. 20 კაპ. შემოსავლის უმთავრესი წყაროებია: სსწვერო ფული 1,200 მან., სკირნობა—1,000 მან., შემოსავალი განუყოფილებათაგან—1,200 მ., ტფ. გუბერნიის თავად-ახსნაურობისაგან—6,300 მან., ფულის სარგებელი—4,574 მან. 74 კაპ., წიგნის მღალაზიდან—5,000 მან., წიგნების გამოცემისაგან, 9,000 მან., სსტიპენდიო შემოსავალი (ზუბალაშვილისაგან) — 5,066 მან. 70 კაპ. და სხვა. შემოსავალი გამგეობამ ამგვარად განაწილა სსზოგადობის სექციასთან შორის: საადმინისტრაციო სექციის განკარგულებაში გადასდო 25,995 მან. 46 კაპ. და დაავალა სექციას, ამ თანხიდან ჯამგირები მოეპოვოს სსზოგადობის განცელარებისა და წიგნის მღალაზის მოსამსახურეებს, სსსკოლო სექციას მიეცა—11,490 მან., ბიბლიოთეკებისა და სსხალხ კითხვების მომწეობ სექციას—2,832 მან. 74 კაპ., სსგამომცემლოს—3,350 მან. და სამუზეუმო სექციას—2,300 მან.

სსზოგადობის სხვა და სხვა თანხის რაოდენობა 1914 წ. იანვრისთვის ნავარაუდევია იყო 82,849 მან. 19 კაპ., 1914 წლის განმავლობაში ამ თანხიდან 4,574 მან. 74 კაპ. უნდა დაიხარჯოს. ამ თანხათა რაოდენობა 1914 წლის 1 იანვრისთვის ნავარაუდევია 117,504 მან. 74 კაპ.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც.** სსზოგადობის სკოლების მსწავლეებზე, თანხმად სსზოგადობის გამგეობის მოთხოვნისა, გამგეობას წარმოუდგინეს ამ სკოლების სანიმუშო პროგრამები. გამგეობამ დაავალა სსსკოლო სექციას, პროგრამა გადათვალეუროს, სსჭირო ცვლილებანი შეიტანოს და ისე წარმოუდგინოს გამგეობას.

◆ **მეორე უმაღლესი სასწავლებელი ტფილისში.** როგორც ვიცით სამელიორაციო დონისძიებისთვის. სსხელმწიფო სსზ-

ტომ გადასდო 150 მილიონი მანეთი. ამ სსკითხთან ერთად მინისტრთა სსათბიროში განხილულ იქმნა კრიფოშეისის წინადადება ამ სსშუალეებიდან ტაშკენტში ჰიდროტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. მინისტრთა კრებას დაესწრო ხელმწიფის მოადგილის წარმომადგენელი მაღალ სახელმწიფო დაწესებულებებში სენატორი ხიკოლსკი, რომელიც ამტკიცებდა ასეთის სსსწავლებლის გახსნის სსჭიროებას არა ტაშკენტში, არამედ ტფილისში. ამის გამო სსკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, სსნამ ამისთვის სსჭირო ცნობებს მიიღებდნენ ხელმწიფის მოადგილის სსმმართველოსაგან. ამჟამად ცნობისა ჰქრეფენ და მალე კარგზახნიან მინისტრთა სსათბიროს.—

◆ **ტფილისის პოლიტექნიკუმი.** უკანასკნელ კრებაზე ხელმწიფის მოადგილის საბჭოში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის, თავად-ახსნაურობის და ნავთის მრეწველთა წარმომადგენლები განხილულ იქმნა და მოწინებელი კანონ-პროექტი ტფილისის პოლიტექნიკუმის შესახებ, ამ პროექტით პირველ სსმი წლის განმავლობაში ხარჯი 147,000 მან. ანაზღაურდება ადგილობრივი საერობო შემოსავლიდან, შემდეგ კი ინსტიტუტი მთლად შეიანსება სსხელმწიფო ხაზინის ხარჯზე.

◆ **ქართ. სამეურ. სამრეწველო საქალებო სასწავლებელი.** სსგანგებო კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს სსქალაქობო სსსწავლებლის ტიპის შექმნა, დღემდე შვიდი კრება ჰქონდა. კომისიამ სსბოლოვად აღიარა, რომ სსჭიროა დაარსდეს სსმეურნეო სამრეწველო საქალებო სსშუალ სსსწავლებელი. კომისიის აზრით, სსსწავლებელი უნდა იყოს მიწათ-მოქმედებისა და სსხელმწიფო ქონებათა სსმმართველოს გამგეობის ქვეშ. კომისიამ 6 მარტის კრებაზე დასსრულა მომავალ სსსწავლებლის პროგრამისა და

ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. კომისიამ დაწვრი-  
ლებით განსაზღვრა გაკვეთილების რიცხვი,  
საგნები, საათები. შტატები, ზამთრისა და  
ზაფხულის 'პრაქტიკულ მუშაობის დრო და  
სხვა. სასწავლებელში სწავლა უნდა სწარმო-  
ებდეს ქართულს ენაზე. რუსული ენა ცალკე  
საგნად უნდა იყოს. კომისიის შემდეგი კრე-  
ბა მომავალ ხელშეწყობის მოხდება. კომისია  
თავის მუშაობის დასრულების შემდეგ ცალკე  
მოხსენებას დაბეჭდავს ამ სასწავლებლის შესა-  
ხებ თავად-ზნაურთა კრებისათვის წარსადგენად.

კენიან მარამ ვახტანგის ასულმა ჯამბა-  
კურ-ობრედიანის კომისიას განუცხადა სურ-  
ვილი, შესწიროს მომავალ სასწავლებელს 49  
დეკტიონა მიწა გორის მაზრის სოფელ ბე-  
ლისში, თუ ეს სასწავლებელი მართლა დაარ-  
სდება. არიან სხვა მსურველები იმისა, რომ  
მომავალ სასწავლებელის კანტონაციულებს იუ-  
ლისა და მიწის შესწირვით ხელი შეუწყონ.

◆ ს. ღანირი (ჩვეურობა იმერეთი). უკვე  
ერთი წელი გადის მას აქეთ რაც ს. ღანი-  
რი ბიბლიოთეკა დაარსდა მდგ. დ. ჩხაიძის  
ინიციატივით.

ერთი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკა  
სავსე იყო ჟურნალ-გაზეთებით, მაგრამ ამ  
დრომ დიდხანს ვერ გასტანა. დამთავრდნა  
შირებმა რამდენიმეჯერ ფანჯარა ჩამტვირთეს  
და ბიბლიოთეკაც დაიკეტა.

ახლა ღანირი ყოველ მხრივ დადუმებულია.  
აქაური ახალგაზრდობა კი მთელ თავისუფალ  
დროს კარტ-ხარდის თამაშობაში ატარებს.

დრო ჩვენმა ახალგაზრდობამ თავი დაანუ-  
ბოს ასეთ სამარცხვინო ხელობას და ხელი  
მიჭყოს ჟურნალ-გაზეთების კითხვას და ბიბ-  
ლიოთეკა კვლავ ადადგინოს.

◆ პ მარტს ნაშუადღევის ოთხ საათზე  
ცეცხლი გაუჩნდა ბანძის ორ-კლასიან სას-  
წავლებლის შენობას, რომელიც 4000 მანე-  
თად იყო დაზღვეული, ცეცხლის გაჩენის  
შისეუბი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

◆ საპენსიო კასა მასწავლებელთა-  
თვის. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგა-  
დობის სკოლის ერთ-ერთმა მასწავლებელმა  
საზოგადოების გამკეობას სთხოვა, ჩასწეროს  
იგი სახალხო სკოლების მასწავლებელთა სა-  
პენსიო კასაში, რომელიც სახალხო განათლე-  
ბის სამინისტროს ხელშია და ხვედრი გადა-  
სახადი გამკეობამ ამ მასწავლებლის ჯამბა-  
რიდან აძლიოს. გამკეობამ თხოვნა სასკოლო  
კომისიას გადასცა იმის გამოსარკვევად, რამ-  
დენად სასურველია ის, რომ კერძო დაწესე-  
ბულებათა სკოლების მასწავლებლები მონაწი-  
ლეობას იღებდნენ მთავრობის საპენსიო კასა-  
ში. რუსეთის ზოგმა ქალაქის თვითმმართვე-  
ლობებმა და ერთებმა კარგა ხანია თვისი  
მასწავლებლები წევრებად ჩასწერეს, მაგრამ  
პროგრესიულმა ერთებმა ჩქარა არა სასურ-  
ველად სცნეს თვის მასწავლებელთა მონაწი-  
ლეობა ამ კასაში, რომლის პატრონიც საში-  
ნისტრო არის და რომელსაც საშუალება ექ-  
ლევა თავისი უფლებანი კერძო დაწესებულე-  
ბათა სკოლების მასწავლებლებზეც გაავრცე-  
ლოს. ამის გამო ერთებმა შეძლების დაგვა-  
რად თვითვე დააჩქარეს საკუთარ საპენსიო  
კასის დაარსება თვის მასწავლებელთათვის.  
საერთოდ ეს საკითხი მეტად სერიოზულია  
და ბევრი დარწმუნებულია, რომ წ.-კითხვის  
გამკეობას ახლა აუცილებლად დაეხდება აზრი  
თვის მასწავლებელთათვის საკუთარ საპენსიო  
კასის დაარსებისა, მით უფრო, რომ წ.-კ.  
საზოგადოებას ამჟამად ბევრი სკოლა აქვს  
და მოკლე ხანში ახალ სკოლების გახსნასაც  
პირობებს.

◆ ქართული სკოლა სამურზაყანო-  
ში. ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადო-  
ების გამკეობის წინაშე შეამდგომლობა ად-  
ძრა ბ-ნმა პეტრე ჭარაიამ, რათა გამკეობამ  
სამურზაყანოში სკოლა დაარსოს, რადგანაც ამ  
მხარეში ქართული სკოლა აუცილებელს საჭი-




როებს შუადგენსო. გამგეობამ შუამდგომლობა განსახილველად გადასცა საზოგადოების სასკოლო კომისიას.

◆ დედათა სახელოსნო სასწავლებელი. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიას თავის უახლოეს კრებაზე განიხილავს წინადადებას კაკასიის სამოსწავლო ოჯახის მზრუნველისა, რომელიც თხოულობს, განზრახულ სახელოსნო სკოლას ქალაქში 1,000 ოთხკუთხედიანი სივრცე მიწა დაუთმოს. ამ სკოლის შენახვა წინასწარ ხარჯთ-ადრიცხვით უფასოდ წლიურად დაჯდება 7,590 მან. ერთ-დროული

ხარჯი იქნება: შენობის აგება—40,000 მან. და მოწყობა—8,000 მან.

◆ სამოსწავლო ოჯახის მზრუნველს განზრახვა აქვს, დაარსოს თბილისში მეშვიდე საფაეო გიმნაზია, რომლის შენობაც დახლოებით დაჯდება 170,000 მან., მოწყობა—20,000 მან.

მეორე რეალურ სასწავლებლის დაარსება თბილისში მოკლე ხანშია განზრახული. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ დაადგინა, სასწავლებელს უფასოდ დაუთმოს ვაკეზე, ან ნაძალადევაში საჭირო მიწა.



# რ უ ს ე თ ი

## ფურცელი კიევიდან

სურათების გამოფენა

ეს არის ეხლა დაგბრუნდი სურათების გამოფენიდან. ისე ვარ აღტაცებული, რომ არ შემძლიან მკითხველსაც არ გაუზიარო ჩემი ცოცხალი შთაბეჭდილებანი.

დიდის მოუთმენლობით მივემართებოდი გამოფენისკენ. მიზეზი გენიალური მხატვარი ილია რეპინი იყო.

დიდი ხანია ვოცნებობდი მისს თხზულებათა ხილვას და აი პროვინციულ ქალაქში კი ამისრულდა ნატვრა. ეგრედ წოდებული „მოგზაური გამოფენა“ კიევსაც ეწვია.

თავდაპირველად ზერელედ გადავავლე თვალი სურათების გალერეიასა და ჩემდა უნებლიეთ შემაჩერეს თვალებმა—საშიშროების თვალებმა.

რეპინის ვეება სურათის „ღუელის“ წინ ვიდექი.

ტილოზე დავინახე სიკვდილის ზემი; ტრიუმფი, სიკვდილი უკანასკნელ ამბორს უძღვნის მას, რომელიც რამდენიმე წუთის წინ სალი და მოკისკასე იყო იმ გარიჟრაჟივით, რომელსაც აღმასის სხივებით აუფერადებია ხის კენწეროები.

ცაზე რიჟრაჟის შარავანდელი თან და თან მატულობს და აქ კი სიკვდილის მწუხარში ილესება სიცოცხლე ადამიანისა და ამ ვითარებას, სიკვდილის ამ აუცილებლობის ზარი დაუცია დამსწრეებისთვის; მათს სახეზე თრთის შიში და ძრწოლა.

მომაკვდავის ფართოდ გახსნილი თვალები უცნაურად უყურებენ მას... მკე-

ლელს... ოო, ეს თვალეზი, ეს დასისხლიანებული თვალეზი გაღამრევი, სისხლის გამყინავია, ვინ, ვინ გაუძლოს მისს მზერას. იქიდან გამოჰქრის ცივი, შავი საყვედურიცა სიცოცხლის აღმსპობელიადმი და სიკვდილის გესლიანი ღიმილიც...

მკვლელი აუგისა და შიშის სიმწარისაგან დაკლაკნულა, თავი ხელებში დაუმალავს, თითქოს ჰსურდეს დაიხშოს სმენა, დაიბინდოს სმენა, რომ არა ესმოდეს რა, არასა ჰხედავდეს.

შესანიშნავია ეს ფიგურა კიდევ ერთი მხრით. მკვლელი ისეა მოგრეხილი, რომ სურათზე სჩანს წელიცა და მკერდიც... ეს მხატვრის თილისმაა, მხატვრული ასეთი სილალე პირველად მიქელ ანჯელომ გამოიჩინა. სინამდვილეში შეუძლებელია ერთ და იმავე დროს მკერდიცა სჩანდეს და ბეჭეზიც.

ტილოზე აღბეჭდილ ჯგუფის მზერისაგან გიტანთ შიში, სიცივე, განწირულება. სხეულში ყინვის ჭიები გივლიან და გაფითრებული ტუჩებით სჩურჩულეზთ: საშინელებია...

—საშინელებიაო— გიდასტურეზთ ჯარის კაცი მეეტლე, რომელსაც შორეულ ბუჩქებიდან ნაბნაბით თავი გამოუყვია და გოაცებით უყურეზს თავის განათლებულს ბატონეზს.

აი კიდევ მაღლიან მხატვრის თილისმა: თითქმის ნახევარი საათი უყურეზდით სურათსა და მხოლოდ ეხლა ვამჩნევ პერსპექტივაში ბუნდოვანად დახატულს სამხედრო კაცსა, რომელსაც ყელი ამპარტავნულად მოუღერებია, „პაპიროსის“ ბოლში გახვეულა და ზიზლით უყურეზს ელდის ელვა განწონილ მკვლელს. ის ტიპია იმ პედანტი „სეკუნდანტისა“, რომელსაც დუელის გაწყობა ისე სასიამოვნოდ მი-

ჩნია, როგორც მართლ-მორწმუნე დეთის მოსავს ლიტურგიის შესრულება.

უყურეზთ ამ ფუქსავატ კაცს, რომელსაც თავი რაინდად მოაქეზს, უყურეზთ მომაკვდავის უსაშინელეს თვალეზს და მზად ხართ წამოიძახოთ:

ღმერთო, როდის, როდის მოეღეზა ბოლო ამ ადამიანის სიამაყის შემლახველ ჩვეულებას, როდის მოეღეზა, როგორც ჩეხოვი ამბობს, ამ საშუალო საუკუნეობის ბარბაროსობის ნაშთს ბოლო.

„დუელის“ გარდა რეპინის ბეწვის კალამს ეკუთვნის „ლევ. ტოლსტოი“. ემპირიულ ქვეყნიდან გადასული ტოლსტოი ლოცულობს მთელის თავისის ფაქიზი სულითა. ამ ლოცვაში იმდენი სასოებაა, რომ ერთი ყურნალისტის თქმისა არ იყოს, — „არ მინდა დაუშალო ლოცვა, დავარღვიო მისი სულის საუბარი ღმერთთან... ეს ტოლსტოი კი აღარაა— ეს ლეგენდაა მასზე— რეპინისაგან ნაამბობი“.

\* \* \*

ჩინებული სურათებია კლოდტის „იუდა“ და „ჭაბუკი ქრისტე“. იუდა დაჭმობია გაღავანს და მწარედ ჰქვითიანებს. სურათზე სრულეზით არა სჩანს მისი სახე, რადგან ზურგი შემოქცეული აქვს; მაგრამ მას სხეული ისე მოუქნია, რომ უსახოდაც კარგა მოგვითხრობს კონფულისეზით გვემული სხეული მისი სულის ქეჯნასა.

ისკარიოტელი სახესა ჰმაღავს იღლიებში, თითქოს, ოცდა ათ ვერცხლად გაყიდული მაცხოვრის საყვედური ესმისო და ეს ისეთის პათოსითაა გადმოცემული, რომ თქვენშიაც ქვითინს იწვევს.

გასევდიანებთ ჭაბუკი ქრისტე, რომელიც სერზე გულ-აღმა წამოწოლილა, ნიკაპზე ხელი დაუყვრდნია და ჭმუნვით გა-

დაჰყურებს მწუხრის ბნელ-ბუნდში გახვეულ ურიასტანს.

\* \* \*

ალტაცებაში მოჰყავს მჭვრეტელი ღუბროვისკის „ზღვას“. განთიადი აღაყდაყებულა და ზღვასაც გაუღვიძნია. ამჩქებულან ზღვის ზვირთები, ფაფარი აუყარია და შეჰხარის ფირუზოვან ცის ერდოს. ამომავალ მზის სხივებისაგან ბრწყინავენ და აღმასოვნობენ ჰაერში შეთამაშებული შეფეხები. სიტყვით შეუძლებელია გამოთქმა იმ განწყობილებისა, რომელსაც იწვევს ზღვისა და განთიადის სიკისკასე.

\* \* \*

გრძნობიერი ესკიზია ბოგდანოვის „ავადმყოფი ბავშვი“. ღამეა. ოთახში სანათი ჩაწეულია. პერანგის ამარა ახალგაზდა დედა მოსჯდომია მაგიდასა, თავი იდაყვებზე დაუბჯენია და მისცემია მტანჯველ ფიქრებს. შვილი ჰყავს ავად. უსმენს სულ გატვრენილი, უსმენს ცივ ღამეს, რომელიც სარკმლიდან მოცოცავს, მოცურავს ოთახში. ისე უსმენს, თითქოს მისგან მოელოდეს შვილის განკურნებასა. ღამე კი, პირ-ტუქსი ღამე ისე ებრძვის ოდნავ მბჟუტავ სანათს ჩასაქრობად, რომ მშობელს უკარგავს სასოებას, წარუწყმედს იმედს...

მიდის ჟამი, ჰკვენისის ბავშვი და ღამეც გრძელდება, გრძელდება გაუთავებლად...

სურათების გალერეიას ამშვენებს პო-

პოვის „მათხოვრები“, ბედარევსკის „სულამითი“ და სხვ.

\* \* \*

ხსენებულ სურათებისაგან დასველიანებულ სულს იმშვიდებ და ამალხაზებ ბოდარევსკის სურათის წინ.

მხატვარს ტილოზე ამოუქარგავს გრაცია ანტიური ცეკვისა.

ლურჯად მოლივლივე ზღვის პირას, ყვავილების ხიდზე სცეკვავს პარნასის ბუზებისავეთ ნაზი და ჰაეროვანი ქალწული. თავს დაჰქათქათებს ჰელლადის მოკრიალებული ცა. იგი ისე გრაციოზიანად, ისე მომხიბლოვად სცეკვავს, რომ ცოცხალი გგონია და მზად ხარ ტაში დაუკრა, მასთან ერთად სცეკვავენ ზღვის ტალღები; არ იცრ, ვერ მიმხვდარხარ ქალის ფეხები ასდევენ ზღვის ტალღათა რითმს, თუ ზღვის ზვირთები მუსიკობენ ქალის მოქნილ რხევისაგან ექსტაზში მოსულნი.

უყურებდი ამ ჰელლინთა ღეთაებრივი სილამაზითა და გრაციით დაჯილდოვებულ ქალწულის ცეკვას და მომაგონდა ახლანდელი დამახინჯებული, ცინიზმამდის მისული „ცეკვა“. უკანასკნელი ისე სასაცილოა ანტიურთან შედარებით, როგორც სატირი აპოლონთან...\*)

დ. თუ—ლი.

\*) „განათლებლის“ № 2 გვ. 155 დაბეჭდილია—ჰუმანიზმის დასაწყისი მიუღია მკორე საუკუნეში, უნდა იყოს შეთერთმეტე საუკუნეში.





# ბაქოს სამრეწველო სკოლები

(სკოლების ნაციონალიზაცია)

## II

სალი პედაგოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება პირველ დაწყებით სკოლაში ყველა საგნის სამშობლო ენაზე სწავლებისა პირდაპირ შეუძლებელი გახდა რუსეთში. რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიაზე გაფანტული ერები ვანიცდიდნენ და ვანიცდიან მრავალ შევიწროებას და ეს შევიწროება ეხებოდა უმთავრესად ნამდვილ გულს, ნამდვილ სულს ეროვნული ორგანიზმისას, ეს სული ენაა, სამშობლო ენა, დედაბოძი, ქვაკუთხედი ამა თუ იმ ნაციის არსებობისა და რუსეთის ბიუროკრატიაც თავისი ბრწყალეობით მაგრად ჩასჭიდებია სწორეთ ამ ყველაზედ უფრო საგრძნობელ ნაწილს, ამ საგულისხმო ადგილს ერის ყოფნა არ ყოფნისას. დღიდან რუსეთში სწავლა-განათლების შემოღებისა, სახალხო განათლების სამინისტრო გამარუსებელი პოლიტიკის გზას დაადგა. დამორჩილებული პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმეულ ერების ნაციონალურ თვითმკვლელობის ხელოვნურად შექმნას შეუდგა. ამ მიზნის განსახორციელებლათ ბიუროკრატიაში მიმართა სხვა და სხვა ზომებს, საშუალებებს. ერთი ამ ზომათაგანი იყო ყველგან რუსული ენის გამეფება, ყველა საგნის რუსულად სწავლების აღიარება და ამის მიხედვით ერთნაირი, ერთი სავალდებულო პროგრამის შემუშავება და ყველა სკოლაში მისი შემოღება...

სოფლისა, ეროზისა და ქალაქის სკოლები ერთს ტაფაში იხრაკებოდნენ, ერთნაირს შევიწროებას ვანიცდიდნენ. რა

გვარი შედგენილობისაც არ უნდა ყოფიყო კლასი, თუნდ 90%, ან 100% ადგილობრივი ელემენტისაგან შემდგარი—პროგრამა ერთი და იგივე იყო, სწავლება რუსულად სწარმოებდა...

1904 წელს, დეკემბრის 12-ს მინისტრთა კომიტეტმა უმაღლესი ბრძანების 7 მუხლის თანახმად უარყო არსებული პოლიტიკა: „არ შეიძლება გამარუსებელი პოლიტიკის იარაღად და ხელოვნურად ამ მიზნის გასატარებლად ცხოვრებაში შეიქნეს სკოლა. სკოლა პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, სკოლაში ადგილობრივ ენებს საპატიო ადგილი უნდა დაეთმოსო“...

მინისტრთა კომიტეტის განმარტებამ და მაშინდელმა მოულოდნელმა პოლიტიკურმა პირობებმა ხმა ამოაღებინეს თვით განსაზღვრულ დებულებათა ფარგლებში მომქმედ ერობებსა და ქალაქის თვითმართველობათა ორგანოებს. თუმცა ეს ხმა ერთგვარი გამოძახილი იყო მემარცხენე და ლიბერალური პრესის მოთხოვნისა, მაგრამ უფრო კანონის ფარგლებით დაცული. და აი, როცა მოძრაობა 1905 წლისა დასრულდა და რეაქციამ გაიმარჯვა, ქალაქის თვითმართველობათა ორგანოებმა ისარგებლეს მინისტრთა კომიტეტის განმარტებით და წამოაყენეს საკითხი სკოლების ნაციონალიზაციის შესახებ. 1906 და 1907 წლიდან ამ საკითხმა კავკასიაშიაც წამოიპყრა თავი: ზბილისის, ბათუმის და ბაქოს თვითმართველობათა ორგანოები შეუდგნენ აღნიშნული მიზ-

ნის პრაქტიკულად განხორციელებას. არსდება სკოლები თვითეული ეროვნებათა ბავშვებისათვის ცალკე: ქართული, თათრული, სომხური, სპარსული, ოსური, რუსული და სხვა—სკოლები...

ბაქოში არსდება რუსულ-სომხური სკოლები, რუსულ-თათრული, ხოლო თბილისში და ბათუმში კი—ქართული, სომხური, თათრული: ცალ-ცალკე. ყველაზე უფრო ყურადღების ღირსი არის სკოლათა ნაციონალიზაციის საკითხი ბაქოს ნავთის მრეწველთა რაიონებში. ამ საკითხს, როგორც წინა წერილში მქონდა მოხსენებული თავისი საკუთარი ისტორია აქვს. ამ საკითხმა აქ უფრო სხვა, შეიძლება თამამადა ვსთქვათ, დამახინჯებული ხასიათი მიიღო.

თბილისისა და ბათუმის ქალაქის თვითმართველობათა ორგანოები თუ საკუთარ სკოლებს აარსებდნენ თვითეული ეროვნებათა შვილებისათვის, ნავთის მრეწველთა საბჭო არა სკოლებს, არამედ კლასებს—არსებულ პირველ დაწყებით სკოლებთან.

1906—7 სამოსწავლო წელს გაიხსნა სკოლებთან ნაციონალური კლასები. ნაციონალური კლასების გახსნა იძულებითი იყო. არამც თუ მთელს სკოლაში, თვითეულ განყოფილებაში შეიდი, ხან რვა სხვა და სხვა ეროვნებათა ბავშვები სწავლობდა: სომეხი, თათარი, ბერძენი, ლეკი, ყაზანელი თათარი, ქართველი, სპარსელი, გერმანელი, ფრანგი და სხვა... და თვითეული მათგანი სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდა... რუსული ენა ხომ მათთვის სრულიად უცხო, გაუგებარი ენა იყო. ასეთი შედეგნილობა ძალიან აფერხებდა სწავლის საქმის ნორმალურად მსვლელობას, ძლიერ უჭირვებდა თვით მასწავლებლებს საქმეს და ძალა უნებურად იწვევდა მათში ერთგვარ სიბრაალურს ასეთი დამა-

ხინჯებულო სწავლის წარმოების წესის წყალობით ტანჯულ-წამებულ მოწაფეთადმი; თუმცა თვით მასწავლებელნიც, რომელთაც ადგილობრივი ენები არ იცოდნენ, უარესს ტანჯვა-წვალებას განიცდიდნენ, უარესს მდგომარეობაში იყვნენ ჩავარდნილნი და, ეჭვი არ უნდა, თვით ისინი უფრო მეტი სიბრაალულის ღირსნი იყვნენ. ასეთი სწავლის წარმოების წყალობით საბრალო არა რუსთა ტომის ბავშვები ხშირად ორს წელიწადს ერთს და იმავე კლასებში რჩებოდნენ, თავიანთ ამხანაგებს სწავლაში, წარმატებაში რჩებოდნენ და ეს ხომ ძლიერ ცუდს გავლენას ახდენდა მოწაფეთა ფსიხიკაზე, მოწაფეთა გონებრივ და ზნეობრივ მხარეზე...

ასეთი მდგომარეობით იძულებულნი 1906 წელს ენკენისთვეში, შეიკრიბნენ საბჭოს მასწავლებელნი და ითათბირეს ამ საგნის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეცვლოთ გვერდი ასეთი მდგომარეობისათვის. მასწავლებელთა კრებამ მიიღო სახელმძღვანელოთ 1905 წ. 13 იანვრის თარიღით გამოსული 1881 წლის სამოსწავლო გეგმა და დაადგინა ამ გეგმის მოთხოვნილების მიხედვით გამოჰყოს სკოლებიდან სომხისა და თათრების მოწაფეები და მათთვის თვითეულ სკოლასთან გახსნას ნაციონალური კლასები. ამ კლასებს დაარქვეს საზოგადო რუსთა სკოლებისათვის მოსამზადებელი კლასები, ე. ი., პირველი საფეხური... ამ კლასებში, პირველი ერთი წლის განმავლობაში ბავშვები სწავლობდნენ სამშობლო ენას და ამავე ენაზე ყველა პირველი განყოფილების კურსის საგანს: ანგარიშს, საღვთო სჯულს და სხვ... რუსულს ენას კი, როგორც ამას თხოულობდა მოხსენებული 1881 წ. გეგმა, პრაქტიკულად ე. ი. იანვრის 1-დან ლექსიურს გაკვეთილებს

ჰქონდა დათმობილი 3 გაკვეთილი კვირაში, ხოლო მეორე კლასში—განყოფილებაში, სწავლა სწარმოებდა უმთავრესად სამშობლო ენაზე. ორი წლის შემდეგ, ნაციონალურ კლასებში კურს დამთავრების შემდეგ მოწაფენი გადადიოდნენ პირდაპირ საზოგადო რუსთა სკოლების მეორე განყოფილებაში... რამდენად შესაფერი იყო ასეთი სისტემა სალი პედაგოგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და რამდენად შეესაბამებოდა იგი პრაქტიკულ მოსაზრებას, ეს სხვათა შორის ნათელ ჰყო 1947 წ. 9 მარტს მომხდარმა მასწავლებელთა კრებამ საბჭოს სასკოლო კომისიის წევრთა მონაწილეობით. ამ სხდომაზე დასმული იყო საკითხი: სომხის ბავშვებს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში ვასწავლოთ სამშობლო ენა, მეორე წლიდან შეურთოთ საზოგადო რუსის სკოლის ანბანის განყოფილების ბავშვებს, თუ ორი წლის კურსი დაეთმოს მათ სამშობლო ენაზე საგნების შესასწავლად?

კრებაზე გამოჩნდნენ როგორც პირველის, ისე მეორე აზრის მომხრენი. პირველი აზრის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ შეუძლებელია ორი წელიწადი დაეთმოს სამშობლო ენის შესწავლას, რუსულ ენის შესწავლის ინტერესები პირდაპირ მოითხოვენ, რომ ერთი წლის შემდეგ არა რუსთა ტომის ბავშვები შეუდგნენ თეორეტიულად და პრაქტიკულად რუსული ენის შესწავლას, ე. ი. ყველა საგანი ისწავლებოდეს რუსულ ენაზედო... უმრავლესობა კი ამ აზრის წინააღმდეგნი იყვნენ: „ნაციონალური კლასების იდეა დიდის ჯაფისა, ტანჯვა-წვალების შემდეგ უკვე განხორციელდა და ასე თუ ისე პრაქტიკული ხასიათი მიიღო და ეხლა ამის წინააღმდეგ გალაშქრება—პირდაპირ მოსპობა, ფეხით გათელვა იქნება ამ ფრი-

ად საგულისხმო დიადი იდეისა; ჩვენ არა გვაქვს. ზნეობრივი უფლება უარი უთხრათ მოზარდ თაობას მიიღოს სწავლა-განათლება თავის სამშობლო ენაზე, სალი თანამედროვე პედაგოგიკაც ხომ ამასა თხოულობს“. დიდი კამათის შემდეგ უმრავლესობა დაადგა იმ გადაწყვეტილებას, რომ საგნების შესწავლა პირველ ორ წელიწადს სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ამ ნაირად კრების შედგენილობის უმრავლესობამ მიიღო 1905 წელს თბილისში სომხის მასწავლებელთა მიერ შემუშავებული პროგრამა. ამ პროგრამით საგნების სწავლება სწარმოებს სომხურ ენაზე, რუსული ენა კი ისწავლება მეორე წლიდან, როგორც სასწავლო, სავალდებულო საგანი, რომელსაც დაეთმობა კვირაში 8 გაკვეთილი. სწავლის კურსი გრძელდება ორიდან ხუთ წლამდე, ამასთან მასწავლებელს ეძლევა უფლება შესცვალოს პროგრამა ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

მაგრამ ამ კრების გადაწყვეტილება მხოლოდ ქალაქებზე დარჩა, ცხოვრებაში განხორციელებას ვერ ეღიბა, ნაციონალური კლასები დარჩნენ საზოგადოდ რუსთა სკოლაში გადასასვლელ-მოსამზადებელ საფეხურად.

ხშირად ისეთი ქრელი იყო ხოლმე მოწაფეთა შედგენილობა, რომ შეუძლებელი ხდებოდა მასწავლებელთათვის მთელი პირველი ორი წელიწადი დაეთმოთ სამშობლო ენაზე საგნების სწავლების წარმოებისათვის და პრაქტიკული მოსაზრებით პირველი წლის შემდეგ უერთებდნენ სომხის ბავშვებს საზოგადო რუსთა სკოლების პირველი განყოფილების მოწაფეთ და მეორე წლიდან იწყებდნენ რუსული ენის შესწავლას, რასაკვირველია, სამშობლო ენის დაუხმარებლათ. ერთი სიტყვით, კრე-



ბაზე უარყოფილი უმცირესობის აზრი პრაქტიკულ განხორციელებას დებულობს, ხოლო მიღებული და მოწონებული სრულიად ჰქრება...

მაჰმადიანთათვის ნაციონალური კლასების დაარსების საკითხი უფრო ძნელი და მასთან პრაქტიკულ ნიადაგს მოკლებული შეიქნა. გასჭირდა ისეთი მასწავლებლის შოვნა, რომელსაც შესძლებოდა მოხსენებული კლასების სრული ხემძღვანელობა: ეროვნული კლასები დაარსდა მაჰმადიანთათვის და ამავე დროს ენას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ამ სარწმუნოების წარმომადგენელი, ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული: ლეკი, ადერბეიჯანელი თათარი, ყაზანელი თათარი, ეს სამი მაჰმადიანთა სარწმუნოების წარმომადგენელი მოხვდნენ ერთს ჯგუფში, სხვა და სხვა, ერთმანეთისათვის გაუგებარ ენაზე მოსაუბრე... ამ დაბრკოლებამ აიძულა თვით მაჰმადიანთა კლასების მასწავლებლები დირექტორ თხორჟევსკის თავმჯდომარეობით მომხდარ კრებაზე დასთანხმდებოდნენ იმ აზრს, რომ ეროვნული კლასების არსებული სახით დატოვება შეუძლებელია და მათი მოსამზადებელ განყოფილებათა გადაკეთება აუცილებელია, ხოლო იმ პირობით, რომ ამ მოსამზადებელ განყოფილებაში საგნების სწავლება ხდებოდეს რუსულად და ასწავლიდეს აუცილებლად ადგილობრივი ენების მკოდნე მასწავლებელი.

... დღემდე ამ მდგომარეობაშია ეროვნული კლასების საქმე ბაქოს ნავთის მრეწველთა საბჭოს სკოლებში. დღემდე ასეთს ჯიჯგნა-წვალეებას განიცდის ის იდეა, რომ-

ლის დაცვა უმრავლესობის მიერ მხოლოდ ცარიელ სიტყვებათ დარჩა... პრაქტიკა კი სულ სხვას გვიჩვენებს... მართალია ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ელობება წინ ამ იდეის განხორციელებას, მაგრამ ყოველგვარი დაბრკოლება უნდა სძლიოს ნავთის მრეწველთა საბჭომ, გადაიდლოს სკოლის ბიუჯეტი, გამოიწეროს სპეციალური მასწავლებლები, ადგილობრივი ენების კარგად მკოდნე პირები ჩააყენოს საქმეში და ნაციონალური კლასები იმ დადგენილების თარგლებშიაც ნაყოფს გამოიღებენ.

თუმცა საბჭოს შეუძლია ცალ-ცალკე გახსნას სკოლები მაჰმადიანთა და სომხის ბავშვებისათვის და ანით უფრო მეტი სიძლიერე, მეტი უფლება მისცეს სამშობლო ენის სწავლების საქმეს... ასეთს მდგომარეობაში ნაციონალური კლასების დატოვება, ჩემის აზრით, შეუძლებელია. ეს კლასები ან უნდა დაიხუროს, ანა და გადაკეთებულ იქმნან ნაციონალურ სკოლებათ...

საბჭომ არ უნდა დაზოგოს საშუალება, რათა ნამდვილი სახე მისცეს სკოლის ნაციონალიზაციის საკითხს, ნამდვილი ეროვნული სული შთაბეროს მას. ამას მოითხოვს ჭეშმარიტი პედაგოგიკა, ამას მოითხოვს დღევანდელი მომწიფებული მომენტის ეჭვი არ უნდა საბჭოს სკოლების მასწავლებლები კვლავ აღძრავენ საკითხს ამ ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ და გადასწყვეტენ დადებითად: ე. ი. უფრო მთლიან სახეს მისცემენ მას...

ვ. ოზჩელი.

# ჩვენც დავატასოთ!

(სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოდ)\*)

სწორად წამიკითხავს რუსულ პედაგოგიურ ჟურნალებში, რომ რუსეთის სოფლებში დამსახურებულ სახალხო მასწავლებელთათვის თავის კოლეგებსა და საზოგადოებას გაუმართავს იუბილე და აღუნიშნავთ 30—35 წლის განმავლობაში მათი პატიოსანი სამსახური და ნაყოფიერი შრომა. ჩვენში სახალხო მასწავლებელთა ცხოვრებიდან ჯერ ამგვარ სასიამოვნო მოვლენას არ შევსწრებივართ; პირიქით, მასწავლებელი ჩვენს დაბა-სოფლებში ბევრ სხვა და სხვა დამცირობას განიცდის (თუმცა ხშირად იმიტომ, რომ უმეტესობა მათგანი არ არის თავის აღ-

გილზე და ვერ იცავს სასურველად თავის პოზიციას).

ჩვენს პრესაში სახალხო მასწავლებლებზე დღეს ბევრი იწერება და მართლაც ვინ არ ხედავს, როგორი ნარ-ეკლით მოცულ გზაზედ უხდება მასწავლებელს მრავალ წლობით სამსახური, რომლის დროსაც სიცივეს, შიმშილს, სიშიშვლეს, დევნას, დამცირობასა და მრავალგვარ გაჭირვებას ითმენს. დიახ, ძნელია ეკლიან გზაზე სვლა სახალხო მასწავლებლისა! რამდენჯერ ის ჩავარდება სასოწარკვეთილებაში, რამდენ სიმწარეს იგემებს და მწარე ფიქრებს მიეცემა, როდესაც გაითვალისწინებს თავის მომავალს, მაგრამ არა კარგავს სულის ზიმზნევებს და არ ეცემა — და იმ იმედით, რომ კეთილ საქმეს ემსახურება, ის მაინც არ ღალატობს. ერთხელ არ ჩეულ მიზანს და განაგრძობს მძიმე უღლის წევას. — ამ უკანასკნელი 5—6 წლის განმავლობაში, არა არტო საზოგადო მოღვაწეთა, არამედ სასულიერო უწყებათა, ვექილთა, ექიმთა და სხვა დაწესებულებათა წრეებშიც, დამსახურებულ პირთ უმართვენ იუბილეს, დღესასწაულობენ იმთ 25—30—35 წლის თავის სამსახურს, ულოცავენ, მადლობას ეუბნებიან და ამხნევენ. განა ისეთ სახალხო მასწავლებელს, რომელსა 25—30—35 წელი გაუტარებია სახალხო სკოლაში, პატიოსნად და ერთგულად უმსახურნია სანახევროდ მშვიერი კუჭით და ნაყოფი მოუტანია, საზოგადო მოღვაწე არ ეწოდება?!

განა მას თუ იმავე დროს მგოსან-ლი

\*) მშვენიერი აზრია, რასაც „განათლების“ რედაქცია დიდათ და დიდათ თანაუგრძობს. რედაქციას დიდი ხანია სურვილი აქვს დამსახურებულ სახალხო მასწავლებელთა ბიოგრაფიები და სურათები ჰბეჭდოს „განათლებაში“ ბევრჯერ მიგვიმართავს ცნობების მოწოდების შესახებ სხვა და სხვა პირთათვის, მაგრამ ჯერჯერობით არავისგან მიგვიღია საჭირო მასალები. ჩვენში ერთი და ორი არ არის სახალხო მასწავლებელი, რომელსაც თავისი მოვალეობა მართლა დირსეულად და პირნათლად აუსრულებია საზოგადოებისა და მოზარდ თაობის წინაშე. მათი ღვაწლი დიდათ და ფრიად თვალსაჩინო. დაფასება ამ ღვაწლისა და მადლობის თქმა უანგარო მოღვაწისთვის ზნეობრივი მოვალეობაა ყველასი და ყოველ კულტურულ საზოგადოების ზნეობრივი დახასიათება, სხვათა შორის, ამაშიაც გამოიხატება.

რედ.

ტერატორისა და მსახიობის ნიჭი არ შესწევს, საზოგადოებას სამსახურს არ უწევს?!

სამწუხაროდ ჩასათვლელია, რომ ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საზოგადოთ სახალხო მასწავლებელთა მოღვაწეობას, როდესაც პირველი და უმთავრესი ყურადღება სწორედ იმათკენ უნდა იქმნას მიქცეული. მე აქ ყოველი სახალხო მასწავლებელი არა მყავს მხედველობაში; მხედველობაში მყავს მხოლოდ ისეთი მასწავლებელი, რომელიც 25 - 30 - 35 წლის განმავლობაში ასრულებს ნამდვილი მასწავლებლის მოვალეობას, მიზნად დაუსახავს გულწრფელი სამსახური საზოგადოებისადმი, ზის ყოველთვის ერთ სკამზე, არ ღალატობს საზოგადო საქმეს და არ აბეზღებს ამხანაგებს თავისი უფროსების გულის მოსაგებად.

დღეს ჩვენში მოიძებნებიან ასეთი მასწავლებლები და გვმართებს ამისთანა მასწავლებლები ჩვენც დავაფასოთ, გავუმართოთ მათ იუბილე, მიულოცოთ, მადლობა გამოვუცხადოთ; გავამხნეოთ, და გავახალისოთ, თან სხვათაც ვაჩვენოთ ამით, რომ ისინი წმინდა საქმეს ემსახურებიან, და რომელიცკი პატიოსნად შეასრულებს თავის მოვალეობას და მოწოდებას, იმისი შრომაც დაფასდება. აი ეს იქნება ყველაზე უკეთესი ჯილდო სახალხო მასწავლებლისათვის.

ეს წერილი მე მოვათავსე ამა წლის გაზ. „ერის“ მე-34 ნომერში (13 თებერვალი); მეორე დღესვე, 14 თებერვალს 1116 ნომერში გამოეხმაურა „სახალხო გაზეთმა“, სადაც მოიყვანა ჩემი წერილი და გაუკეთა ასეთი დასკვნა: „ქართველებს ძლიერ გვიყვარს ნადიმების და იუბილეების გამართვა. რასაკვირველია თუ სხვით არა, საიუბილეო

დღესასწაულით მაინც მცირეოდენი პატივი ვსცეთ ღირსეულ სახალხო მასწავლებლებს. ხოლო სასურველია, რომ უფრო თვალსაჩინოდ და რეალურად დავაფასოთ იმ მასწავლებლების მოღვაწეობა, რომლებიც გულდადებით და წმინდათ ემსახურებიან ქართველი ერის მომავალ თაობის აღზრდას“.

სამი კვირის შემდეგ გაზეთი „ზაკ. რ.“ ის 54 ნომერში ვკითხულობ შემდეგ სისიამონო ამბავს, სათაურით — „იშვიათი იუბილე“: „თბილისის მაზრის ს. სიონში იდღესასწაულეს ადგილობრივი საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლის ა. კვაჭაძის 15 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის იუბილე; წაიკითხეს იმისი მოკლე ბიოგრაფია, უთხრეს მისასალმებელი სიტყვები და ლექსები; ბაქოდან, ოზურგეთიდან, დუშეთიდან, პლეტიდან და სხვა და სხვა კუთხეებიდან მოუვიდა მოსალაცი ტელეგრამები; სამღვდლოებამ და მასწავლებლებმა მიატოვეს იუბილაირს „ვეფხისტყაოსანი“ შესაფერისი წარწერით. ეს მთელ საქართველოში პირველი შემთხვევაა სახალხო მასწავლებლის პატივის ცემისა“.

მეტად გამახარა ამ ამბავმა; დარწმუნებული ვარ, რომ ბ-ნი კვაჭაძე, როგორც გამხნეებული საზოგადოების პატივისცემით, უფრო გულდადებით და გაორკეცებული ენერგიით გააგრძელებს თავის მოღვაწეობას. დღეს ჩვენში, დასავლეთ საქართველოში, მოიძებნებიან პატივისცემის ღირსნი დიდი ხნის ნამსახური მასწავლებლები; ჯერ-ჯერობით მე თამამად შემიძლია დავასახელო ზემო იმერეთში სოფ. ბოსლევის ორკლასიანი სკოლის გამგე-მასწავლებელი იასონ კაპანაძე, რომელიც 40 წელიწადია რაც მსახურებს სახალხო მასწავლებლად; პირველად ის მსახურებდა



ს. საჩხერეში, შემდეგ ს. კაცხში, იქიდან სოფ. მარანაში, სამტრედიის მახლობად, 22 წლის განმავლობაში, სადაც გახსნა უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო; მარნიდან გადაყვანილ იქმნა ს. კაცხში, სადაც შეასწავლა გლეხებს ამერიკული ვაზის გაშენება, დაარსა სამკითხველო; ბოსლევში იმისი მეცადინეობით დაარსდა სოფლო ბანკი და ფოსტა. მიუხედავად იმისა, რომ ის ასრულებს პატიოსნად მას-

წავლებლობის მძიმე მოვალეობას და დავირთულია წვრილი ცოლშვილით, ხშირად ათავსებდა და ათავსებს წერილებს სოფლის ცხოვრებიდან ჟურნალ-გაზეთებში. მაშ დავიწყოთ ამ მუშაკიდან და მომავალ ზაფხულისათვის მოვაწყოთ ქუთაისში იმისი იუბილე, შემდეგ სხვებიც გამოვძებნოთ პატივისცემის ღირსნი. ზბა მიპასუხეთ!

ლადო ბზვანელი.

## ბიბლიოგრაფია

ეპისკოპოსი ლეონიდი. სიტყვანი და მოძღვრებანი. წიგნი პირველი. ქართველი წმინდანები.

